პრეტენზიები და მოსალოდნელი ლოიალობა A3
„თქვენი აფხაზეთი" A8
ევროისტორია B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 21 იანვარი, 2004 წელი. №16 (565)

ფასი 50 თეთრი

# სპეცოპერაცია „იმელის" შენობაში

## გენერალური პროკურორი ენერგეტიკის ყოფილი მინისტრების პასუხისგებაში მიცემას გეგმავს

ინგა ალავიძე

*შიდა ქართლში კონტრაბანდის წინააღმდეგ ჩატარებულ ოპერაციებში გამობრძმედილი ყოფილი გუბერნატორი "კამუფლიაჟის" გახდას და გენერალური პროკურორის კაბინეტში გამოკეტვას არც ახლა აპირებს. ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ მორიგი სპეცოპერაცია ამჯერად თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ყოფილი "იმელის" შენობაში ჩაატარა.*

თუმცა, გენერალურ პროკურორს, რომელიც სპეცოპერაციებს, ტრადიციულად, უშიშროების სამინისტროს სპეცჯგუფთან ერთად ატარებს, გუშინ ოპერაცია, ფაქტობრივად, ჩაუვარდა. ოღონდ, არა იმიტომ, რომ ოპერაციის დეტალებმა წინასწარ გაჟონა. უბრალოდ, სამართალდამცველთა ოპერატიული ინფორმაცია არ გამართლდა და ძალოვანთა შეტევის მთავარი ობიექტი, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ომარ გოგია კაბინეტში არ აღმოჩნდა.

გაგრძელება A2 გვერდზე



*დაპატიმრებული ნუგზარ გოგია.*

# ენერგეტიკული დილემის წინაშე

## ენერგეტიკის ამერიკელი მენეჯერები გერმანული კრედიტის იმპორტზე გახარჯვის წინააღმდეგ გამოდიან

მაია ურუშაძე

გუშინდელმა ავარიამ დაადასტურა, რომ საქართველოს ენერგოსისტემა არამდგრადია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სისტემის მდგრადობის აუცილებელი წინაპირობა ბაზისური სიმძლავრეა, რომელსაც ადრე ბაზისური თბოელექტროსადგური – თბილსრესი გამოიმუშავებდა, მოგვიანებით კი ეს დატვირთვა ქვეყნის უმძლავრესმა ჰიდროელექტროსადგურმა – ენგურჰესმა იკისრა.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის ყოველი ახალი მინისტრი ენერგოსისტემისათვის ბაზისური სიმძლავრის გარანტირებას თბილსრესის ბლოკების ამუშავებით ცდილობდა, თუმცა, ამაოდ. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი თბილსრესის ენერგობლოკები გაცვეთილი და მოძველებულია. მათი ტექნიკური მონაცემები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამ ბლოკებზე სათბობის ხარჯი იმდენად მაღალია, რომ მათ ამოქმედებას ეკონომიკური გამართლება მხოლოდ სრული გადაიარაღების შემთხვევაში ექნება, ეს კი ძალიან ძვირი დაჯდება.

სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ენერგოსექტორის კურატორები ამ ბლოკების ამოქმედების იდეის ხორცშესხმას აღარ ცდილობდნენ. მაგრამ, ეს საკითხი რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან საუბრისას მაინც დაისვა და ბანკთან გასაფორმებელ 32-მილიონი ევროს ოდენობის საკრედიტო ხელშეკრულებაში ერთ-ერთ ქვეპუნქტად შევიდა. თუმცა, ეს მას შემდეგ მოხდა, რაც აღმოჩნდა, რომ გერმანულ კრედიტს ანულირება ელოდა: საქმე ის გახლავთ, რომ თავიდან ეს კრედიტი მთლიანად ვარციხეჰესების კასკადის რეაბილიტაციისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ მისმა მმართველმა "ტერნამ" ვალდებულება ვერ შეასრულა, გერმანულმა ბანკმა კი გაურკვეველ ვითარებაში დარჩენილი სადგურის დაკრედიტება არ მოისურვა.

ამჟამად გერმანული ბანკის მიერ საქართველოს ენერგოსისტემისათვის გათვალისწინებულ დახმარებათა პაკეტში, რომლის რატიფიცირება პარლამენტმა ამ დღეებში უნდა მოახდინოს, შედის ვარციხეჰესების კასკადის რეაბილიტაციისა და სომხეთ-საქართველოს მაკავშირებელი ხაზის აღდგენის 12-12 მილიონ ევროდ შეფასებული სამუშაოები, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისა" და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ტექნიკური რეაბილიტაციის 3-3 მილიონ ევროდ შეფასებული სამუშაოები და 12 მილიონი ევროს ღირებულების "თბილსრესის სასაქონლო დახმარება". ეს დახმარება სადგურის სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ბლოკებისათვის მარაგნაწილებისა და გაზის შეძენას ითვალისწინებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ეროვნული ჩემპიონატი შავ წერტილად დარჩა

## კლოდ სორელი საქართველოში რაგბის განვითარების პერსპექტივას ვერ ხედავდა

პაატა თოთაძე

*კლოდ სორელი. ეს სახელი რაგბის ქართველ გულშემატკივრებში ბევრ სასიამოვნო მოგონებასთანაა დაკავშირებული. არასასიამოვნოსთანაც. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, სორელი ის კაცია, რომლის თავკაცობითაც საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველად გავიდა მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე. რატომ ვერ მოიგო საქართველოს ნაკრებმა ვერც ერთი მატჩი? რა ჰქონდა ჩაფიქრებული სორელს და რატომ ვერ შეასრულა ჩანაფიქრი? ამ და სხვა კითხვებზე მან გუშინ გვიპასუხა.*

**- თავდაპირველად თქვენ მოგიწვიეს როგორც საქართველოს ნაკრების კონსულტანტი. მწვრთნელი მოგვიანებით გახდით. რა დაგხვდათ საქართველოში ჩამოსულს, რა გეგმა გქონდათ და მოახერხეთ თუ არა ამ გეგმის შესრულება?**

გაგრძელება B4 გვერდზე



*კლოდ სორელი*

## პოლიტიკა

### თავისუფლების ინსტიტუტი ახალ ხელისუფლებას აფრთხილებს

გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე ამავე ორგანიზაციის წევრებმა ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების მისამართით დელიკატური ფორმის, მაგრამ სერიოზული ხასიათის მინიშნებები გააკეთეს.

A3

## ეკონომიკა

### "იტერა" თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს

გუშინ "იტერასა" და "გაზპრომს" შორის ურთიერთობა გაირკვა. "არა!" – ასე უპასუხა "გაზპრომის" თავკაცმა ალექსეი მილერმა "იტერას" და მას საკუთარი ქართული საწარმოების გაზმომარაგების საშუალება წაართვა, ქართულ მხარეს კი საქართველოს გაზმომარაგების საჭირო რეჟიმში შენარჩუნება აღუთქვა. აშკარაა, რომ "გაზპრომი" "იტერას" სამხრეთ კავკასიის ბაზრიდან უკვე ღიად ერეკება.

A4

## უცხოეთი

### კადიროვი საუდის არაბეთმა "ჩაიხუტა"

ჩეჩნეთის პრეზიდენტად კრემლის მიერ დასმულმა ყოფილმა მუფტმა აჰმად კადიროვმა საუდის არაბეთში თავისი ვიზიტი დაასრულა და გროზნოში მშვიდობიანად და, რაც მთავარია, იმედებით დაბრუნდა.

A5

## საზოგადოება

### პოლიკლინიკის ექიმებს ოჯახის ექიმები შეცვლიან

*საქართველოში პოლიკლინიკური სისტემის საოჯახო მედიცინის სისტემად გარდაქმნის პროცესი 1995 წლიდან დაიწყო. დღეისთვის საქართველოში სულ 109 სერთიფიცირებული ოჯახის ექიმი და ხუთი საოჯახო მედიცინის ცენტრია.*

A6

## სამართალი

### გურჯაანის პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა

ბოლო ორი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონში კრიმინალური ვითარება საგრძნობლად გამწვავდა. ბოლო დღეებში რაიონში ზედიზედ ორი შემზარავი მკვლელობა მოხდა. გუშინ სოფელ კარდენახში მომხდარი კრიმინალური შემთხვევაც მსხვერპლით დასრულდა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 14 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 9 |
| ზუგდიდი | 13 |
| გორი | 7 |
| ახმეტა | 9 |
| ჭიათურა | 9 |
| გაგრა | 10 |
| სამტრედია | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1300 |
| ევრო | 2.6519 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8182 |
| რუბლი | 0.0740 |

# ვიდრე პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება დღის წესრიგში შესულა...

გიორგი ასანიშვილი

*ახალი ხელისუფლება ხალხს კომპლექსური რეფორმების გატარებას ჰპირდება. ცვლილებები, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, როგორიც არის ქვეყნის მმართველობის სისტემა. ამ მიმართულებით ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, ალბათ, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება იქნება. "ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის, კოტე კემულარიას თქმით, შესაბამის კანონპროექტზე მუშაობა საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. მისივე განცხადებით, ვინაიდან საპარლამენტო კომიტეტები დღეს, პრაქტიკულად, არ ფუნქციონირებენ, საკონსტიტუციო ცვლილებების მოდელზე, ძირითადად, იუსტიციის სამინისტრო და სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუშაობს.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# მესამე ქვეყნის ხიბლი ჩეჩენ ლტოლვილთათვის

## ჩეჩენ ლტოლვილებს საქართველოდან გამგზავრების კანონიერი უფლება არ აქვთ

მაკა ჭაიანი

*"24 საათის" 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში, რომელიც ეხებოდა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მისამართით ჩეჩენი ლტოლვილების ნაწილის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებს, ჩვენ დაგპირდით ამ თემის გაგრძელებას. უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლის ქეთრინ ბერდნარის საქართველოში დაბრუნების შემდეგ ინტერვიუ შედგა. ვითარებამ, რომელიც ჩეჩენი ლტოლვილების ირგვლივ დაიხატა, ჩაკეტილი წრის შთაბეჭდილება დატოვა.*

გაგრძელება A6 გვერდზე

# პარლამენტარის დაჭრის მიზეზი კვლავ უცნობია

თამარ კაციტაძე

*თბილისში მორიგი თავდასხმა მოხდა. მორიგი მსხვერპლი საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" წევრი, "ინტელექტბანკის" დამფუძნებელი, დეპუტატი კახა გიუაშვილი აღმოჩნდა.*

გუშინწინ, გვიან ღამით, სახლში დაბრუნებულ გიუაშვილს მაშინ ესროლეს, როდესაც იგი ავტოფარეხში საკუთარ მანქანას - "ჯიპს" აყენებდა. გამოძიების ვერსიით, ჯერჯერობით დაუდგენელი პიროვნება პარლამენტარს ავტოფარეხში შეჰყვა. ამის შემდეგ ზუსტად რა მოხდა, გამოძიებისთვის უცნობია. ცნობილია ის, რომ თავდამსხმელმა პარლამენტარს ცეცხლსასროლი იარაღიდან შვიდჯერ ესროლა. გიუაშვილს სამი ტყვია მოხვდა და იგი გულმკერდის, ყელისა და ხელის არეში დაიჭრა. უცნობი მაშინვე გაიქცა, დაჭრილი კი მეშვიდე სართულზე საკუთარი ფეხით ავიდა და ოჯახის წევრებს დახმარება სთხოვა. ამის შემდეგ დაჭრილმა გონება დაკარგა. იგი ახლობლებმა N1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ოპერაცია გაუკეთდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 ევროისტორია B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## სპეცოპერაცია „იმელის" შენობაში

პირველი გვერდიდან



*მართალია, სპეცოპერაციაზე ინფორმაციამ გაჟონა, მაგრამ პროკურატურამ ორი პიროვნება მაინც დააკავა.*

უფრო ზუსტად, არ გამართლდა, სამართალდამცველთათვის აგენტთა მიერ მიწოდებული შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, ომარ გოგია, რომელზეც გენერალურ პროკურატურას რამდენიმე დღეა ფარული თვალთვალი აქვს დაწესებული, მის სამუშაო კაბინეტში უნდა ყოფილიყო. ამ შეცდომის მიზეზი ომარ გოგიასა და მისი ტყუპისცალის ნუგზარ გოგიას გარეგნული მსგავსება გახდა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გენერალური პროკურატურის სპეცოპერაციის შესახებ, ანუ, მისი დაკავების თაობაზე საიდუმლო ვითარებაში გაცემული ბრძანების შესახებ, ომარ გოგიამ ინფორმაცია სასამართლოსგან მიიღო.

ერთი სიტყვით, ძალოვანთა მრავალრიცხოვანმა კორტეჟმა, რომელმაც რუსთაველის გამზირი, ფაქტობრივად, გადაკეტა, ყოფილი "იმელის" შენობა, ომარ გოგიას ნაცვლად, შეცდომით დაკავებულ მის ტყუპისცალთან - ნუგზარ გოგიასთან და აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ბიზნესპარტნიორთან, „თბილსრესის" ფინანსურ დირექტორთან ნოდარ ბულბულაშვილთან ერთად დატოვა. ნუგზარ გოგიაც და ნოდარ ბულბულაშვილიც ორთაჭალის საპყრობილეში არიან გადაყვანილები.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, შპს „ოგას" ხელმძღვანელი ომარ გოგია და „თბილსრესის" ფინანსური დირექტორი ნოდარ ბულბულაშვილი ერთობლივად ჩატარებულ ფინანსურ მაქინაციებში არიან ბრალდებულნი. საუბარია, "თბილსრესში" მაზუთის შესატანად გამოყოფილი 13 მილიონი ლარის მითვისებაზე. როგორც ცნობილია, ფირმა "ოგა" წლების მანძილზე "თბილსრესს" საწვავით ამარაგებდა. ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს ომარ გოგიას ტყუპისცალი, ნუგზარ გოგიაც.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გენერალურ პროკურატურას მოეპოვება სოლიდური შავი სია, რომელშიც ყოფილ მაღალჩინოსანთა გვარებიც ფიგურირებს და რომელთაც კავშირი ჰქონდათ "თბილსრესში" ჩატარებულ ფინანსურ ოპერაციებთან. არსებული ინფორმაციით, გენერალური პროკურატურის რისხვის ობიექტები ენერგეტიკის ყოფილი მინისტრები გახდებიან. სავარაუდოდ, საუბარია დავით ზუბიტაშვილისა და თემურ გიორგაძის პასუხისმგებლობის საკითხზეც. პროკურატურა გეგმავს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთ წევრსაც წაუყენოს კორუფციული ბრალდებები.

ომარ გოგიას ძებნის თაობაზე დადგენილება გენერალურმა პროკურორმა გუშინ, გვიან ღამით, ოპერაციის ჩავარდნის შემდეგ მიიღო. 13 მილიონი ლარის მითვისებაში ბრალდებულ გოგიას სამართალდამცველები აქტიურად ეძებენ. სხვათა შორის, ომარ გოგიას სახელმა ცოტა ხნის წინ საეჭვო კონტექსტში ერთხელ უკვე გაიჟღერა.

შეგახსენებთ, რომ 2003 წლის 8 მაისს, ყოფილი "იმელის" შენობაში ომარ გოგიას თავს დაესხნენ უცნობი პირები და იგი სცემეს. ამის გამო გოგია რამდენიმე დღე მე-9 საავადმყოფოში მკურნალობდა. ომარ გოგიაზე მაშინ მომხდარი თავდასხმა დღემდე გაუხსნელია. დაზარალებულმა ომარ გოგიამ სამართალდამცველებს რამდენიმე ჩვენება მისცა და, როგორც მოგვიანებით გაირკვა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ყველა ჩვენებისას ტყუოდა. სამართალდამცველები მომხდარი ინციდენტის მიზეზს ოფიციალურად, მართალია, არ ასახელებდნენ, მაგრამ გარკვეულ მინიშნებებს ომარ გოგიას საქმიანობაზე აკეთებდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, გოგიას მისი ბიზნესპარტნიორის, სავაჭრო ცენტრ "მორკინალის" მეპატრონის დაცვის წევრები ესტუმრნენ და იგი იმავე დილით სასტუმრო "აჭარასთან" მომხდარ ბიზნესმენ ჯონი გიგანის მანქანის აფეთქებაში დაადანაშაულეს. გავრცელებული ინფორმაციით, ომარ გოგია "მორკინალში" არსებული მანქანების სავაჭრო სალონის მეწილეცაა.

## თემურ ინაიშვილის მკვლელობის საქმეს გენერალური პროკურატურა გამოიძიებს

აჭარის ავტონომიური რესპუბლის შს სამინისტროს მაღალჩინოსნის თემურ ინაიშვილის მკვლელობის პოლიტიკურ მოტივს ბათუმის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი კატეგორიულად გამორიცხავს.

მისი თქმით, გამოძიება ამუშავებს მკვლელობის ოთხ ვერსიას და ყველა მათგანი მოკლულის პირად ცხოვრებას უკავშირდება.

პოლიციის უფროსის თქმით, "თბილისში ვრცელდება ინფორმაციები, თითქოს ინაიშვილის მკვლელობა პოლიტიკური მოტივით მოხდა, რაც ამ საქმისადმი ყურადღების მისაპყრობად კეთდება, თუმცა აჭარელი სამართალდამცველები უამისოდაც არ აკლებენ ყურადღებას კოლეგის მკვლელობის საქმის გამოძიებას."

ბათუმის პოლიციის უფროსი ასევე გამორიცხავს ვერსიას, რომელიც ინაიშვილის სამსახურებრივ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. "თავისი სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, მას კრიმინალებთან შეხება არ ჰქონდა, ამიტომ მისი მკვლელობა სამსახურებრივ საქმიანობასთან არ არის დაკავშირებული," — აცხადებს ბათუმის პოლიციის უფროსი.

შეგახსენებთ, რომ თემურ ინაიშვილი ბათუმში, შაუმიანისა და სტალინის ქუჩების გადაკვეთაზე, "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან გასროლით მოკლეს. მოძრაობა "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი აქტიური ლიდერის მკვლელობის საქმეს აქამდე ბათუმის პროკურატურა იძიებდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გენერალურ პროკურორს მითითება მისცა, უმკაცრეს პირად კონტროლზე აიყვანოს აჭარის საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტის თავმჯდომარის მკვლელობის საქმე და საქმე გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურაში გადმოიტანოს. გენერალური პროკურორის ირაკლი ოქრუაშვილის ბრძანებით, აჭარაში ჩავა სპეციალურად ინაიშვილის მკვლელობის გამოსაძიებლად გენერალურ პროკურატურაში შექმნილი ჯგუფი, რომელიც ბათუმში მოკვლეულ მასალებს გენერალურ პროკურატურაში ჩამოიტანს. **24 საათი**

## სომხეთი დენის ტარიფს აძვირებს

უახლოეს მომავალში საქართველოს, შესაძლოა, სომხეთიდან დენის იმპორტი გაუჭირდეს. საქმე ისაა, რომ სომხეთის ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ, რომელიც ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ სექტორსაც კურირებს, დენის საექსპორტო ტარიფის 30 პროცენტით გაზრდა განიზრახა.

სხვათა შორის, კომისიის გადაწყვეტილება სომხეთში ამჟამად მოქმედ შიდა ტარიფსაც შეეხება.

ამ გადაწყვეტილების მიზეზად სომეხი ენერგეტიკოსები დენის ტარიფში სომხეთის გადაცემა-დისპეტჩერიზაციის წილის გაზრდის აუცილებლობას ასახელებენ.

წინასწარი ინფორმაციით, ამ საკითხის განსახილველად საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი მამუკა ნიკოლაიშვილი და კომპანია "თელასის" გენერალური დირექტორი დანგირას მიკოლაიუნასი 22 იანვარს ერევანში ვიზიტს გეგმავენ.

შეგახსენებთ, რომ კომპანია "თელასი" სომხეთიდან დენის იმპორტს დეკემბრის მეორე ნახევრიდან, 60 მეგავატი სიმძლავრით ახორციელებს და ამჟამად 1 კილოვატსაათი 2,54 ცენტი უჯდება. **24 საათი**

## ავარია ენერგოსისტემაში

მაია ურუშაძე

გუშინ, დილის ცხრა საათზე, საქართველოს ენერგოსისტემაში "სისტემური ავარია" მოხდა, რაც ნიშნავს, რომ ენერგომომარაგება მთელი ქვეყნის მასშტაბით შეწყდა. ენერგეტიკოსების ცნობით, ავარიის მიზეზი გახდა ენგურჰესის ერთ-ერთი, "მე-5 აგრეგატად" წოდებული ტურბინის ავარიული გაჩერება, რასაც შედეგად რუსეთ-საქართველოს მაკავშირებელი ხაზის "კავკასიონის" და თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის გამორთვა მოჰყვა.

მანამდე, სანამ მთელი საქართველო ჩაბნელებული იყო, ქვეყნის ცენტრალური სადისპეტჩერო ელექტროენერგიას მხოლოდ სომხეთიდან იღებდა, რითაც, ძირითადად, თბილისის ვაკე-საბურთალოს და მთაწმინდის რაიონები მარაგდება ხოლმე. დისპეტჩერებმა სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტების მოსამარაგებლად გამოიყენეს, რასაც მალე რუსეთიდან იმპორტის აღდგენა მოჰყვა და ავარიიდან საათსა და 20 წუთში მოხერხდა თბილისის მეტროპოლიტენის ჩართვა. დენის გათიშვის გამო გვირაბში ჩარჩენილი იყო 10 მატარებელი, საიდანაც მგზავრთა ევაკუაცია მხოლოდ დენის ავტონომიური წყაროს ჩართვის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

გუშინ, საღამოსთვის კი, როდესაც ავარიის შედეგები უკვე ლიკვიდირებული იყო და ენერგოსისტემამ ნორმალური ფუნქციონირება განაახლა, შესაძლებელი გახდა რუსეთიდან დენის იმპორტის ჩვეული რეჟიმით განახლება. რაც შეეხება თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის სისტემასთან მიერთებას, ეს პროცესი, ცოტა არ იყოს, გაჭიანურდა. როგორც "თელასში" განმარტეს, სირთულე იმან წარმოშვა, რომ ელექტროენერგიის ძირითადი კვების წყაროს გარეშე დარჩენამ ბლოკი დააზიანა.

ენერგოსისტემის პარალიზებაში სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა მამუკა ნიკოლაიშვილმა უცხოური კომპანიები დაადანაშაულა. მისი თქმით, ავარიის გამო მთელი პასუხისმგებლობა ქვეყნის ცენტრალურ სადისპეტჩეროს — "სახელმწიფო ელექტროსისტემას" უნდა დაეკისროს, რომელსაც ირლანდიელები მართავენ. ნიკოლაიშვილი მიიჩნევს, რომ სწორი მართვის შემთხვევაში, ავარია არ მოხდებოდა.

ნიკოლაიშვილის განცხადებას აპროტესტებენ "სახელმწიფო ელექტროსისტემაში". კომპანიის გენერალური დირექტორი ბრაიან ქრონლი აცხადებს, რომ საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს სწორი ინფორმაცია არ გააჩნია, რადგან "სახელმწიფო ელექტროსისტემის" დადანაშაულება გაუმართლებელია. მისი თქმით, სისტემის გათიშვა რუსეთის მხარის გულგრილმა დამოკიდებულებამ განაპირობა. **"დილით ენგურჰესის მე-5 აგრეგატი ავარიულად გამოირთო. სისტემა თან რომ არ გაეყოლებინა, რუსულ მხარეს ვთხოვეთ, "კავკასიონის" გადამცემ ხაზზე ავტომატი გაეძლიერებინა, რაც ხაზის გათიშვას აგვაცილებდა თავიდან, შესაბამისად, გამორთვას გადაურჩებოდა მე-9 ენერგობლოკიც. თხოვნის მიუხედავად, რუსულმა მხარემ რეაგირება არ მოახდინა,"** - განაცხადა ქრონლიმ. მისი თქმით, დისპეტჩერებმა უმოკლეს დროში შეძლეს ავარიის შედეგების ლიკვიდირება, რაც მათ პროფესიონალიზმზე მიუთითებს.

## დავოსის ეკონომიკური ფორუმი - საქართველოს პრეზიდენტის პირველი ვიზიტი

გუშინ მიხეილ სააკაშვილი შვეიცარიის სამთო-საკურორტო ქალაქ დავოსში გაემგზავრა. საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ფორუმს დაესწრება 2 ათასი სტუმარი მსოფლიოს 94 ქვეყნიდან, საიდანაც 34 ქვეყნის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, მათ შორის - რუსეთისა და აშშ-ის პირველი პირი იქნება. ფორუმის მონაწილეთა ნახევარზე მეტი ბიზნესმენები და მსოფლიოს წამყვანი კომპანიების ხელმძღვანელები იქნებიან. დავოსში მიხეილ სააკაშვილი სხვადასხვა ქვეყნების პირველ პირებთან, ასევე ნატო-სა და გაერო-ს გენერალურ მდივნებთან შეხვედრებს გეგმავს. სააკაშვილი შვეიცარიიდან 22 იანვარს დაბრუნდება.

როგორც პრეზიდენტის პრესსამსახურში აცხადებენ, ეს პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის პირველი ვიზიტია საზღვარგარეთ. სხვათა შორის, სააკაშვილი საქართველოს პირველი პრეზიდენტია, რომელიც დავოსში გამართულ ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობს. ბოლო ორი წელია, რაც საქართველოს დავოსის შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ შვეიცარიის მთავრობამ საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის მონაწილეთა უსაფრთხოებისთვის უპრეცედენტო ზომებს მიმართა. მობილიზებულია 10 ათასამდე პოლიციელი და სპეცსამსახურების თანამშრომელი. არ არის გამორიცხული, რომ დავოსში ანტიგლობალისტთა საპროტესტო აქციაც გაიმართოს. **24 საათი**

## "საოკეანე სანაოსნოს" ახალი გემი - "ჟიული შარტავა" შეემატა

"საოკეანე სანაოსნოს" ახალი გემი - "ჟიული შარტავა" შეემატა. სანაოსნომ და ტრანსპორტის სამინისტრომ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" დღეს გემის მაკეტის პრეზენტაცია გამართა და მოწვეულ სტუმრებსა და მასმედიას ჟიული შარტავაზე გადაღებული დოკუმენტური მასალა წარუდგინა. როგორც სანაოსნოს გენერალურმა დირექტორმა გურამ დოლბაიამ განაცხადა, "საოკეანო სანაოსნოს" გემის მშენებლობა გერმანული ბანკების დაფინანსებითა და დაკვეთით, 8 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა სამხრეთ კორეის ქალაქ ულსანის გემთსაშენ "ჰუნდაი მიკო"-ში. გემის ღირებულება 27 მილიონი დოლარია. 176 მეტრი სიგრძისა და 31 მეტრი სიგანის ახლად აშენებული გემი ორმაგი ფსკერითა და ყველა პარამეტრის დაცვით არის ნაგები. გურამ დოლბაიას თქმით, "საოკეანე სანაოსნოს" ბალანსზე 13 გემი ირიცხება, რომლებიც 20 წლის წინ არის აგებული, "აქედან გამომდინარე კი, აუცილებელი და გარდაუვალი იყო ახალი გემების შეძენა". "ჟიული შარტავას" წყალში ჩაშვება 26 თებერვალს მოხდება. მარტის თვეში კი "საოკეანე სანაოსნოს" კიდევ ერთი გემი - "ჭაბუა ამირეჯიბი" შეემატება. "ჰუნდაი მიკო" ამჟამად სწორედ ამ გემზე მუშაობს. "ჩვენი ქვეყნისათვის ეს წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, ახალი გემების ოკეანეში ჩაშვება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და მოხსნის მრავალ სოციალურ პრობლემას," - განმარტა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ჩუბინიშვილმა. **ინტერ-პრესი**

## "ჩვენი აჭარის" წევრებს ანგარიშს მოჭიდავე მუხრან ვახტანგაძის თანამოაზრეები უსწორებენ

სახალხო მოძრაობა "ჩვენი აჭარა" მოძრაობის წევრთა ფიზიკურ შეურაცხყოფაში ასლან აბაშიძის მხარდამჭერი ცნობილი მოჭიდავის მუხრან ვახტანგაძის თანამოაზრეებს ადანაშაულებს და მომხდარს მათ პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. "ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი დამფუძნებლის თამაზ დიასამიძის მონაცემებით, 19 იანვარს კაფე "ხარება და გოგიასთან" მომხდარ ინციდენტში, რომლის დროსაც მოძრაობის აქტივისტები გიორგი ირემაძე, თემურ ყურაშვილი და დათო დუმბაძე სცემეს, სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონის მუხრან ვახტანგაძის მეგობრები მონაწილეობდნენ. მისივე თქმით, მოჭიდავეებმა ბათუმის სასულიერო სემინარიის პრორექტორ გიორგი ირემაძეს, საბჭოთა პერიოდში საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ დამფუძნებელს თემურ ყურაშვილსა და ედპ-ს ძველ აქტივისტს დათო დუმბაძეს ხელჩართული ბრძოლა იმ დროს გაუმართეს, როცა მათ ვახტანგაძის კუთვნილ კაფეში სადილის ფული გადაიხადეს და გარეთ გამოვიდნენ. "გასული წლის ოქტომბერში აჭარის მოჭიდავეთა გუნდი, ვახტანგაძის ხელმძღვანელობით, აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში ასლან აბაშიძის მხარდასაჭერად," - აცხადებს დიასამიძე, რომლის მონაცემებით, სწორედ ამ ჯგუფმა დაარბია 2003 წლის ოქტომბერში ბათუმში "ნაციონალური მოძრაობის" მიტინგი და ფიზიკურად გაუსწორდა "ნაცმოძრაობის" აქტივისტს, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ქობულეთის მაჟორიტარ დეპუტატ კობა ხაბაზს. **ინტერ-პრესი**

## ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა მოსამართლის ფიცი დადო



*ნუგზარ გაბრიჩიძე*

ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, რამდენიმე დღის წინ პარლამენტის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ დამტკიცებულმა ნუგზარ გაბრიჩიძემ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელთან ნინო ბურჯანაძესთან მოსამართლის ფიცი დადო. მოსამართლის მანტიაში გამოწყობილი ექსპროკურორის ფიცის დადებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურიაც ესწრებოდა.

ნუგზარ გაბრიჩიძის განცხადებით, მისი საქმიანობის უმთავრესი და განმსაზღვრელი ნიშანი ობიექტურობა იქნება.

**"29 წელია, რაც ამ სისტემაში ვმუშაობ და ვეცდები, რომ წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება ჩემს ქვეყანას მოვახმარო,"** – განაცხადა ნუგზარ გაბრიჩიძემ.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას განცხადებით, უზენაესი სასამართლოსთვის ისეთი გამოცდილი, პროფესიონალი კადრის შემატება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

ყოფილ გენერალურ პროკურორს მოსამართლის მანტიის ტარება 10 წლით გარანტირებული აქვს, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, საქართველოს პარლამენტი 10 წლის ვადით ამტკიცებს. არსებული ინფორმაციით, გარდა მანტიისა, ნუგზარ გაბრიჩიძე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარის სავარძელსაც ჩაიბარებს. პალატის თავმჯდომარის პოსტი ამჟამად თავისუფალია, რადგან ყოფილი თავმჯდომარე, მოსამართლე ჯემალ ლეონიძე სულ ცოტა ხნის წინ მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ გადაიყვანეს. **24 საათი**

## ციხიდან გაქცევები გარედან იგეგმებოდა

იუსტიციის სამინისტროს სწრაფი რეაგირების რაზმმა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩხრეკის ოპერაცია ჩაატარა.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცნობით, ჩხრეკისას ამოღებულია 15 დანა, 20 ჩანგალი, 8 ბანქოს დასტა, 4 მობილური ტელეფონი, 6 ერთჯერადი შპრიცი, 2 ჩაქუჩი, 15 მაკრატელი, 3 თვითნაკეთი ხელკეტი და სხვა აკრძალული ნივთები.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის განცხადებით, მიმდინარე ღონისძიება მორიგი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ოპერაციაა, რომლის მიზანია მსჯავრდებულებისა და პატიმრებისგან აკრძალული ნივთების ამოღება.

მისი თქმით, ასეთი ღონისძიებები სხვა დაწესებულებებშიც ჩატარდება.

ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებიან შპს. "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი თავმჯდომარე აკაკი ჩხაიძე, სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია.

შოთა კოპაძის ინფორმაციით, რუსთავის მე-2 მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან 2003 წლის 10 სექტემბერს მომხდარი 129 პატიმრის გაქცევა, სავარაუდოდ, გარედან იყო ორგანიზებული. ამის თაობაზე გაქცევისას დაშავებულმა და შემდეგ სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით დაკავებულმა გუშაგმა ზაურ ალოევმა თავის ჩვენებაში განაცხადა. ზაურ ალოევის ჩვენებით, გაქცევამდე საგუშაგოსაკენ პირველი გასროლა გარედან მოხდა, რის შედეგადაც გუშაგი ახმედ ალიევი მოკვდა. ზაურ ალოევი ამის შემდეგ კოშკურიდან გადმოხტა და სხეულის დაზიანებები მიიღო. აკრძალულ ზონაში გადასული პატიმრები საგუშაგოზე მიტოვებულ იარაღებს დაეუფლნენ და გაქცევა აღარ გაჭირვებიათ. აღსანიშნავია, რომ ვერსია გაქცევის გარედან ორგანიზების შესახებ იმ ღამესვე გაჩნდა, თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ კოლონიასთან მისული რუსთავის პოლიციის მაშინდელი ხელმძღვანელობა აცხადებდა, რომ ეს ვერსია აბსურდულია და "ციხე შიგნიდან გატყდა".

ჯერჯერობით, გაქცევის ფაქტზე აღძრული საქმის გამოძიება არ დასრულებულა. **მედია-ნიუსი**

## "ლეიბორისტთა" ლიდერს ევრაზიური ინიციატივა

საფრანგეთში ვიზიტით მყოფი "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი ევრაზიის პოლიტიკური კონგრესის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. ეს ინიციატივა მან გუშინ, საფრანგეთის ნაციონალური ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტთან ჰელენ მინონთან შეხვედრის დროს გამოთქვა. ნათელაშვილმა აღნიშნა, რომ ევრაზიის პოლიტიკურ კონგრესში ევრაზიის კონტინენტზე მოქმედი პოლიტიკური, რელიგიური და სხვა სახის ორგანიზაციები უნდა გაერთიანდნენ. მისი განმარტებით, კონგრესის მიზანს "ევრაზიის დედამიწის პოლიტიკურ პოლიგონად გადაქცევა" წარმოადგენს. "ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსის გელა დანელიას განცხადებით, ჰელენ მინონმა მხარი დაუჭირა ნათელაშვილის ამ იდეას და მის განხორციელებაში ხელშეწყობას დაჰპირდა. გარდა ამისა, დანელიას თქმით, მან ნათელაშვილს "ლეიბორისტების" "სოცინტერნში" გაერთიანებაში დახმარების პირობა მისცა. ჰელენ მინონი "სოცინტერნის" გამგეობის წევრია. **ინტერ-პრესი**

## აჭარის პარლამენტის თავმჯდომარე სხდომაზე გარდაიცვალა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე ალექსანდრე გობრონიძე პარლამენტის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე მოულოდნელად გარდაიცვალა. ოფიციალური წყაროების ინფორმაციით, მხცოვანი სპიკერის გარდაცვალების მიზეზი გულის მწვავე ინფარქტია. "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე ცოტნე ბაკურია გობრონიძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გარდა, ყველა ვერსიას გამორიცხავს. მისი თქმით, აჭარის პარლამენტის თავმჯდომარე ოთხმოც წელს მიტანებული, უპატიოსნესი ადამიანი იყო, რომელიც ასაკიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდში ხშირად ავადმყოფობდა. გობრონიძეს, სავარაუდოდ, კვირას ბათუმში დაკრძალავენ. აჭარის პარლამენტის ბიუროს რიგით სხდომაზე, სადაც გობრონიძე გარდაიცვალა, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის საკითხს განიხილავდნენ. **მედია-ნიუსი.**

## ინაუგურაციაზე უსაფრთხოების ზომებს ამერიკელები შეამოწმებენ

პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიალზე დასასწრებად აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის ვიზიტთან დაკავშირებით, თბილისს, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის უსაფრთხოების საკითხის მოსაგვარებლად, ამერიკელ ექსპერტთა ჯგუფი ეწვია. დედაქალაქის მერიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე იაშვილის ინფორმაციით, ამერიკელი ექსპერტები იმ ტერიტორიებს შეამოწმებენ, სადაც აშშ სახელმწიფო მდივანს მოუწევს ვიზიტის დროს გავლა, აგრეთვე, იმ დარბაზს, სადაც კოლინ პაუელი სიტყვით გამოვა. ამერიკელი სპეციალისტები თბილისში რამდენიმე დღეს დაჰყოფენ. **მედია-ნიუსი**

## ნათელაშვილი ჟაკ შირაკს სააკაშვილის მიღებას არ ურჩევს

"საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი თხოვნით მიმართავს საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს, თავი შეიკავოს საქართველოს ახლადარჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიღებისგან მანამ, სანამ საქართველოში ხელახალი საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდება. ეს თხოვნა ნათელაშვილმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან გუშინდელი შეხვედრისას გამოთქვა. **ინტერ-პრესი**

## ბათუმის ინტელიგენციის ნაწილი ასლან აბაშიძეს მძიმე ბრალდებებს უყენებს და გადადგომისკენ მოუწოდებს

ბათუმის ინტელიგენცია აჭარის მეთაურს ასლან აბაშიძეს აჭარის ეკონომიკის განადგურებაში, რეგიონის ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კვანძად გადაქცევაში სდებს ბრალს და გადადგომისკენ მოუწოდებს. "არც "ჩვენი აჭარის" და არც "აღორძინების" წევრები არ ვართ. ჩვენ ვართ ძირძველი ბათუმელები და ვაცნობიერებთ საკუთარ პასუხისმგებლობას ქალაქისა და დედა-საქართველოს წინაშე," - განუცხადეს "ინტერ-პრესს" ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, რომლებმაც აჭარაში დარჩენილ ოჯახებზე მოსალოდნელი ზეწოლის გამო ვინაობის საჯაროდ გაცხადება არ ისურვეს.

მათი მტკიცებით, თბილისსა და დანარჩენ საქართველოში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ასლან აბაშიძე აჭარაში აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა, არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, აბაშიძის მმართველობის პერიოდში აჭარაში "სრულად განადგურდა მანქანათმშენებელი, საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელი, თევზის გადამამუშევებელი და გემთმშენებელი ქარხნები". მათი თქმით, ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს ინფორმაცია აბაშიძის მიერ რეგიონში 120 ხიდის აშენების თაობაზე, ვინაიდან "ამ რაოდენობის ხიდი აჭარაში საერთოდ არ არსებობს".

ბათუმის ინტელიგენცია ასლან აბაშიძეს პიონერთა პარკში 100-წლოვანი უნიკალური ხეების განადგურებაში, კორტების გაფართოების საბაბით, ბათუმის ერთ-ერთი უნიკალური შენობის დანგრევაში, სარფიდან ჩოლოქამდე ზღვის სანაპირო ზოლის უდიდესი ნაწილის პირად საკუთრებად გამოცხადებაში, საცურაო აუზის დანგრევაში, ფეხბურთის სტადიონის ნაწილის დაშლაში, ქალაქში კინოთეატრების უმოქმედობაში და მხოლოდ საკუთარი კლანის წარმომადგენლების დასაქმებაში ადანაშაულებს.

"განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს აბაშიძის ვაჟისა და შვილიშვილის - 12 წლის გიორგის პირადი სიამოვნებისთვის ქალაქში ავტორბოლების მოწყობა, რომელთა დროს ქუჩები იკეტება. მოსწავლეებს უდიდეს მორალურ ზიანს აყენებს აბაშიძის შვილიშვილისთვის სკოლაში პირადი ტუალეტის არსებობა, რომელშიც უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები მორიგეობენ," - აღნიშნეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

მათ პროტესტს იწვევს ასევე აბაშიძის ცოლისძმის, აჭარის უშიშროების მინისტრის სოსო გოგიტიძისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის დავით ბაკურიძის საქმიანობა, რომელთაც "საზოგადოება ნარკოტიკების მომხმარებლებად იცნობს". მათი მტკიცებით, სოსო გოგიტიძისა და დავით ბაკურიძის უშუალო ხელშეწყობით "აჭარა ნარკოტიკების სატრანზიტო რეგიონად იქცა, სადაც დაბალი ხარისხის ნარკოტიკების მოხმარების შედეგად 50-მდე ახალგაზრდა გარდაიცვალა".

ბათუმელი ინტელიგენცია ასლან აბაშიძეს სარფის საბაჟოდან დღე-ღამეში წილის სახით 80 ათასი აშშ დოლარის, სატვირთო საბაჟოდან - 65 ათასი აშშ დოლარის, ბათუმის პორტიდან - კვირაში 1 მლნ 200 ათასი აშშ დოლარის, აჭარაში რეალიზებული ყოველი ლიტრი ბენზინიდან 5 თეთრის აღებაში ადანაშაულებს და მოუწოდებს, "ვიდრე გვიანი არ არის, გააკეთოს დასკვნები საქართველოში უკანასკნელ პერიოდში განვითარებული პოლიტიკური პროცესებიდან და თავად გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან". **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ახალციხე**. საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე ახალციხის მკვიდრის, არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატ მესხთა კავშირის" თავმჯდომარის ამირან მესხელის კანდიდატურა სახელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორი დღის წინ, "ჩვენი აჭარის" ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შემდეგ, აჭარელი "მწვანეები" ოფიციალურად შეუერთდნენ სახალხო მოძრაობის მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში მოქმედი მოძრაობა "ახალგაზრდობა აფხაზეთისთვის" საქართველოს ხელისუფლებისგან პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე აფხაზეთის დეპუტაციის ხელახალ არჩევას და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დამატებითი არჩევნების ჩატარებას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სოციალისტური პარტიის" გენერალური მდივანი ზაქარია ქუცნაშვილი მიიჩნევს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის განხილვა და გადაწყვეტა იმ ჭრილიდან უნდა ამოდიოდეს, შეუწყობს თუ არა იგი ხელს აფხაზეთში დაბრუნებას. მისი აზრით, აფხაზეთის დეპუტაციის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის განხილვისას სწორედ ეს ფაქტორია გასათვალისწინებელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვანო ზოდელავას პრემიერ-მინისტრის მოადგილეობას თბილისის მერობა ურჩევნია. თბილისის მერი ვანო ზოდელავა გავრცელებულ ინფორმაციას, მისთვის პრემიერ-მინისტრის მოადგილეობის შეთავაზებასთან დაკავშირებით, არ ადასტურებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თედო ჯაფარიძის განცხადებით, რომელიც ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ბაქოში იმყოფება, საქართველოს ხელისუფლება აზერბაიჯანს კვლავაც სტრატეგიულ მოკავშირედ განიხილავს და ერთობლივი ეკონომიკური აქციების, მათ შორის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ყველა იმ პოლიტიკოსსა და საინფორმაციო საშუალებას, რომლებიც "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს "ნაციონალისტებად" იხსენიებენ, ხვალ სასამართლოსთვის ახსნა-განმარტებების გაცემა მოუწევთ. მოსარჩელე მხარეს პოლიტიკურ გაერთიანება "ქართველ ნაციონალისტთა ერთობის" ლიდერი გაიოზ მამალაძე წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური გაერთიანებისა და თავისი პარტიის სახელწოდებების აღრევაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური მოძრაობა "ქართველ ნაციონალისტთა ერთობის" ლიდერის გაიოზ მამალაძის განცხადებით, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მსურველ პარტიათა უმრავლესობა დარეგისტრირებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას დადგენილ ვადებში ვერ ასწრებს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# თავისუფლების ინსტიტუტი ახალ ხელისუფლებას აფრთხილებს

### რომ მართვის ძველი მეთოდებით დემოკრატიულ ქვეყანას ვერ ააშენებს

*გუშინ თავისუფლების ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე ამავე ორგანიზაციის წევრებმა ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების მისამართით დელიკატური ფორმის, მაგრამ სერიოზული ხასიათის მინიშნებები გააკეთეს. კერძოდ, მესამე სექტორის წარმომადგენლებმა ხელისუფლებას შეახსენეს, რომ ნებისმიერი სასიკეთო წამოწყება, თუკი იგი მართვის ძველ ფორმებსა და მეთოდებს დაეფუძნება, საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზით ვერ წაიყვანს.*

ვერიკო თევზაძე

არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელმაც გუშინ ასეთი მინიშნებები გააკეთა, მხედველობაში ჰქონდა ბოლო პერიოდში სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის ფაქტები და, რაც მთავარია, ამ კანონდარღვევებისადმი ხელისუფლების არაადეკვატური რეაქცია. **"თავისუფლების ინსტიტუტი და სამართლებრივი განათლების ასოციაცია ALPE უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბოლო დროს სახიფათო მასშტაბები შეიძინა პოლიციის თვითნებობამ და პოლიციელთა მხრიდან ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებმა... ჩვენ ოდნავადაც არ გვქონდა იმის ილუზია, რომ პოლიცია ხელის ერთი დაკვრით შეიცვლიდა მუშაობის ჩვეულ სტილს და მეთოდებს, მაგრამ ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის უყურადღებობა, რომელსაც ამ ფაქტების მიმართ იჩენს ხელისუფლება, პირველ რიგში კი, შინაგან საქმეთა მინისტრი,"** - განაცხადეს "თავისუფლების ინსტიტუტში".

კერძოდ, საუბარია პოლიციის მიერ იმ აქციის ორგანიზატორთა სასტიკად დარბევის ფაქტზე, რომელთაც 11 იანვარს თერჯოლის ავტომაგისტრალი გადაკეტეს. ამის შემდეგ პროკურატურამ და სასამართლომ აქციის მონაწილეთა მასობრივი დაპატიმრება დაიწყო. თანაც, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნეს, **"რიგ შემთხვევებში ბრალის წარდგენა მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით".** ადამიანის უფლებები უხეშად დაირღვა შიდა ქართლში, სადაც პოლიციამ ე. წ. რეიდები ჩაატარა **"ბორდელების გამოსავლენად."** მესამე სექტორის წარმომადგენლები სამართალდამცავ ორგანოებს და მასმედიის იმ საშუალებებს, რომელთაც "ბორდელის" მობინადრეთა სახეები ეთერში უჩვენეს, შეახსენებენ, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ადამიანის ერთ-ერთი უფლებაა.


*"თავისუფლების ინსტიტუტი" მხარს უჭერს დამნაშავეობასთან ბრძოლას, მაგრამ არა იმ მეთოდებით, რასაც ყოფილი ხელისუფლება იყენებდა.*

მართვის ძველ ფორმებსა და მეთოდებში "თავისუფლების ინსტიტუტი" პოლიციის მიერ "კანონიერი ქურდების" დაკავების ისეთ ფაქტებს გულისხმობს, როცა სამხილის არარსებობის გამო, ძალოვნები ამ კანონიერ ქურდებს ჯიბეში ნარკოტიკს უდებენ. "თავისუფლების ინსტიტუტი" აქტიურად უჭერს მხარს ხელისუფლების მიერ დამნაშავეობის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას, მაგრამ - არა ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე. მესამე სექტორის წარმომადგენლებს "კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებულად ესახებათ საკანონმდებლო ცვლილებების გზით. კერძოდ, ისინი ხელისუფლებას სპეციალური კანონის მიღებას სთავაზობენ, რომლის მიხედვითაც "კანონიერ ქურდობაში" მხილებული პირი, ყოველგვარი სამხილის გარეშე, სისხლის სამართლის დამნაშავეა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შარშან, 18 დეკემბერს შშს-ს იზოლატორში თავი ჩამოიხრჩო გია ინასარიძემ. ამ საქმესთან დაკავშირებული პირები სამსახურიდან დაითხოვეს. ჯერჯერობით უცნობია, მისცემენ თუ არა მათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები პრესას და საზოგადოებას მოუწოდებენ, ამ პროცესს აქტიურად ადევნონ თვალყური.

"თავისუფლების ინსტიტუტი" იმედს იტოვებს, რომ ხელისუფლება დაგვიანებით მაინც მოახდენს რეაგირებას ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე და კანონის დამრღვევები დაისჯებიან. რაც მთავარია, ამ ორგანიზაციის წევრები იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება და ძალოვანი უწყებები დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას მომავალშიც წარმატებით გააგრძელებენ, ოღონდ არა დანაშაულებრივი მეთოდებით. და ბოლოს, როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე ითქვა, ხელისუფლება (რაგინდ პროგრესული და ენთუზიასტი ადამიანებით არ უნდა იყოს იგი დაკომპლექტებული) მაინც ცდუნებაა და მას აუცილებლად სჭირდება აქტიური კონტროლი მასმედიისა და მესამე სექტორის მხრიდან.

# მომავალ კვირამდე ცესკო-ში სიმშვიდეა

ამ დღეებში ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, შედარებით სიმშვიდე სუფევს. იმის მიუხედავად, რომ 25 იანვარს ორ რაიონში (ჭიათურა და ასპინძა) დაგეგმილია მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურების გამართვა და ხაშურის რაიონის სოფელ ფლევში განმეორებითი კენჭისყრა (ეს პროცედურაც მაჟორიტარულ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდება), ცესკო-ში უკვე 28 მარტის საპარლამენტო პროპორციული არჩევნებისთვის ემზადებიან.

რამდენიმე დღის წინ ცესკო-მ უკვე დაამტკიცა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, რომლის თანახმადაც, იმ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელთაც პარლამენტში წარმომადგენელი არ ჰყავთ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საკუთარი განაცხადი არაუგვიანეს 26 იანვრის საღამოს ექვსი საათისთვის უნდა წარადგინონ.

რაც შეეხება 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერას: პარტიებმა ცესკო-ს საკუთარ მხარდამჭერთა სია შესამოწმებლად ოთხ თებერვალს უნდა გადასცენ. ცენტრალური საარჩევნო კომისია კი, სათანადო შემოწმების შემდეგ, ამ პარტიებს რეგისტრაციაში შვიდ თებერვალს გაატარებს.

ამავე პერიოდში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საკმაოდ რთული სამუშაო აქვს შესასრულებელი. იგი, ბუნებრივია, ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენას შეეხება. საწყის ბაზად ცესკო-ს ხელმძღვანელობა ამომრჩეველთა იმ მონაცემებს გამოიყენებს, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების დროს დაფიქსირდა. თუმცა, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, ეს მონაცემები გადამოწმდება და დაიხვეწება.

ამასთანავე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის ინტერნეტში განთავსება (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებული პირისათვის - ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი) უნდა უზრუნველყოს.

სხვათა შორის, ამის აუცილებლობაზე საუბრობენ როგორც პოლიტიკური პარტიების, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. მეტიც – მესამე სექტორი აპირებს, არჩევნებამდე დერჩენილ პერიოდში, შეძლებისდაგვარად, გადაამოწმოს ეს მონაცემები, თუნდაც, კარდაკარ შემოვლის პრინციპით.

თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ცესკო-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ამ ინფორმაციის განთავსება თებერვლის დასაწყისში დაიწყება. მანამდე კი ე.წ. შავი სამუშაოები (ანუ ამომრჩეველთა მონაცემების გადამოწმება-შესწორება) უნდა ჩატარდეს.

ასე რომ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წინ საკმაოდ დაძაბული დღეები ელის. მანამდე კი, როგორც ვთქვით, საარჩევნო კომისიაში საკმაოდ მშვიდი ატმოსფეროა. თუმცა, აქვე იმასაც დავძენთ, რომ სურათი, შესაძლოა, მომავალი კვირიდან შეიცვალოს, რადგან არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები 25 იანვარს – მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურების დღეს. მით უფრო, რომ ამ მხრივ, ვითარება არცთუ მშვიდია. თუნდაც ჭიათურაში, სადაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები დაუპირისპირდნენ. საკმაოდ რთული ვითარებაა ხაშურშიც, სადაც გამორიცხული არ არის, კანდიდატების ორთაბრძოლა ღია დაპირისპირებაში გადაიზარდოს.

*24 საათი*

# პრეტენზიები და მოსალოდნელი ლოიალობა

### საქართველოს დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის ემზადება

ლელა მჭედლიძე

*ინაუგურაციის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის (26-28 იანვრის) სესიის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.*

ამავე პერიოდში სტრასბურგში მიწვეულია კვიპროსის პრეზიდენტი ტასოს პაპანდოპულოსიც. ორი ქვეყნის პრეზიდენტები ასამბლეის წევრთა წინაშე კვიპროსსა და საქართველოში არსებული შიდა ვითარების შესახებ ისაუბრებენ. 28 იანვარს დაგეგმილია მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა ასამბლეაზე. გამოსვლის თემა იქნება "საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება". სესიაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იქნება მონიტორინგის კომიტეტის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული ანგარიში. მოსალოდნელია, რომ ამავე სესიაზე საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზეც ისაუბრებენ. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სამი წევრით იქნება წარმოდგენილი: "დემოკრატი" ელენე თევდორაძე, "ამღორძინებელი" ნათელა პატარქალიშვილი და ფრაქცია "თანადგომის" კვოტით - არმაზ ახველდიანი. ელენე თევდორაძის განცხადებით, **"დაახლოებით 70 რეკომენდაციიდან საქართველოს დღეისათვის შესასრულებელი დარჩა 30-ზე მეტი. შესაძლოა, ძირითადი პრეტენზია "თურქი-მესხების" საკითხთან დაკავშირებით გაჩნდეს, რომლის შესახებაც კანონი, წესით, ჯერ კიდევ 2002 წელს უნდა მიგვეღო. გარდა ამისა, ალბათ, დღის წესრიგში დადგება "ეროვნულ უმცირესობათა შესახებ ჩარჩო კონვენციის" რატიფიცირების საკითხიც."** რა თქმა უნდა, ევროსაბჭოს რეკომენდაციების შეუსრულებლობა საქართველოს მიმართ პრეტენზიებს გამოიწვევს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენს დელეგაციას ევროსაბჭოს ლოიალობის იმედი უნდა ჰქონდეს. "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდგომ საქართველოში ჩამოსულმა ევროსაბჭოს დელეგაციამ ეს, ფაქტობრივად, დაადასტურა და საკმაოდ გარკვევით მიანიშნა, რომ ახლა შესაძლებელია ევროსაბჭოს მიერ საქართველოსთვის დაკისრებული ვალდებულების გადახედვაც.

# ვიდრე პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება დღის წესრიგში შესულა...

პირველი გვერდიდან


*კოტე კემულარია*


*მიხეილ მაჭავარიანი*


*ირაკლი მინდელი*


*ფიქრია ჩიხრაძე*


*გუბაზ სანიკიძე*

თავისთავად, მინისტრთა კაბინეტზე გადასვლის იდეა ახალი არ არის. მისი რამდენიმე ვარიანტი აქამდეც იყო შემოთავაზებული, მაგრამ პოლიტიკურ წრეებში მათ სათანადო მხარდაჭერა ვერ ჰპოვეს.

**"ის კანონპროექტი კი, რომელიც თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ წარმოადგინა, საერთოდ საშინელება იყო,"** - ყოფილი პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის გახსენებაც აღარ სურს კემულარიას. მისი განცხადებით, ამ ცუდი ინერციის დასაძლევად უნდა შემუშავდეს სიცოცხლისუნარიანი მოდელი, რომელიც საყოველთაო განხილვის პროცესში კიდევ უფრო დაიხვეწება.

"ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობის დაწყება მოქმედ პარლამენტშიც შეიძლება. მეტიც: კემულარია წინააღმდეგი არ არის, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი სულაც ამ პარლამენტმა შემოიღოს, რადგან ეს, ლეგიტიმაციის მხრივ, **"არანაირ კითხვის ნიშნებს არ გააჩენს".**

**"მთავარია, თავად კანონპროექტი იყოს დახვეწილი და მას, პოლიტიკოსების გარდა, მხარს უჭერდნენ სამოქალაქო სექტორი, მასში შემავალი ე.წ "ინტერესთა ჯგუფები" და ბიზნესმენები,"** - დასძენს კემულარია. ამ საკითხში მთავარ სიძნელედ მას უფრო პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის ინსტიტუტების დაბალანსება მიაჩნია.

მინისტრთა კაბინეტზე გადასვლის შესახებ თითქმის ანალოგიური შეხედულებები აქვთ "ნაციონალების" მთავარ პოლიტიკურ პარტნიორებს - "ბურჯანაძე-დემოკრატებს". არც მათი საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი ანიჭებს არსებით მნიშვნელობას იმას, მმართველობის სისტემის რეფორმას რომელი პარლამენტი განახორციელებს, თუმცა ის მაინც შენიშნავს, რომ, დროის მოგების მიზნით, უკეთესი იქნება, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი მოქმედმა საკანონმდებლო ორგანომ შემოიღოს.

ხელისუფლების წარმომადგენლებისგან განსხვავებულ პოზიციაზე დგანან მათი პოლიტიკური ოპონენტები. სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის ირაკლი მინდელის განმარტებით, ვინაიდან საქმე ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების ძირფესვიან ცვლილებას და კონსტიტუციის გადასინჯვას, უკეთესი იქნება, თუ ამას 28 მარტის არჩევნების შემდეგ შეკრებილი პარლამენტი გააკეთებს.

ამასთან, მინდელისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება თანაარსებობდნენ ძლიერი პრეზიდენტი და ძლიერი პრემიერ-მინისტრი.

**"თუ აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტი უხელმძღვანელებს და სააკაშვილმა თქვა, რომ ამ უფლებების სხვისთვის გადაცემას არ აპირებს, მაშინ პრემიერ-მინისტრი ნამდვილად ვერ იქნება ძლიერი, მაგრამ თუ სააკაშვილი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურისა და მთავარსარდლის ფუნქციებით შემოიფარგლება და აღმასრულებელ ხელისუფლებას პრემიერი უხელმძღვანელებს, ამ შემთხვევაში უკვე პრეზიდენტის ინსტიტუტი სუსტდება,"** - აღნიშნავს მინდელი.

ასეა თუ ისე, მინისტრთა კაბინეტის შემოღება სოციალისტური პარტიის თავმჯდომარეს მაინც მიზანშეწონილად მიაჩნია, რადგან, მისივე განმარტებით, **"არსებულ მოდელს დიდი შესაძლებლობები არა აქვს."**

**"არ შეიძლება, ყველაფერი ერთ კაცზე იყოს დამოკიდებული. ყველა დოკუმენტს პრეზიდენტი არ უნდა აწერდეს ხელს. ასეთ პირობებში გადაწყვეტილებების განხორციელების კონტროლიც გაძნელებულია,"** - აცხადებს მინდელი.

თუმცა, მისი თქმით, შეიძლება საუბარი იყოს არსებული სისტემის დახვეწაზეც; კერძოდ, პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეკვეცის ხარჯზე სახელმწიფო მინისტრის ფუნქციების გაზრდაზე.

დღეს არსებული მმართველობის მოდელის გაუმჯობესებაზე კიდევ უფრო ხმამაღლა საუბრობენ "ახალი მემარჯვენეები". მათი საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე პირდაპირ აცხადებს, რომ მინისტრთა კაბინეტზე გადასვლას მხარს არ უჭერს და მოქმედ მოდელს ემხრობა, ოღონდ იმ პირობით, რომ ის აუცილებლად დაიხვეწება და ამერიკულ "დედანს" მიუახლოვდება.

**"არსებული მოდელის მთავარ ნაკლად ის მიაჩნიათ, რომ მასში თითქოს არ არის გამოკვეთილი გუნდური პასუხისმგებლობა. ეს მოსაზრება უსაფუძვლოა. ასეთი მძიმე მდგომარეობა მხოლოდ იმიტომ გვაქვს, რომ ადამიანების შერჩევა ხდება უპასუხისმგებლოდ. თუ სათანადო სურვილი იქნება, გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპი ნებისმიერ მოდელში შეიძლება ჩაიდოს,"** - ამტკიცებს ჩიხრაძე.

მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზე უარს ამბობენ "ტრადიციონალისტებიც", მიუხედავად იმისა, რომ თავად პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის საწინააღმდეგო მათ არაფერი აქვთ. გუბაზ სანიკიძის აზრით, დღევანდელი ხელისუფლება ნებისმიერ ცვლილებას "რალაცისთვის" კი არა, "ვიღაცისთვის" ახორციელებს.

**"მინისტრთა კაბინეტის შემოღება იმიტომ სურთ, რომ ზურაბ ჟვანია დაკმაყოფილდეს,"** - აცხადებს ფრაქცია "ტრადიციონალისტის" თავმჯდომარე იმის მიუხედავად, რომ მისთვის უცნობია, კონკრეტულად რა ვარიანტს ემხრობა ხელისუფლება.

ერთი სიტყვით, ახალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობაც რომ ჰყავდეს დღევანდელ ხელისუფლებას, მმართველობის სისტემის რეფორმირებისთვის სერიოზული განსჯა და ფიქრი მაინც მოუწევს.

# "იტერა" თამაშგარე მდგომარეობაში დატოვეს

## "გაზპრომი" საქართველოს რეგიონებს გაზს არ შეუწყვეტს, მაგრამ "იტერას" დაბლოკავს

მაია ურუშაძე

*გუშინ "იტერასა" და "გაზპრომს" შორის ურთიერთობა გაირკვა. "არა!" – ასე უპასუხა "გაზპრომის" თავკაცმა ალექსეი მილერმა "იტერას" და მას საკუთარი ქართული საწარმოების გაზმომარაგების საშუალება წაართვა, ქართულ მხარეს კი საქართველოს გაზმომარაგების საჭირო რეჟიმში შენარჩუნება აღუთქვა. აშკარაა, რომ "გაზპრომი" "იტერას" სამხრეთ კავკასიის ბაზრიდან უკვე ღიად ერეკება.*

როგორც ჩანს, ალექსეი მილერს "იტერას" კავკასიური სქემიდან ამოგდება მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ყოველ შემთხვევაში, გუშინ მოსკოვში გამართული, გაზის კავკასიური ბაზრისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაუნდი ამაზე მეტყველებს.

ამ ბრძოლაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდა საქართველოს წარმომადგენლობაც – საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოცირიძე მოსკოვში ამ მიზნით 18 იანვარს ჩავიდა და, ფაქტობრივად, მაშინვე მიიღო გარანტიები, რომ საქართველოში მდებარე "იტერას" კუთვნილ რაიონულ გაზმომმარაგებელ საწარმოებს გაზი არ შეუწყდებოდათ.

"გაზპრომთან" საუბრისას "იტერას" მთავარი კოზირი ის გახლდათ, რომ "იტერას" საქართველოში საკუთარი აქტივები – 12 რაიონული გაზგამანაწილებელი საწარმო და საკუთარი ქიმიური წარმოების კომბინატი – "აზოტი" აქვს. გარდა ამისა, მას აქვს საკუთარი გაზი და, ბუნებრივია, თავისი საწარმოების საკუთარი გაზით უზრუნველყოფის სურვილი ამოძრავებდა. "24 საათი" წერდა, რომ "იტერასთვის" საქართველოს ბაზარზე ყოფნას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ამის გამო, ეს კომპანია ქართულ მხარესთან არაერთხელ წავიდა დათმობაზე და გაზის საფასურის გადახდის ვადებიც გადაუწია.

"იტერას" კუთვნილი გაზგამანაწილებელი საწარმოები საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილს ემსახურება. ამდენად, მათი გაზის გარეშე დატოვება საქართველოს გაზის ბლოკადაში მოქცევას ნიშნავს. ამდენად, თუ "გაზპრომი" საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაზე არ წავა, მას საქართველოსთვის გაზმომარაგების შეწყვეტის უფლება არა აქვს. მაშასადამე, ამ ეტაპზე, "გაზპრომთან" საუბრისას, საქართველო "იტერას" სტრატეგიული მოკავშირის როლში აღმოჩნდებოდა, თუ ქართულ მხარეს "გაზპრომის" თავკაცი ალექსეი მილერი უფრო მომგებიან წინადადებას არ შესთავაზებდა და თავის გაზს "იტერას" კუთვნილი საწარმოებისთვის, "იტერას" ნაცვლად, გაზის საერთაშორისო კორპორაციის, ან, სულაც, "თბილგაზის" ექსკლუზიური გაზმომმარაგებლის "გაზექსპორტის" მეშვეობით არ მიაწვდიდა.

დღეს ალეკო გოცირიძე უკვე ღიად აფიქსირებს, რომ "გაზპრომთან" ურთიერთობის გასარკვევად ის "იტერას" ერთ კვირას, ანუ ზუსტად იმდენ დროს აძლევს, რამდენი ხნითაც საქართველოს უწყვეტი გაზმომარაგების გარანტია ალექსეი მილერისგან თავად მიიღო. ის, თუ რა ფორმით და ვისგან მიიღებენ გაზს "იტერა-ჯორჯიას" აბონენტები, ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. ერთი რამ კი აშკარაა – გაზის კორპორაციის კუთვნილი 70 მილიონი კუბური მეტრი გაზი, რომელსაც ეს ორგანიზაცია "გაზპრომის" გაზის სომხეთში ტრანზიტის სანაცვლოდ იღებს, "იტერას" ყველა საწარმოს არ ეყოფა.

**"თუ ერთი კვირის ვადაში "იტერასა" და "გაზპრომს" შორის მოლაპარაკება არ შედგა, მაშინ "გაზპრომთან" ერთად საქართველოს რეგიონების გაზმომარაგების ალტერნატიულ გზებს გამოვძებნით,"** – აცხადებს გოცირიძე და იმ "იურიდიულ მექანიზმებზე" საუბრობს, რომელთა მეშვეობითაც ამ შემთხვევაში საქართველოს რეგიონების გაზმომარაგება უნდა განხორციელდეს. სავარაუდოდ, ამ პერიოდში დასაზუსტებელ "დეტალებს" შორის უმთავრესი ის იქნება, თუ კონკრეტულად რომელი ორგანიზაცია ჩაჯდება გაზმომარაგების სქემაში "იტერას" ნაცვლად – თავად "გაზპრომი" ("გაზექსპორტის" სახით) თუ საქართველოს გაზის კორპორაცია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქმის თავის სასარგებლოდ გასაჩარხად გაზის კორპორაციას თავის კოზირები აქვს. კერძოდ კი ის, რომ ამ ეტაპზე "გაზპრომი" თავის 45-პროცენტიან შვილობილ სომხურ "არმროსგაზპრომს" გაზით მხოლოდ საქართველოს გავლით ამარაგებს.

სხვათა შორის, რუსული მასმედია, ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოა, რომ "გაზპრომის" თავკაცმა ალექსეი მილერმა ბელორუსიის გაზის სექტორში ექსპანსიას "კავკასიური პრობლემების" მოგვარება ამჯობინა და გუშინდელი დილა სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრას დაუთმო. **"პრემიერ-მინისტრ კასიანოვის მითითების მიუხედავად, სასწრაფოდ მოეგვარებინა ბელორუსიასთან ურთიერთობა, ალექსეი მილერმა სომხეთის "არმროსგაზპრომის" ხელმძღვანელ კარენ კარაპეტიანთან და საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტ ალეკო გოცირიძესთან შეხვედრა ამჯობინა,"** – "იკბინება" "ვედომოსტი". რუსი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ სომხეთის გაზმომარაგების უზრუნველყოფა "გაზპრომს" საკმაოდ ძვირი უჯდება – საქართველოსათვის ტრანზიტისათვის გადახდილი 70 მილიონი კუბური მეტრი გაზი. **"ირანის გაზსადენის ამოქმედების შემდეგ "გაზპრომი" სომხეთს საქართველოსგან დამოუკიდებლად მოამარაგებს,** - წერს "ვედომოსტი", - **მართალია, "გაზპრომს" საქართველოსთან 25-წლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, მაგრამ ეს დოკუმენტი 2003 წელს გაფორმდა, მას შემდეგ კი საქართველოს პოლიტიკაში ბევრი რამ შეიცვალა..."**

მოკლედ, "გაზპრომის" ხელმძღვანელობა გაზის კავკასიური ბაზრისადმი დაუოკებელ ინტერესს ვეღარ მალავს და საქართველოში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით ადევნებს თვალს.

ამასობაში კი, თბილისის უწყვეტი გაზმომარაგების უზრუნველსაყოფად "თბილგაზმა" "გაზექსპორტთან" ერთწლიანი თანამშრომლობის ხელშეკრულება ოფიციალურად გააფორმა. აქამდე "თბილგაზის" გაზმომარაგება ოფიციალური ხელშეკრულების გარეშე ხორციელდებოდა. "გაზექსპორტის" მიერ "გაზპრომისათვის" წარდგენილი განაცხადის მიხედვით, წლის განმავლობაში "თბილგაზი" 400 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიიღებს, რაც გასულ წელს მიღებული გაზის ოდენობას 80 მილიონი კუბური მეტრით აღემატება. ყოველ 1000 კუბურ მეტრ გაზზე "თბილგაზი" 60 დოლარს გადაიხდის.





*ალეკო გოცირიძეს, იგორ მაკაროვსა და ალექსეი მილერს შორის ამოუცნობი სამკუთხედი იკვრება.*

# ენერგეტიკული დილემის წინაშე

პირველი გვერდიდან

თუმცა, საქართველოს ხელისუფლება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ამ თანხების სხვა გზით წარმართვაზე საუბარს აპირებს. საქმე ისაა, რომ არარენტაბელური ბლოკების რემონტი, რომელთა გამართული მუშაობის გარანტირება აღდგენის შემდეგაც კი გაჭირდება, არც ახალ ხელისუფლებას დაუჯდა ჭკუაში. ამასთან, ხელისუფლებას ამ ბლოკებისადმი ინტერესის გამოვლენის სურვილს ისიც უკარგავს, რომ დღეს პროკურატურაში მათ აღდგენასა და, შემდგომ, მუშაობასთან დაკავშირებული ბინძური საქმეების მთელი დასტა დევს.

ამის გამო, თბილსრესისათვის განკუთვნილი 12 მილიონი ევროს დახარჯვას ხელისუფლება ელექტროენერგიის შემოტანისთვის გეგმავს. იმპორტი "გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" უნდა განახორციელოს, დენის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხებით კი კრედიტის გასტუმრებას მოემსახუროს. 12 მილიონი ევრო, სავარაუდოდ, ქვეყნის ელექტრომომარაგებას თებერვლის ბოლომდე, ან, უკეთეს შემთხვევაში, მარტის შუა რიცხვებამდე ეყოფა.

თუმცა, სააგენტო "ინტერ-პრესის" ცნობით, "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მმართველი ამერიკული კომპანია "პი-ეი კონსალტინგი" მიიჩნევს, რომ კრედიტის იმპორტზე დახარჯვა კომერციულად გაუმართლებელია. "თუ აღრიცხვიანობა არ გამოსწორდა, იმპორტზე დახარჯული თანხების ამოღებისა და, შემდგომ, მიზნობრივად მიმართვის იმედი ნაკლებია," – აცხადებენ კომპანიაში.

ამასთან, ვინაიდან KFW-სთან გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ეს 12 მილიონი ევრო სისტემის სასაქონლო დახმარებას უნდა მოხმარდეს, საქართველოს მთავრობა ელექტროენერგიის იმპორტისთვის კრედიტს გერმანიის მთავრობის ნებართვის გარეშე ვერ დახარჯავს. ყოველ შემთხვევაში, სააგენტო "ინტერ-პრესის" ცნობით, ასე მიიჩნევენ გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოს ბიუროში.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისათვის, რომ ბანკი კრედიტის იმპორტისაკენ მიმართვის წინააღმდეგ წავიდეს, ისაა, რომ დღეს ენერგეტიკა "მინუსებზე", ანუ წაგებაზე მუშაობს. შესაბამისად, არსებობს რისკი იმისა, რომ კრედიტის სახით მიღებული თანხების ამოღება მართლაც ძალიან გაძნელდეს.

სხვათა შორის, თბილსრესის სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ენერგობლოკების რეაბილიტაცია სურს საქართველოს ამჟამინდელ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრ მამუკა ნიკოლაიშვილსაც, თუმცა იგი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ არის და ამიტომ გერმანული კრედიტი იმპორტისთვის უნდა დაიხარჯოს.

რაც შეეხება ამ ბლოკებს, მათ გამოყენებას, იმედია, მომავალში კინოინდუსტრია მაინც შეძლებს: მათ დაძველებულ მილებს მხოლოდ იმის უნარი-ლა შერჩათ, რომ მორიგი ამერიკული ბოევიკის ფინალური სცენის გადაღებისას, ჰოლივუდელი ანტიგმირი ორთქლის ჭავლით ეფექტურად შებრაწონ. ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჰოლივუდელ კინორეჟისორებს თავიანთ ქვეყანაში გადაღებების საწარმოებლად მიტოვებული საქვაბეები შემოაკლდებათ.

# დევიდ ფილიპსი საქართველოს ვალებზე მორატორიუმის გამოცხადების მომხრეა

## საქართველოს საგარეო ვალმა კი უკვე 1,7 მილიარდ დოლარს მიაღწია

ნინო ნარჩემაშვილი

აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა უსაფრთხოების საბჭოს დირექტორის მოადგილემ დევიდ ფილიპსმა საქართველოსათვის მომავალი განვითარების კონცეფცია შეიმუშავა, რომლის პრეზენტაციაც სასტუმრო "მერიოტში" გაიმართა. კონცეფციის ძირითადი შინაარსის ფორმულირება კი, მისი ავტორის განცხადებით, ასე ჟღერს **"საქართველოს საგარეო ვალებზე 2007 წლამდე მორატორიუმი უნდა გამოცხადდეს; თუმცა ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ქვეყანა კორუფციასთან ეფექტურ ბრძოლას უზრუნველყოფს."**

რაც შეეხება საქართველოს საგარეო ვალს, "24 საათი" უკვე წერდა, რომ მისმა რაოდენობამ დღეისათვის 1,7 მილიარდი აშშ დოლარი (3,7 მილიარდი ლარი) შეადგინა, ანუ ეს ციფრი ჩვენი სახელმწიფოს მიერ და სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების ოდენობას აღნიშნავს. კრედიტორების საკმაოდ შთამბეჭდავი და ვრცელი სიიდან მხოლოდ ერთადერთ ქვეყანას, თურქმენეთს (რომელსაც საქართველოს 297 მილიონი დოლარი მართებს), ვალი მომსახურებით, სამუშაოთა წარმოებითა და ნედლეულის მიწოდებით უბრუნდება. დანარჩენი მრავალმხრივი და ორმხრივი კრედიტორები ვალის დაბრუნებას მხოლოდ ფულითვე მოითხოვენ. ასევე უნდა დაბრუნდეს სახელმწიფო გარანტიით აღებული სესხები. ვალების დაფარვა კი თითოეულ კრედიტორთან, იქნება ეს ქვეყანა, თუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, გაფორმებული ხელშეკრულების გრაფიკის შესაბამისად ხორციელდება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მთავრობას ყველაზე დიდი ოდენობის ვალი - 506 მილიონი აშშ დოლარი (ერთი მილიარდი ლარი) - მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მართებს. საქართველოს მთავრობის ვალების გასტუმრება ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მეშვეობით ხდება და აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი კრედიტები, რომლებიც წინა ხელისუფლების მმართველობის ბოლო პერიოდში შეჩერებული იყო ქართული მხარის მიერ აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

აშშ-ს საგარეო ურთიერთობათა უსაფრთხოების საბჭოს დირექტორის მოადგილის დევიდ ფილიპსის მიერ შემუშავებულ კონცეფციაში საუბარია იმ გადაუდებელ ღონისძიებებზე, რომელიც საქართველოში უახლოესი 100 დღის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. ღონისძიებათა შორის უმთავრესი ადგილი კორუფციასთან ბრძოლას, გადასახადების ამოღების გაუმჯობესებას და სოციალური მდგომარეობის გამოსწორებას უკავია. დევიდ ფილიპსი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში კორუფციის დაძლევის მიზნით აუცილებელია 30 პროცენტით შემცირდეს ბიუროკრატია, გამარტივდეს გადასახადები და გაუმჯობესდეს მათი ადმინისტრირება, გაადვილდეს ტვირთების განბაჟების პროცესი და შეიქმნას ხელსაყრელი პირობები უცხოური კაპიტალის მოსაზიდად. სასტუმრო "მერიოტში" გამართულ შეხვედრაზე დევიდ ფილიპსი პოლიტიკასაც შეეხო და აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მიზანშეწონილია პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის შემოღება, ხოლო უფრო შორეული პერსპექტივა ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება გახლავთ. მისი პროგნოზით, **"ნატო-ში ინტეგრირება უფრო სწრაფად მოხდება, ვიდრე ევროკავშირში. ევროგაერთიანებაში შესვლისათვის საჭიროა 60-ათასგვერდიანი რეკომენდაციების შესრულება, რაც, ალბათ, გაჭიანურდება".** აღსანიშნავია, რომ საგარეო ურთიერთობათა უსაფრთხოების საბჭო აშშ-ში არასამთავრობო ორგანიზაცია გახლავთ და არ გამოხატავს მთავრობის პოზიციას, თუმცა შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ექსპერტები ითვალისწინებენ მსოფლიოში საქართველოსადმი არსებულ დიდ ინტერესს და მიიჩნევენ, რომ 2004 წლის ზაფხულში საქართველოში "ტურისტთა ბუმი" იქნება. როგორც ეკონომიკის ექსპერტმა ნიკო ორველაშვილმა განაცხადა, საქართველოს მიმართ ინტერესის გაღვივებას დავოსში მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმიც შეუწყობს ხელს. "საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს პრობლემებთან მარტო არ ტოვებს. წინაპირობა ჩვენც უნდა შევქმნათ და ყველას დავუმტკიცოთ, რომ ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა ჩვენვე გვინდა,"- აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, საღამოს, საქართველოს სამდღიან ვიზიტად მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური დირექტორი დონა დოუსეთ-ქოიროლო ეწვია. ვიზიტის მიზანს იმ პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენს, რომელთა განსახორციელებლად მსოფლიო ბანკმა მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ მხარეს დახმარება უნდა აღმოუჩინოს. ვიზიტის ფარგლებში სტუმარი საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ ნინო ბურჯანაძეს, სახელმწიფო მინისტრ ზურაბ ჟვანიას და მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებს შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**რუსთავი.** სამშაბათიდან ხელფასების მომატების მოთხოვნით გაფიცვა დაიწყეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გარდაბნის რაიონის ჯანდარის მონაკვეთის მშენებლებმა. ნავთობსადენის მშენებლობა დროებით შეჩერებულია. ნავთობსადენის მომსახურე პერსონალი "ბი-პი"-ს მიმართ პრეტენზიებს გამოთქვამს. აქციის მონაწილენი აცხადებენ, რომ "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობა მათ იმაზე მეტს ამუშავებს, ვიდრე ეს ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული. მუშა-მოსამსახურეები "ბი-პი"-სგან ხელფასების მომატებას, ან სამუშაო საათების შემცირებას მოითხოვენ. იმ შემთხვევაში, თუ "ბი-პი" მათ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, ისინი მუშაობაზე უარს იტყვიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 23 იანვარს საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში OPT-ს სიხშირეზე მაუწყებლობის ლიცენზიის მოსაპოვებლად კონკურსი გაიმართება სამაუწყებლო კომპანიებს - "რუსთავი-2"-სა და "ტექნომედიას" შორის. ეს კონკურსი გასული წლის 24 ოქტომბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმის გამო ჩაიშალა, რომ კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ აბაშიძემ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიების მხრიდან კომისიის წევრებზე განხორციელებული ზეწოლის თაობაზე განაცხადა: "ვერ ავიღებ პასუხისმგებლობას იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს კომისიის გადაწყვეტილებას. ამიტომ პრეზიდენტს ჩემი გათავისუფლების თხოვნით მივმართე," – განაცხადა მან, თუმცა პრეზიდენტმა შევარდნაძემ მისი განცხადება არ დააკმაყოფილა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 23 იანვარს საერთო საეთერო მაუწყებლობაზე კიდევ ერთ კონკურსს ჩაატარებს. კონკურსში გამარჯვებულს 11 გადამცემის მეშვეობით შესაძლებლობა ექნება, ტელემაუწყებლობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გაავრცელოს. ამ კონკურსში ლიცენზიის მიღებას სამი ტელეკომპანია — "მე-9 არხი", "იბერია" და "მზე" შეეცდება. ლიცენზიის საწყისი ფასი 467.240 ლარია, თუმცა კონკურსი აუქციონის სახით ჩატარდება და არ არის გამორიცხული, ეს ფასი კიდევ გაიზარდოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის გუშინდელ ვაჭრობაზე ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 2,13 ლარით განისაზღვრა. შიდა სავალუტო ბაზარზე დოლარის შესყიდვის კურსი 2,127 ლარი, ხოლო გაყიდვის კურსი – 2,135 ლარი იყო. 13 იანვრიდან ლარის მიმართ ძალაშია უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: 1 ევრო - 2,6519 ლარი; 1 რუბლი - 0,0740 ლარი, 1 გირვანქა სტერლინგი - 3,8182 ლარი. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის ახლად დანიშნულმა მინისტრმა ირაკლი რეხვიაშვილმა 6 მოადგილიდან მხოლოდ ორი - ნათია თურნავა და გელა ჩარკვიანი დაიტოვა. მინისტრის მოადგილის თანამდებობები დატოვეს მერაბ შარაბიძემ, გიორგი მეძმარიაშვილმა, სოლომონ პავლიაშვილმა და გოჩა მეგრელიძემ. სამომავლოდ მინისტრს ოთხი მოადგილე ეყოლება. იგეგმება სამინისტროს სახელწოდების შეცვლაც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პურის ფასის "ნახტომისებური" ზრდა მოსალოდნელი არ არის, თუმცა შესაძლებელია, გაზაფხულამდე ფასმა მოიმატოს. ამის შესახებ ჟურნალისტებს სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ განუცხადა, რომელიც გუშინ სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას მიერ პურის ფასების რეგულირებასთან დაკავშირებით გამართულ სპეციალურ თათბირს ესწრებოდა. კირვალიძის თქმით, პურის ფასის ზრდის თავიდან ასაცილებლად მთავრობა ამჟამად ხორბლის მარაგის დამატებითი რესურსების მოძიებასა და შესაბამისი საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაციაზე მუშაობს. **ინტერ-პრესი**

# ევროპა სტაბილური ევროს მომხრეა

დიანა ჩაჩუა

*გავამყაროთ თუ შევასუსტოთ ევრო - ამ შეკითხვაზე უნდა გაეცათ პასუხი ბრიუსელში შეკრებილ ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებს. მათ თავი შეიკავეს რთული გადაწყვეტილების მიღებისაგან. მინისტრების განცხადებით, მთავარია, მომავალში მათ არ დაუშვან ევროპული ვალუტის მკვეთრი ცვლილებები.*

ფინანსთა მინისტრების შეხვედრიდან ელოდნენ სიგნალს: რა პოლიტიკა აერჩიათ ევროს მიმართ უახლოესი მომავლისათვის. მინისტრებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ბაზარს მათ კონსულტაციებზე მშვიდად მოეხდინა რეაგირება.

ევროს მომავალთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის - ირლანდიის ფინანსთა მინისტრმა მაკ კრივიმ: **"ეკონომიკის განვითარების მთვარ მაჩვენებლებთან ერთად, ევრომ თავისი კურსი ხანგრძლივად უნდა შეინარჩუნოს. დღეს ჩვენთვის მთავარი სტაბილურობაა და ყველაზე მეტად ვალუტის კურსის სწრაფი ცვალებადობა გვაღელვებს,"**- განაცხადა მან. უკანასკნელად ევრომ გასულ კვირას განიცადა ცვლილება, როდესაც მისი კურსი მკვეთრად გაიზარდა. ასეთ შემთხვევებში წაგებულები ევროპელი ექსპორტიორები არიან, მოგებულები კი - ამერიკელები. თუ წარმოვიდგენთ ერთი სახეობის კონკურენტ პროდუქტებს, მაგალითად - ფრანგულ და კალიფორნიულ ღვინოს, მივიღებთ, რომ ევროს კურსის ამაღლებამდე ერთი ბოთლი ფრანგული ღვინო ამერიკაში ღირდა 6,20, ხოლო ამაღლების შემდეგ -6,40. ფრანგული ღვინო გაძვირდა 20 ცენტით, ხოლო ამერიკული პირიქით - გაიაფდა. ევროპულ საქონელზე მოთხოვნა მცირდება, ხოლო ამერიკულზე იზრდება. ეს არის ის, რისი დაშვებაც ევროპელ ჩინოვნიკებს არ სურთ, თუმცა უახლოეს მომავალში ძლიერი ევროს შენარჩუნება ევროზონის ქვეყნების მთავარ პრიორიტეტად დარჩება.

# გერმანელები ევროსგან მიყენებულ ზარალს ითვლიან

ადამ მჭედლიძე

გერმანელთა ეჭვები, რომ 2002 წლის 1 იანვრიდან მარკების ბანკნოტებისა და მონეტების ევროებით ჩანაცვლება ფასების ზრდას გამოიწვევდა, საფუძვლიანი გამოდგა. ბუნდესბანკის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ერთიანი ვალუტის შემოღებამ საგრძნობლად გააძვირა მომსახურებისა და სხვადასხვა საქონლის ფასები, რასაც შედეგად კლიენტურის დაკარგვა მოჰყვა.

გერმანელთა დიდი ნაწილი თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა ერთიან ვალუტას. ახლა კი მათ "ევროს" "ტევრო" შეარქვეს (სიტყვების თამაში – "ტოიერ" გერმანულად "ძვირს" ნიშნავს), თუმცა ერთიან ვალუტას მომსახურების გაძვირება მხოლოდ გერმანიაში არ გამოუწვევია. მიმდინარე თვის დასაწყისში იტალიის სასამართლომ რომის ერთ-ერთ კაფეს ფასის დაწევა უბრძანა ფინჯან ყავაზე. 2002 წლიდან კაფემ ფინჯანი ყავა 1500 ლირადან, ანუ 0,77 ევროს ეკვივალენტიდან 1 ევრომდე ასწია, რამაც მომხმარებლები შოკში ჩააგდო.

აქამდე მიჩნეული იყო, რომ ევრომ მხოლოდ დიდი ქვეყნები დააზარალა; განსაკუთრებით კი - გერმანია, რომლის ეკონომიკაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ექსპორტზე და ძლიერი ევრო, ამ მხრივ, სერიოზულ პრობლემებს უქმნის. გერმანიაცა და საფრანგეთიც ეკონომიკურ პრობლემებს განიცდიან და დიდი სურვილი აქვთ, ხარჯვა გაზარდონ ბიუჯეტის დეფიციტის ხარჯზე, მაგრამ იმის გამო, რომ სპეციალური აქტი ევროზონის ქვეყნებს ბიუჯეტის დეფიციტზე მკაცრ ლიმიტს უწესებს, ამის გაკეთება ვერ ხერხდება.

ამის გამო არსებობს აზრი, რომ ევროთი პატარა და შედარებით ღარიბი ქვეყნები (პორტუგალია, საბერძნეთი) მაინც ხეირობენ. იქ ხომ დიდ ეკონომიკურ პრობლემებს არ წყვეტენ. ხოლო გერმანიასთან და საფრანგეთთან ერთად "ნავში ყოფნა" მათთვის დიდად სასარგებლოა. მაგრამ სხვადასხვა საქონელზე ფასების გაზრდა მათთვისაც სერიოზულ პრობლემებს ქმნის. მაგალითად, საბერძნეთში მომხმარებლებმა გაზრდილი ფასებისადმი პროტესტის ნიშნად "არაფრის ყიდვის" დღეები დააწესეს. ამ დღეებში მაღაზიებსა და კაფეებში იშვიათად თუ ნახავთ ადგილობრივ მაცხოვრებლებს – კლიენტურის დიდ ნაწილს უცხოელი ტურისტები შეადგენენ.

მაგრამ ყველაზე უფრო მტკივნეულად ფასების გაზრდას გერმანიაში აღიქვამენ, რაც გასაკვირი არ არის. ამ ქვეყნისათვის ევროს ხომ, ჯერჯერობით, არაფერი სახეირო არ მოუტანია. ალმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ 2002 წლის იანვრის შემდეგ (როცა ევროს ბანკნოტები და მონეტები შემოვიდა) ავტომატურად აწეული ფასების დაწევაზე თითქმის არავის უფიქრია. ამის შედეგად კლიენტურაზე უფრო მეტად ისევ ფასის ამწევები დაზარალდნენ. მაგალითად, კინოთეატრებში ბილეთის ფასები საშუალოდ 2,3 პროცენტით გაიზარდა. შედეგად, კინოთეატრთა სტუმრების რიცხვმა 12,5 პროცენტით იკლო. საოცარი ისაა, რომ ფასების დაწევას ისევ არავინ ჩქარობს. ჩანს, ევროს, ჯერჯერობით, მაინც არ ენდობიან (მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მისი კურსი არნახულად გაიზარდა) და ურჩევნიათ, ფასი ასეთ დონეზე შეინარჩუნონ, რათა მომავალში ისევ არ მოუხდეთ აწევა; თუკი ევრო დაეცემა,. ფასების ასეთი თამაში კლიენტურას ხომ მით უმეტეს არ მოეწონება.

ყველაზე უფრო გერმანიაში ქიმწმენდა გაძვირდა, აქ მომსახურების ფასმა 2,5 პროცენტით აიწია. ასევე გაძვირდა საპარიკმახერო მომსახურებაც. მთავრობა ცდილობს, როგორმე გაამართლოს შექმნილი ვითარება, მაგრამ მოსახლეობა ყოველივეს ძალიან სკეპტიკურად უყურებს.

# კადიროვი საუდის არაბეთმა „ჩაიხუტა"

### ჩეჩნეთში კი ბრძოლა გრძელდება

ლევან ღირსიაშვილი

ჩეჩნეთის პრეზიდენტად კრემლის მიერ დასმულმა ყოფილმა მუფტმა აჰმად კადიროვმა საუდის არაბეთში თავისი ვიზიტი დაასრულა და გროზნოში მშვიდობიანად და, რაც მთავარია, იმედებით დაბრუნდა. ეს პრეზიდენტის რანგში მისი პირველი საზღვარგარეთული ვოიაჟი იყო. ერ-რიადიდან დაბრუნებულმა "კრემლის კაცმა" ჟურნალისტებისათვის სპეციალური პრესკონფერენცია გამართა. **"აჰმად-ჰაჯი კადიროვი მხნედ და ენერგიულად გამოიყურებოდა და ჟურნალისტებთან ნახევარსაათიანი ურთიერთობის დროს მან იმდენი რამის თქმა მოასწრო, რისთვისაც მისივე რანგის სხვა მოღვაწეს შესაძლოა, რამდენიმე საათი დასჭირვებოდა,"** - იუწყება სააგენტო "ბიბისი." კადიროვის შეხვედრა ჟურნალისტებთან კი საიუბილეო თარიღს – პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის მეასე დღეს დაემთხვა.

პრესკონფერენციის გახსნისას მან ეს "შესანიშნავი მოვლენა" თავად შეახსენა ჟურნალისტებს. დამსწრეთა ღიმილის ფონზე კი დასძინა: **"ალბათ, კიდევ 100 წელი იქნება,"** ხოლო ამის შემდეგ კი მტკიცედ განაცხადა: **"რატომ ალბათ? იქნება, იქნება!"**

ასეთი იმედიანი განწყობის შექმნის შემდეგ კი, კადიროვმა თავისი ვოიაჟის მნიშვნელობაზე დაიწყო საუბარი.

**"არაბულ სამყაროში მასხადოვის მხრიდან ვრცელდება ხმები, რომ თითქოს კადიროვმა გაყიდა ისლამი, გადავიდა ურწმუნოთა მხარეს და მუსულმანების წინააღმდეგ იბრძვის. ეს ვიზიტი პირადული თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც საუდის არაბეთი ისლამის ცენტრად არის აღიარებული. ჩვენ მიგვიღეს და გვაღიარეს,"** - განაცხადა კმაყოფილი სახით აჰმად-ჰაჯიმ.

მას ერ-რიადში საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებიც განუხილავს. ჩეჩნეთის ყოფილი მუფტი თვლის, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ისლამის ავტორიტეტმა უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს. ამაში კი მას, თურმე, საუდის არაბეთის ხელისუფლებაც ეთანხება. მოკლედ, საუდელებმა "კრემლის კაცს" სრული მხარდაჭერა აღუთქვეს და როგორც "ღვიძლი ძმა", ისე მიიღეს.

პრესკონფერენციაზე კადიროვმა სხვა საკითხებზეც ისაუბრა. მან განაცხადა, რომ მომავალშიც გააგრძელებს ჩეჩნეთში საპრეზიდენტო მმართველობის განმტკიცების პოლიტიკას და მის მთავარ დასაყრდენს მისივე ინციატივით შექმნილი სახელმწიფო საბჭო წარმოადგენს. რაც შეეხება ხელისუფლების სხვა ორგანოებს, მაგალითად, როგორიცაა პარლამენტი, მისი ბედი, რაღა თქმა უნდა, კადიროვს არ აინტერესებს. **"ჩვენ მათთვის დასაჯდომი ადგილიც კი არ გვაქვს. თუკი დეპუტატებს ავირჩევთ, ისინი საქალალდეებით ხელში ქუჩა-ქუჩა ივლიან. ამიტომ, პირველ რიგში,**



*კადიროვი ჩეჩნეთში საპრეზიდენტო მმართველობის განმტკიცებას აპირებს.*

**ჩვენ პარლამენტის შენობა უნდა აღვადგინოთ,"** - ასე მარტივად გადაწყვიტა კადიროვმა ჩეჩნეთში საკანონმდებლო ხელისუფლების ბედი და მომავალი.

რაც შეეხება რუსეთში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს, კადიროვის გული ერთმნიშვნელოვნად მის ბატონ-პატრონს - ვლადიმირ პუტინს ეკუთვნის. **"რუსეთს მხოლოდ ერთი არჩევანი აქვს – ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინი. ჩემი ნება რომ იყოს, მას სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტობას დავუკანონებდი,"** - განაცხადა კმაყოფილმა კადიროვმა. აი, ერთგულებაც ასეთი უნდა.

რა შეიძლება ითქვას აჰმად კადიროვის საუდური ვოიაჟის შედეგებზე?

**კომენტარი პირველი:**

თუკი ჩეჩნეთის პირველი და მეორე პრეზიდენტები ჯოხარ დუდაევი და ასლან მასხადოვი ერ-რიადს ჩეჩნეთის ხელისუფლების რანგში ეწვეოდნენ ხოლმე და მხოლოდ თავისი ქვეყნის ინტერესებს წარმოადგენდნენ, კადიროვი საუდის არაბეთში, როგორც პრეზიდენტ პუტინის ემისარი, გაემგზავრა. მას თავისი ბატონ-პატრონის წერილიც კი ედო გულის ჯიბეში, რომლითაც, რასაკვირველია, ის საუდის არაბეთის ხელისუფალთა სასახლეებში მიღებული სტუმარი ხდებოდა და თავაწეული შედიოდა. წერილში კი ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი საუდის არაბეთის მეფეს აუწყებდა, რომ კადიროვი ჩეჩნეთის კანონიერად არჩეული პრეზიდენტია და ეს მისი პირველი საზღვარგარეთული ვიზიტია. ამით კრემლის მესვეური თავისი წარგზავნილის ვიზიტის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს. ამდენად, კადიროვი, პირველ რიგში, წარმოადგენდა კრემლს და არა გროზნოს.

**კომენტარი მეორე:**

ჯერ კიდევ 1997 წელს რუსეთის მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა მსოფლიოს აუწყეს, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი ერ-რიადში საუდის არაბეთის მეფეს შეხვდა და მისგან ჩეჩნეთის სამხედრო და სამოქალაქო პროგრამების, ანუ რუსეთთან ომის წარმოების დაფინანსების გარანტია მიიღო, რაც გროზნოსათვის წელიწადში 50 მილიონი ამერიკული დოლარის გადარიცხვას ისახავდა მიზნად. ამის შემდეგ კი, რუსეთის სახელისუფლებო წრეები, სპეცსამსახურები და მასმედია ყველას აცნობებდნენ, რომ ჩეჩენი სეპარატისტები ვაჰაბიტური საუდის არაბეთის მიერ ფინანსდებიან, რომ ერ-რიადი ჩეჩნეთში მოქმედ საერთაშორისო ტერორისტებს კრემლის წინააღმდეგ ეხმარება, რომ ჩეჩნეთში ვაჰაბიზმის ბუდეა, რომ ჩეჩენი სეპარატისტები ვაჰაბიტების და ერ-რიადის მიერ იმართებიან და ა.შ. ამ ბრალდებებს კადიროვის ვიზიტამდე ბოლო არ უჩანდა.

ამჯერად კი, აჰმად-ჰაჯის ვიზიტმა მთებში გამაგრებული პრეზიდენტ მასხადოვის წისქვილზე დაასხა წყალი. ამიერიდან, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჩეჩნებს საუდურ ვაჰაბიზმთან კავშირში და ვაჰაბიტურ დაფინანსებაში კრემლი ბრალს ვეღარ დასდებს. კადიროვი ხომ ერ-რიადში გულთბილად მიიღეს, პატივმოყვარეობა დაუკმაყოფილეს და მეგობრობაც აღუთქვეს. სინამდვილეში, ეს რევერანსი ერ-რიადმა არა ყოფილ მუფტის, არამედ ვლადიმირ პუტინს მიუძღვნა. საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განხილვისას კი, რასაკვირველია, პირველ რიგში, ასლან მასხადოვის წინააღმდეგობის დათრგუნვის საკითხებს განიხილავდნენ. ასე რომ, მასხადოვს და ჩეჩენ მებრძოლებს ვაჰაბიზმთან კავშირში კრემლი ვეღარ დაადანაშაულებს. წინააღმდეგობა არ წყდება და კიდევ დიდხანს გაგრძელდება. კრემლს კი მასხადოვისათვის სხვა იარლიყის მისაკერებლად უკვე დაფიქრება მოუწევს. თუმცა, მაინც დიდხანს გაუჭირდება იმ სიმართლის აღიარება, რომ ჩეჩნები თავისუფლებისათვის და არა ვაჰაბიტური ფულისათვის იბრძვიან. საინტერესოა, ამის შემდეგ როგორ გაიმართლებს თავს პრეზიდენტი პუტინი, როდესაც მას დაუსვამენ კითხვას: როგორ ვერ ახერხებს რუსეთის უზარმაზარი სამხედრო მანქანა მთებში გამაგრებული ერთი მუჭა ჩეჩნების დამარცხებას? აქამდე, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, რუსეთის ხელისუფლება თითს საუდის არაბეთისაკენ იშვერდა.

# ჩადრების აკრძალვამ საფრანგეთში ვნებათაღელვა გამოიწვია

საფრანგეთის მთავრობის მიერ მომზადებული კანონი, რომელიც სკოლებში ჩადრების ტარებას კრძალავს, 19 იანვარს ფრანგი დეპუტატების ერთმა ნაწილმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. გასულ კვირას მთელი ქვეყნის მასშტაბით მოწყობილმა საპროტესტო გამოსვლებმა და ძალადობის ფაქტებმა დეპუტატებზე დიდი გავლენა მოახდინა.

მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით, პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა ძალზე დიდი ძალისხმევა მოახმარა ამ კანონის გატანას, რომ მასზე ახლა უარი თქვას. თუმცა, შიში, რომ ახალმა კანონმა, შესაძლოა, მუსლიმები ფრანგული საზოგადოებისაგან უფრო მეტად გარიყოს, ვიდრე მათ ინტეგრაციას შეუწყოს ხელი, გააძლიერა. გასულ შაბათს ერთდროულად საფრანგეთის რამდენიმე ათეულ ქალაქში და მსოფლიოს რამდენიმე სხვა ქვეყანაში მოწყობილმა საპროტესტო მსვლელობებმა ეს შეგრძნება გაამძაფრა. კვირას კი საფრანგეთის ისტორიაში პირველი მუსლიმი პრეფექტის მანქანა ააფეთქეს.

ჟაკ შირაკის მიერ შემუშავებული კანონის თანახმად, სექტემბრიდან ყველა სკოლაში ნებისმიერი რელიგიური სიმბოლოს გამოყენება იკრძალება. "მე სკეპტიკურად ვარ განწყობილი ამ კანონის მიმართ, რომელიც ექსტრემისტულ განწყობილებას კიდევ უფრო გააძლიერებს," - განაცხადა პარლამენტის წევრმა ფრანსუა ბაირუმ.

ექსპერტების ერთი ნაწილის თქმით, ფუნდამენტალისტების მოსაზრებას, რომ მუსლიმები საფრანგეთში დისკრიმინაციას განიცდიან, ძალიან ბევრი გაიზიარებს.

"თავსაბურავი პოლიტიკური მანიპულაციის საგანია," - განაცხადა მუსლიმთა ერთ-ერთმა ლიდერმა კარიმ ბუზიდმა. "ჩვენთვის ამჟამად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხებია მუსლიმებს შორის უმუშევრობის მაღალი დონე, ძალადობა და დისკრიმინაცია. მერწმუნეთ, დაპირისპირება მხოლოდ ახლა იწყება," - აღნიშნა მან ბრიტანულ "გარდიანთან" ინტერვიუში.

ფრანგული ყოველდღიური გაზეთის "ლიბერასიონის" მოწინავე სტატიაში ნათქვამია, რომ "თუ ჩადრის აკრძალვას ინტეგრაციისაკენ მიმართული სერიოზული ნაბიჯები არ მოჰყვება, მაშინ ეს კანონი სრულიად უსარგებლო იქნება."

ფრანგების უმრავლესობა მხარს უჭერს ჩადრების აკრძალვას, რათა რესპუბლიკის საერო საფუძვლებს საფრთხე არ შეექმნას. მათი აზრით, ქვეყანა რადიკალური ისლამისაგან უნდა დაიცვან. გუშინ საფრანგეთის ომბუდსმენმა ბერნარ სტასიმ, რომელიც იმ კომისიას ხელმძღვანელობდა, რომელმაც აღნიშნულ კანონს რეკომენდაცია გაუწია, განაცხადა, რომ "რესპუბლიკისათვის კატასტროფა იქნება, თუ ის ისლამისტებს დანებდება."

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ისლამისტი ექსტრემისტები ფრანგული საზოგადოების დღის წესრიგს უკვე აყალიბებენ. პარიზში საპროტესტო მსვლელობა ფრანგი მუსლიმების პარტიის ორგანიზებული იყო, რომლის ლიდერი მოჰამად ლატრეში თავისი ანტისემიტური განცხადებებით გახდა ცნობილი. მან სიონიზმი აპართეიდს შეადარა.

სხვა დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, საფრანგეთში ყველაზე ბევრი მუსლიმი ცხოვრობს, რაც ქვეყანაში ბევრის გაღიზიანებას იწვევს. სწორედ ამით უნდა აიხსნას საფრანგეთში რადიკალური მემარჯვენე იდეების პოპულარობა.


## ტექმომსახურების მგეგმავი

**კომპანია BP-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და BP-ს ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს ტექმომსახურების მგეგმავის თანამდებობის დასაკავებლად. ტექმომსახურების მგეგმავი წარმოადგენს საქართველოში BP-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს და იმუშავებს BP-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.**

**სამუშაოს აღწერა:**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლოატაციის ტექმომსახურების მგეგმავი ანგარიშვალდებულია ექსპლოატაციის მთავარი მგეგმავის წინაშე. პროექტის მიმდინარეობასთან ერთად ფუნქციები გაფართოვდება და შესაფერისი პირებისათვის მოსალოდნელია შეიქმნას თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობები. პროექტის წინასაექსპლოატაციო ფაზიდან ექსპლოატაციის ფაზაზე გადასვლასთან ერთად შეიცვლება მოვალეობებიც.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**

ტექმომსახურების მგეგმავის ზოგად მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

**წინასაექსპლოატაციო ფაზაზე:**

- ერთობლივი მუშაობა მთავარ მგეგმავთან ტექმომსახურების მენეჯმენტის ახალი სისტემის დანერგვის სფეროში.
- კოორდინირებული მუშაობა ტექმომსახურების კონსულტანტებთან - მიმდინარე პროფილაქტიკური ტეომომსახურების, სამუშაოს გეგმების და ინსპექტირების ღონისძიებების შემუშავების სფეროში.
- მონაწილეობა ტექმომსახურების და ინსპექტირების გრაფიკების შემუშავების და საწყისი ოპტიმიზაციის პროცესში, რათა ისინი მზადყოფნაში იყოს ექსპლოატაციის დაწყების მომენტისათვის აზერბაიჯანსა და საქართველოში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად, საინჟინრო და ტექმომსახურების ჯგუფის ექსპლოატაციისათვის მზადყოფნის გაკონტროლება და დოკუმენტური აღრიცხვა.
- მთავარ მგეგმავთან ერთად ოპტიმალური პრაქტიკის დანერგვა მთელი სტრუქტურის მასშტაბით, ტექმომსახურების დაგეგმვის და შესრულებული სამუშაოს ანგარიშების მზადების სფეროში, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ძირითადი ინდიკატორების შემუშავება (შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმები/საშუალებები).

**ექსპლოატაციის ფაზაზე:**

- მჭიდროდ ითანამშრომლებს მთავარ მგეგმავთან, რათა დახვეწოს და დანერგოს ტექმომსახურების დაგეგმვის საუკეთესო პრაქტიკა ტექმომსახურების და ექსპლოატაციის ბრიგადებში. აქვე იგულისხმება ყოველდღიური/ყოველკვირეული დაგეგმვა და საკოორდინაციო შეხვედრები.
- იმუშავებს ტექმომსახურების და ექსპლოატაციის კონსულტანტებთან, რათა ყოველგვარი სამუშაო წარიმართოს ექსპლოატაციის კრიტიკული რეჟიმების მოთხოვნების შესაბამისად, ეფექტურად და უსაფრთხოების პირობებში.
- მთავარ მგეგმავთან ერთად შეიმუშავებს და აწარმოებს გრძელვადიან, საშუალო (12 კვირა) და მოკლევადიან სამუშაო გრაფიკებს, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ტექმომსახურების, ექსპლოატაციის და საპროექტო ღონისძიებები, აგრეთვე ნებისმიერ მესამე მხარესთან და მასალების მარაგებთან დაკავშირებული საკითხები.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების შესრულების ანგარიშების და შესრულების ძირითადი ინდიკატორების ოპერატიულად მოწოდებას და ანგარიშგებას, აგრეთვე სუსტი სფეროების დროულად გამოვლენას, რომელიც გაუმჯობესებას მოითხოვს, და ადეკვატური ზომების გატარებას.
- უზრუნველყოფს ტექმომსახურების დაგეგმვის ცენტრალურ სისტემაში დაცული მონაცემების თანმიმდევრულობას.
- მოამზადებს დიდი მოცულობის სამუშაო პაკეტის დეტალურ გეგმებს, გააკონტროლებს სამუშაოს მიმდინარეობას და გასცემს სათანადო მაკორექტირებელი ზომების რეკომენდაციებს, გეგმიდან გადახვევის შემთხვევაში.
- უზრუნველყოფს ექსპერტიზას ტექნიკური დაგეგმარების საკითხებში.

**მოთხოვნები:**

- კანდიდატებს მოეთხოვებათ შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:
- წარსული გამოცდილება ტექმომსახურების სფეროში (საუკეთესო შემთხვევაში, 3 წლის განმავლობაში).
- სწავლების და კომუნიკაციის კარგი უნარი.
- საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის კარგი უნარი (Microsoft Office, ტექმომსახურების სისტემის სერვის-პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება).
- გუნდის წევრად მუშაობის სურვილი.
- სასურველია ტექმომსახურების დაგეგმვის სისტემის, სერვის-პროგრამის ან MS Project-ის ცოდნა, თუმცა გათვალისწინებულია ტრენინგი ამ სფეროში.
- განათლების დიპლომი, სასურველია ტექნიკურ დარგში.
- ინგლისური, რუსული და ქართული ენების თავისუფლად ფლობა (წერილობითი და ზეპირი).
- საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

განაცხადის შემოტანის წესი/დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობების დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 3 თებერვალი, სამშაბათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია**
**BP-საქართველო**
**საქართველო, თბილისი**
**საბურთალოს ქუჩა N38**


# ჯონ კერი დემოკრატ კანდიდატებს შორის ლიდერობს



*ჯონ კერი პირველ გამარჯვებას ზეიმობს.*

გუშინ სენატორმა ჯონ კერიმ აიოვას შტატში დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის გამართულ არჩევნებში გაიმარჯვა. ყველასათვის მოულოდნელად, მაღალრეიტინგულ კანდიდატად მიჩნეული ჰოვარდ დინი მესამე ადგილზე გავიდა.

სენატორმა ჯონ ედვარდსმა კერის შემდეგ ყველაზე მეტი ხმა მიიღო. კონგრესმენი დიკ გეფარდტი კი მეოთხე ადგილზე გავიდა. ამის შემდეგ, მან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე საერთოდ უარი თქვა და პრეზიდენტობის მსურველ დემოკრატ კანდიდატთა რიცხვი შვიდამდე შეამცირა.

საბოლოო შედეგები ამგვარია: ჯონ კერიმ 37.7 პროცენტი მიიღო, ჯონ ედვარდსმა – 31.8, ჰოუვარდ დინმა – 18, რიჩარდ გეფარდტმა – 10.5, დენის კუსინიჩმა – 1.3, ალ შარპტონმა – 0.7. აიოვას შტატში გამართულ არჩევნებში მონაწილეობას არ ღებულობდნენ სენატორი ჯო ლიბერმანი და გადამდგარი გენერალი უესლი კლარკი.

დემოკრატი კანდიდატები ერთმანეთს უახლოეს მომავალში ნიუ ჰემფშირის შტატში გაეჯიბრებიან.

საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამერიკის ორი მთავარი პარტია - რესპუბლიკელები და დემოკრატები შიდაპარტიულ არჩევნებს მართავენ, რათა პარტიის ერთი, ყველაზე პოპულარული კანდიდატი გამოავლინონ. თითოეული შტატის საარჩევნო ოლქებში პარტიის წევრები იკრიბებიან და დელეგატებს ირჩევენ, რომლებიც, თავის მხრივ, ამა თუ იმ საპრეზიდენტო კანდიდატს უჭერენ მხარს. ტრადიციულად, საპრეზიდენტო კანდიდატების შერჩევა აიოვას შტატიდან იწყება ხოლმე. ამჯერად, რესპუბლიკელებს ამგვარი პროცედურის გავლა არ სჭირდებათ, რადგან ამჟამინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში მეორე ვადითაც აპირებს კენჭისყრას.

რაც შეეხება აიოვაში გამარჯვებულ ჯონ კერის, იგი უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სენატორია მასაჩუსეტის შტატიდან. ის ვიეტნამის ომის ვეტერანი და გმირია. მამამისი დიპლომატი იყო. 1966 წელს იელის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, იურისტის კარიერის ნაცვლად, მან საზღვაო ძალებში სამსახური არჩია და ვიეტნამში წავიდა. იგი ბრძოლის ველზე გამოჩენილი მამაცობისათვის რამდენიმე მედლით არის დაჯილდოებული. 1969 წელს კერი სამშობლოში დაბრუნდა და დააარსა მოძრაობა "ვეტერანები ომის წინააღმდეგ".

კერის ძლიერ მხარედ საგარეო პოლიტიკისა და გარემოსდაცვითი საკითხების კარგი ცოდნა ითვლება. მას ნაკლები გამოცდილება აქვს ტრადიციულად დემოკრატების სფეროებად მიჩნეულ საკითხებში: განათლება, ჯანდაცვა და სამოქალაქო უფლებები.

საკუთარი საარჩევნო კამპანიისათვის მას დღემდე 20 მილიონი ამერიკული დოლარი აქვს შეგროვებული, აქედან 6.4 მილიონი პირადად კერის მიერ არის გაღებული.

მისი ერთ-ერთი ცნობილი გამოთქმაა: "ჩვენ არა მარტო ჰუსეინისა და მისი რეჟიმის შეცვლა გვჭირდება ერაყში, არამედ ჯორჯ ბუშის რეჟიმის ცვლილება შეერთებულ შტატებში".

კერის აზრით, ერაყის ადმინისტრაცია მთლიანად გაერო-ს დაქვემდებარებაში უნდა გადავიდეს. მისი თქმით, სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემების გადასაჭრელად ევროპელ მოკავშირეებთან ძალზე მჭიდრო თანამშრომლობა აუცილებელია.

# მესამე ქვეყნის ხიბლი ჩეჩენ ლტოლვილთათვის

პირველი გვერდიდან

ჩეჩენი ლტოლვილები საქართველოში 1999 წლის შემოდგომაზე ჩეჩნეთში მიმდინარე მეორე შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ გამოჩნდნენ. მათი რიცხვი მაშინ 6000-ს აღწევდა. უახლესი, გასული წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, რომელიც საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (გლუკი) ხელშეწყობით ჩატარებულ ხელახალ რეგისტრაციის შედეგებს ეყრდნობა, ჩვენ ქვეყანაში 3867 ჩეჩენი ლტოლვილი ცხოვრობს; აქედან 3799 – პანკისის ხეობაში, 75 – თბილისში. მათ 81,4 პროცენტს ქალები, ბავშვები და მოხუცები შეადგენენ. ლტოლვილთა 90 პროცენტი ადგილობრივ ქისტ მოსახლეობასთან ცხოვრობს, 10 პროცენტი – გლუკის მიერ გარემონტებულ კოლექტიურ ცენტრებში.

### ზღვაში წვეთი სიცოცხლის შესანარჩუნებლად

ჩეჩნეთიდან ლტოლვილები, ოფიციალურად, მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებით საზრდოობენ. 2000 წლის შემოდგომაზე საქართველოს ხელისუფლებამ გლუკი დაასახელა გაერო-ს მთავარ მაკოორდინირებელ სააგენტოდ, რომელიც პანკისის ხეობაში დასახლებულ ლტოლვილ მოსახლეობას ჰუმანიტარულ დახმარებას მიაწვდიდა. ხაზს ვუსვამთ – მხოლოდ პანკისში დასახლებულებს, რადგან საქართველოს სხვა რეგიონებში დასახლებულებს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ამგვარი დახმარება არ მიეცემათ.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში გლუკმა ჩეჩენ დევნილებს, დაახლოებით, 5 300 000 ამერიკული დოლარი დაახარჯა. მათთვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარების მთავარი დონორები არიან ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, შვედეთი და იაპონია. დახმარებაში შედის: მსოფლიოს სასურსათო პროგრამის მთავარი საკვები რაციონი (2,100 კგ/კალ-ის ეკვივალენტი), რომელიც სისტემატურად რიგდება და დამატებითი საკვები – იოდიზირებული მარილი და ჩაი; შეშა, თბილი გადასაფარებლები, ტანსაცმელი, ჰიგიენური პაკეტები (ამას სეზონური და პერიოდული ხასიათი აქვს).

სანიტარიული და ეკოლოგიური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, გლუკმა ორჯერ შეაკეთა პანკისის წყალმომარაგების სისტემა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის - ტექნიკური დახმარება საქართველოსთვის ("ტაგი") საშუალებით, იგი მთლიანად აფინანსებს ჯანმრთელობის სექტორში არსებულ, თითქმის, ყველა მიმართულებას. მისი ხელშეწყობით, პანკისის ხეობაში მოქმედებს სამი ჯანდაცვის პუნქტი, რომლებიც ყოველთვიურად მარაგდება წამლებით და ემსახურება ლტოლვილ და ადგილობრივ მოსახლეობასაც. საჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფები გადაჰყავთ ახმეტაში, თელავსა და თბილისში. "ტაგი" ახორციელებს, ასევე, ტუბერკულოზის მკურნალობის პროგრამას.

გასული წლიდან არასამთავრობო ორგანიზაცია GCRT-თან ერთად გლუკმა აამოქმედა ომში დაზარალებული ჩეჩენი ლტოლვილების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა. ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დახმარებით, დუისში მოქმედებს კულტურული დასვენების ცენტრი, სადაც ლტოლვილებსა და ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს, შეისწავლოს კომპიუტერი, ინგლისური, ქსოვა და ხალხური ცეკვა; ისარგებლოს ბიბლიოთეკით და უყუროს ტელევიზორს. პანკისის ხეობაში არსებული და გლუკის მიერ განახლებული სკოლები ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ ავეჯითა და სახელმძღვანელოებით მოამარაგა. პანკისის ხეობაში ლტოლვილ ბავშვებს ასწავლიან ლტოლვილი მასწავლებლები, რომლებიც, კომპენსაციის სახით, დამატებით ორი თვის საკვებ რაციონს იღებენ. დუისსა და ომალოში განახლებული საბავშვო ბაღებით დღეს სარგებლობს, დაახლოებით, 200 ლტოლვილი და ადგილობრივი ბავშვი. გერმანიის მთავრობის დახმარებით, გლუკი აფინანსებს თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტ 14 ჩეჩენ ლტოლვილ სტიპენდიანტს.

2002 წლიდან, გლუკის იურიდიული მრჩევლის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს დუისის ცენტრში ჩეჩენი ლტოლვილებისთვის ორი ადგილობრივი იურისტი მუშაობს. 2003 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი დახმარებით, განხორციელდა საინტერესო პროექტი, რომელიც თაფლის გამოშვებას ითვალისწინებდა. პროდუქტის ნაწილი იყიდება, ნაწილი კი ყველაზე უმწეოებს - მოხუცებსა და მარტოხელა დედებს ურიგდებათ.

2004 წლიდან გლუკი პანკისის ხეობაში რიგი ახალი პროექტის განხორციელებას გეგმავს. საქართველოში მისი წარმომადგენელი ქეთრინ ბერდნარი აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, მშვენივრად ესმის, რომ ეს ძალისხმევა საკმარისი არ არის: **"იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ამ ყველაფრს ვაკეთებთ და ვცდილობთ, ცხოვრების ნორმალური პირობები შევუქმნათ ამ ხალხს, ვიცი, რომ ხუთი წელი პანკისის ხეობაში ცხოვრება ძალიან რთულია. საჭმელი, რომელსაც ჩვენ ვანაწილებთ, არის განსაკუთრებული შემთხვევებისთვის გამოყოფილი რაციონი. ეს არ არის ბალანსირებული დიეტა, ადამიანმა ხუთი წლის განმავლობაში რომ მიიღოს და კმაყოფილი იყოს; იმდენია, რომ ადამიანი არ მოკვდეს."**

### გამიშვით საქართველოდან

საქართველოს, თითქმის, ერთი მილიონი საკუთარი მიგრანტი მოქალაქე ჰყავს. სამშობლოს დატოვება მათ ცუდმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა აიძულა. ჩეჩენი ლტოლვილები გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან. **"ქართველების დიდად მადლობელი ვართ, მიგვიღეს, შეგვიფარეს, კარგად გვექცევიან,** – ამბობდა ჩვენთან საუბარში ლიზა იბრაგიმოვა, - **სამ ბავშვს ვზრდი, მეზობლები იმით მეხმარებიან, რისი საშუალებაც აქვთ - ხან ფული შემოაქვთ, ხან – პროდუქტი, მათგან ერთი ცუდი სიტყვა არ მახსოვს, მაგრამ მინდა, ჩემმა შვილებმა ადამიანური ცხოვებით იცხოვრონ. სამსახურის შოვნის იმედი აქ არა მაქვს – ეს ქართველებსაც უჭირთ. ამიტომ, მინდა წასვლა."**

ჰუმანიტარული დახმარების ნაწილი ჩეჩენ ლტოლვილებს ბაზარზე გასაყიდად გააქვთ, რომ ხელთ ფული ჰქონდეთ; როცა გაყიდვას ვერ ახერხებენ, ცდილობენ, საჭირო პროდუქტსა და ნივთებზე გადაცვალონ. სოფიტა იბრაგიმოვას ლტოლვილთა სამედიცინო მომსახურების მიმართაც ჰქონდა პრეტენზია. ისევე, როგორც ლიზას, საქართველოდან წასვლა მასაც უნდა. იგივე სურვილს გამოთქვამენ მალიკა სადიკოვა და ჯაბრაილ სალდალოვი.

განსხვავებით საქართველოსგან, რომელსაც საკუთარი მოქალაქეების შენახვა უჭირს, ლტოლვილების



ჩეჩენი ლტოლვილები ახმეტა-დუისის ავტობუსში.

მიმღები განვითარებული ქვეყნები მათი რეაბილიტაციისთვის სერიოზულ პროგრამებს ახორციელებენ - ლტოლვილებს აძლევენ საცხოვრებელს, უხდიან თანხას, რომ რიგიანად იკვებონ, ასწავლიან ენას, სამსახურს სთავაზობენ, მოკლედ, სრულფასოვანი მოქალაქეობისთვის ამზადებენ. ყველა ქვეყანას ინდივიდუალური მიდგომა აქვს, მიზანი კი საერთოა – ლტოლვილების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია. ასეთი, შეიძლება ითქვას, გარანტირებული მომავალი, ბუნებრივია, ბევრს ხიბლავს.

### შეზღუდული თავისუფლება

ჩეჩენი ლტოლვილების 60 პროცენტი საქართველოდან წასვლის მსურველია. გასული წლის ივლის-აგვისტოში ხელახალი რეგისტრაციის გავლისას ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარმა ყველა ჩეჩენ ლტოლვილს სთხოვა, გაევლო გასაუბრება, მოეთხრო საკუთარი პრობლემების შესახებ და განეცხადებინა, საქართველოში სურს დარჩენა, ჩეჩნეთში დაბრუნება უნდა, თუ მესამე ქვეყანაში გადასახლება ურჩევნია. სწორედ ამ ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ლტოლვილების 60 პროცენტისთვის საუკეთესო გამოსავალი მესამე ქვეყანაში გადასახლება იქნებოდა. ამ სურვილის მქონე ლტოლვილთა დიდი ნაწილისთვის ეს ისევ სურვილად დარჩება – მათი სტატუსი საქართველოს საზღვრებს გარეთ თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ იძლევა.

**"მესამე ქვეყანაში გადასახლების კანონიერი უფლება ჩეჩენ ლტოლვილებს არ გააჩნიათ,** - განმარტავს ქეთრინ ბერდნარი, - **არც ერთი კანონი ასეთ რამეს არ არეგულირებს. ამგვარი თავისუფლება მათ, თავიანთი დეფინიციის გამო, ეზღუდებათ. ჩეჩნეთიდან ლტოლვილებს არ აქვთ პასპორტი, არ შეუძლიათ ვიზის მიღება. მათ აქვთ მხოლოდ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელზეც საქართველოს დროშაა გამოსახული. რადგან საქართველოს ხელისუფლებას ხელი აქვს მოწერილი ლტოლვილთა შესახებ 51-ე კონვენციაზე, მიიღო ეს ხალხი, როგორც ლტოლვილები და შესაბამისი სტატუსი მიანიჭა, ამით ისინი საკუთარი დაცვის ქვეშაც აიყვანა. საქართველოს მთავრობას არა აქვს უფლება, იძულებით დააბრუნოს ისინი ჩეჩნეთში. იგი აძლევს მათ საკუთარ – საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების და ცხოვრების საშუალებას, მაგრამ სხვა ქვეყანაში მათი გადასახლების არანაირი ვალდებულება არ გააჩნია. ასეთი ვალდებულება არც გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსა და არც სხვა სახელმწიფოებს არ აუღიათ. თუ რომელიმე ქვეყანა ამგვარ სურვილს გამოთქვამს, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი საქართველოს მთავრობას უწევს ანგარიშს."**

ჩეჩენი ლტოლვილების მიღების სურვილი რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა: ნორვეგიამ, კანადამ, შვედეთმა, შეერთებული შტატებმა, ირლანდიამ და დიდმა ბრიტანეთმა. იმ 600 ლტოლვილიდან, რომლებსაც მესამე ქვეყანაში გადასახლება ყველაზე მეტად უნდოდათ, მიმღები ქვეყნებისა და გაერო-ს კრიტერიუმების შეჯერებით, 100 ოჯახი ამოარჩიეს. აქედან მხოლოდ 21 ოჯახი - 54 ადამიანი იქნა დამტკიცებული. ქეთრინ ბერდნარი ამას შემდეგნაირად ხსნის: **"მიმღები ქვეყნები თითოეულ საქმეს ინდივიდუალურად იხილავენ, ამოწმებენ, საკუთარი კრიტერიუმების მიხედვით აფასებენ და კანდიდატი მხოლოდ ამის შემდეგ მიჰყავთ. ძირითადად, ეს ქვეყნები ითვალისწინებენ, რამდენად გაჭირვებულია ადამიანი; არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური გაჭირვება - უფრო ის, თუ რამდენად დაჩაგრულია ადამიანი ცხოვრებისგან. შეიძლება, ისეთი დაავადება ჰქონდეს, რომელიც აქ არ განიკურნება და მიჰყავთ, რომ თავისთან უმკურნალონ, ზოგს, შეიძლება, სხვაზე უარესი სიმწარე ანახა ომმა და ა.შ. ჩვენ როცა ვარჩევთ ხალხს, რომელიც შეიძლება ამ ქვეყნებმა წაიყვანონ, ვარჩევთ, რაც შეიძლება, მეტს. ისინი შემდეგ მათგან ირჩევენ და მცირე რაოდენობა მიჰყავთ."**

ჩეჩენ ლტოლვილებთან დაკავშირებით, როგორც გლუკ-ში განმარტავენ, კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი მოქმედებს – ცუდი იმიჯი. ამის გამო, მათ მიღებაზე ბევრი ქვეყანა იკავებს თავს. **"გასაუბრებაზე რომ დაუძახებ ამ ხალხს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა აუცილებლად გადასახლდება,** - ამბობს ქალბატონი ქეთრინი, - **მათ კი იმედები უჩნდებათ და შემდეგ, როცა უარს ეუბნებიან, ნაწყენები რჩებიან. მეტსაც გეტყვით - გვყავს ლტოლვილი, რომელსაც ხუთი თვის წინათ მისცეს თანხმობა გადასახლებაზე. მისი საბუთები დღემდე მოწმდება. ეს ლტოლვილი ღელავს, შიმშილობის დაწყებითაც კი იმუქრება, არადა პროცედურა ხანგრძლივია - სამი-ოთხი თვიდან, შეიძლება, ერთ წლამდეც კი გაიჭიმოს."**

### უარყოფილი ხალხის ეჭვები

დროში გაწელილი პროცედურები და ადამიანური ცხოვრების დაწყების ძალზე ლიმიტირებული შესაძლებლობა ჩეჩენ ლტოლვილებში ეჭვებს აღვივებს. ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დედათა სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარე მალიკა სადიკოვა ჩვენთან საუბარში აცხადებდა, რომ რამდენიმე ოჯახს საქართველოდან გამგზავრება 200 დოლარი დაუჯდა. მისივე განცხადებით, ერთ-ერთ ლტოლვილის, ასლან ასხაბოვის მიერ მის თვალწინ დაწერილი განცხადება გლუკში ვერც კი იპოვეს. თავად ასხაბოვი ამტკიცებს, რომ სადიკოვას თვალწინ არაფერი დაუწერია, მისი მიმართვა კი დანიშნულების ადგილზე ჩეჩენი ლტოლვილების წარმომადგენელმა არ მიიტანა. ასლან ასხაბოვი, როგორც გლუკში გავარკვიეთ, მესამე ქვეყანაში გასამგზავრებელთა სიაშია. დანარჩენები: როზა და სოფიტა იბრაგიმოვები, მალიკა სადიკოვა და ჯაბრაილ სალდალოვი ამ სიაში ვერ მოხვდნენ. თავიანთ ინტერვიუში ისინი გლუკის თანამშრომელს თამარ ჭელიძესაც უჩიოდნენ, – ქეთრინთან შესვლის და არსებული პრობლემების შესახებ საუბრის საშუალებას არ გვაძლევსო.

**"როცა თამარს ეუბნებიან, - ქეთრინთან გვინდა შესვლაო, - მან უნდა უთხრას, რომ ეს შეუძლებელია. მე, პირადად, არ ვღებულობ დევნილებს, რადგან პრობლემის სტრატეგიაზე ვმუშაობ, ხელისუფლების წარმომადგენლებთან მაქვს შეხვედრები,** – ამბობს ქეთრინ ბერდნარი, - **თუ ლტოლვილებს მაინც და მაინც უცხოელთან უნდათ გასაუბრება, ბევრი უცხოელი მუშაობს როგორც თბილისის ოფისში, ისე ხეობაში არსებულ ჩვენს წარმომადგენლობებში და იქ შეუძლიათ სათანადო კონსულტაციის მიღება. მათ პრობლემებს ისინი მოიტანენ ჩვენამდე. ამდენად, როცა თამარი უხსნის, რომ ქეთრინს ვერ ნახავენ, იგი მართალია. შეიძლება, ამ უარს ისე ეუბნება, ისე ჟღერს ეს ქართულად ან რუსულად, არ სიამოვნებთ, მაგრამ ასეა. გარდა ამისა, თამუნა არ წყვეტს, რომელი ლტოლვილი უნდა გამოვიწვიოთ და რომელი - არა, იგი არ ირჩევს ხალხს. თამუნა არ წყვეტს, ვისი გამგზავრება შეიძლება და ვისი არა, მას სამისო ბერკეტები არ აქვს. ამიტომ, მათ იმის თქმის უფლება არა აქვთ, რომ ისინი არ გამოიძახეს იმიტომ, რომ თამუნას 200 დოლარი არ მისცეს."**

ამასთან, ქეთრინ ბერდნარი არ უარყოფს, რომ ლტოლვილებში დადის ხმები, გამგზავრების სანაცვლოდ, ქრთამის მიცემის თაობაზე: **"არის ასეთი ჭორი. მის შესახებ მეც გამიგია, მაგრამ იგი სიმართლეს არ შეესაბამება. მე დარწმუნებული ვარ ჩემს თავში და დარწმუნებული ვარ ჩემს თანამშრომლებში. როცა გასული წლის 11 დეკემბერს პანკისში კოორდინაციის შეხვედრაზე ვიყავი, ჩეჩენ ლტოლვილთა უხუცესებს ამ საკითხზეც ვესაუბრე. მათაც დაადასტურეს, რომ ჭორის დონეზე ასეთი საუბრები დადის, მაგრამ კონკრეტული ფაქტები არ დაუსახელებიათ. ვინ აიღო ფული, ვინ მისცა არ დაუნახავთ. თუ ვინმეს კონკრეტული ფაქტები აქვს და მათი დადასტურება შეუძლია, პირადად მივიღებ და მოვუსმენ, ჭორის დონეზე კი ამაზე ლაპარაკი კი მიუღებლად მიმაჩნია. ხალხი ცდილობს, დესტაბილიზაცია შეიტანოს ჩვენი მუშაობის ნორმალურ რიტმში, დაარღვიოს იგი და ეს დაუშვებელია."**

კიდევ ერთი მიზეზი, რამაც, შესაძლოა, ჩეჩენი ლტოლვილები, გლუკთან ურთიერთობის გაფუჭების სანაცვლოდაც კი, ქრთამის აღებ-მიცემობაზე ალაპარაკოს, ერთგვარი შურისძიებაც შეიძლება იყოს. **"ოთხი ათასი გამოკითხულიდან მესამე ქვეყანაში გადასახლების განსაკუთრებული სურვილი 600-მა გამოთქვა, ამ 600-დან კი 100 ამოვარჩიეთ. დარჩა 500, რომელმაც სურვილი გამოთქვა, მაგრამ გამგზავრების შესაძლებლობა არ ეძლევა. ამის გამო, შესაძლებელია, შურისძიების მომენტიც არსებობდეს. მიუხედავად იმისა, რომ როზა იბრაგიმოვას, მალიკა სადიკოვას, სხვებს კარგად იცნობენ ჩვენს ოფისში, ჩემს მოადგილეს პატრიკ ტეზიეს, სხვა თანამშრომლებს ბევრი უსაუბრიათ მათთან და ყველასთვის გვაქვს ახსნილი, რომ ხალხს წასაყვანად თავად მიმღები ქვეყნები არჩევენ. როზა იბრაგიმოვა თავის ინტერვიუში მადლობასაც გამოხატავდა გაერო-ს მიმართ გაწეული დახმარებისთვის; ჯაბრაილ სალდალოვის უმაღლეს განათლებას ჩვენ ვაფინანსებთ. ამდენად, ჩემთვის გაუგებარია, რატომ შეიძლება ისინი გლუკის უკმაყოფილონი იყვნენ. მართალია, სოფიტა იბრაგიმოვა და მალიკა სადიკოვა მესამე ქვეყანაში გასამგზავრებელთა სიაში ვერ მოხვდნენ, მაგრამ მათ გარკვევით აუხსნეს, რა მიზეზებმა განაპირობა ეს უარი. თქვენ მოგცემენ ინტერვიუს, თუ ჩემთან მოითხოვენ შეხვედრას, მათი სტატუსი არ შეიცვლება."**

ასეთია ჩეჩენი ლტოლვილების ირვლივ არსებული ვითარება. პრობლემა, რომელიც, ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის მიზნით, საქართველოდან მათი გამგზავრების სურვილმა წარმოშვა, კანონით, არ არსებობს. ჩეჩენი ლტოლვილები იძულებულნი არიან, დასჯერდნენ იმ მცირე დახმარებას, რომელსაც საქართველო და გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი სთავაზობენ. ერთადერთი გამოსავალია მათი ამ პირობებთან ადაპტაცია - იქამდე მაინც, ვიდრე ჩეჩნეთში დაბრუნება შესაძლებელი გახდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** „თბილგაზმა" თბილისში პედაგოგებისთვის ბუნებრივი აირის საფასურის შეღავათიანი გადახდისთვის დარიგებული ვაუჩერების მიღება დროებით შეაჩერა. „თბილგაზის" აბონენტთა მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელის ხათუნა ჩომახიძის განცხადებით, ამისი მიზეზი ამ სფეროში წარმოქმნილი ქაოსია. შარშან, მაისის თვეში დარიგებული 10 ათასი ვაუჩერის დასაფინანსებლად დედაქალაქის ბიუჯეტიდან გადარიცხულია 486 ათასი ლარი; რაც შეეხება სექტემბრის თვეში დარიგებულ ვაუჩერებს, მისი საფასური თბილისის ბიუჯეტს ჯერ არ გადაუხდია. გარდა ამისა, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებაში თბილისელ პედაგოგებზე ვაუჩერების გაცემის შესახებ აღნიშნულია, რომ პროგრამა უნდა დასრულებულიყო 2003 წელს, თუმცა მოქალაქეთა მიერ ვაუჩერების წარდგენა დღემდე გრძელდება. „თბილგაზი` თბილისის საკრებულოს ამ საკითხის გარკვევას სთხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ დილით, ენერგოსისტემაში მომხდარი ავარიის გამო, ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა თბილისის მეტროპოლიტენსაც. როგორც მისმა ხელმძღვანელმა გურამ გაბუნიამ განაცხადა, მეტროს 10 მატარებელი გვირაბში დარჩა, საიდანაც მგზავრთა ევაკუაცია მეტროპოლიტენის ავტონომიური დენის წყაროს ამოქმედებით შეძლეს. გარდა ამისა, მოხერხდა გვირაბების განათება და, დატბორვის თავიდან ასაცილებლად, წყლის ამოსაქაჩი ძრავების ამუშავება. მეტროპოლიტენი 10.50 საათისთვის ამუშავდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერია დინამოს სტადიონისა და ცენტრალური სუპერმარკეტის (ე.წ. დეზერტირების ბაზრის) მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეთა შენობებში შეყვანას იძულებით მეთოდებით აპირებს. თბილისის მერის ვანო ზოდელავას განცხადებით, შექმნილია ყველა პირობა იმისთვის, რომ ქუჩაში მოვაჭრეებმა თავიანთი საქმიანობა მოწესრიგებულ სავაჭრო ადგილზე განაგრძონ. ცენტრალური სუპერმარკეტის შენობაში უკვე მზად არის 150 მოვაჭრის ადგილი, სადაც ვაჭრობის გადასახადი მხოლოდ ლარი იქნება. ამავე მიზნით, მზადდება ბაზრის პირველი სართული. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მდებარე „ავეჯის სახლის" ხელმძღვანელობა კი მოვაჭრეებს ტერიტორიას უფასოდ სთავაზობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის საქალაქო სამსახურები ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციის ღონისძიებებში ორგანიზებულად მიიღებენ მონაწილეობას. ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებს თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ განუცხადა. მისი თქმით, ინაუგურაციისთვის მობილიზებულია გარე განათების სამსახური; სცენის დამონტაჟებაში კეთილმოწყობის სამსახური მონაწილეობს; ღონისძიებებში ჩაერთვება გამწვანების სამსახურიც. "ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაციამ მაღალ დონეზე ჩაიაროს," - დასძინა მერმა. **ინტერ-პრესი**

# პოლიკლინიკის ექიმებს ოჯახის ექიმები შეცვლიან

*საქართველოში პოლიკლინიკური სისტემის საოჯახო მედიცინის სისტემად გარდაქმნის პროცესი 1995 წლიდან დაიწყო. დღეისთვის საქართველოში სულ 109 სერთიფიცირებული ოჯახის ექიმი და ხუთი საოჯახო მედიცინის ცენტრია.*

თამარ დვალი

"ოჯახის ექიმთა ასოციაციისა" და "ოჯახის ექიმის მასწავლებელთა კავშირის" გაერთიანების საფუძველზე, 2003 წლის ნოემბერში "საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი" ჩამოყალიბდა. ოჯახის ექიმთა ჯგუფების მომზადება 1997 წლიდან დაიწყო. იმის გამო, რომ საქართველოში არ არსებობდა რესურსი, რომელიც განახორციელებდა ტრენინგებს, საქართველოს მთავრობამ დახმარება ბრიტანეთის მთავრობას სთხოვა; ტექნიკური რესურსი სწორედ ბრიტანელების ხელშეწყობით მომზადდა. ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა თავდაპირველად რვა ქართველი საოჯახო ექიმი მოამზადეს. ამჟამად საქართველოში 109 სერტიფიცირებული ოჯახის ექიმი და ხუთი საოჯახო მედიცინის ცენტრია. გათვალისწინებულია რეგიონული სასწავლო ცენტრების ჩამოყალიბება, რომლებიც ადგილზე მოახდენენ ექიმების გადამზადებას.

**"ოჯახის ექიმი ახალი სპეციალისტია - მისი საქმიანობის ფარგლები ფართოა. იგი მოემსახურება ყველა ასაკის მოსახლეობას. ორგანიზაციულ მოწყობაზეა დამოკიდებული, რა ტიპის პროგრამები იმუშავებს. ამ შემთხვევაში მთავარია უწყვეტობა - ექიმს მუდმივი ურთიერთობა ექნება პაციენტთან. იგულისხმება პაციენტის მომსახურება ყველა ასპექტის პრობლემის გათვალისწინებით - სოციალური, სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური. რაც შეეხება სწავლების სისტემას, საჭიროა სტუდენტებისთვის დიპლომის აღებამდე საოჯახო მედიცინის ელემენტების შესწავლა; უნდა გაიხსნას ორგანიზებული ერთეულები, რომლებიც საოჯახო მედიცინის სახელით იმუშავებენ - დეპარტამენტის თუ ფაკულტეტის სახით. მთავარი მიზანი არის ის, რომ სტუდენტს ჰქონდეს ინფორმაცია ამ სპეციალობის შესახებ და იცოდეს, რას გულისხმობს ეს სპეციალობა, "** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას "ოჯახის ექიმის მასწავლებელთა კავშირის" თავმჯდომარემ თამარ გაბუნიამ.

"საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირში" 224 წევრია გაერთიანებული. კავშირის თავმჯდომარის ირინა ქაროსანიძის თქმით, ოჯახის ექიმების აკადემიებისა და ასოციაციების მსოფლიო ორგანიზაციის "wonca"-ს წევრობის კომიტეტი აქტიურად განიხილავს "საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის" wonca europe და wonca world-ში გაერთიანების საკითხს, რაც ქართველი ოჯახის ექიმების მსოფლიო მოძრაობაში გაერთიანებას ნიშნავს.

როგორც ამავე კავშირის საპატიო თავმჯდომარემ ვაჟა დობორჯგინიძემ გვითხრა, პოლიკლინიკის ექიმებსა და ოჯახის ექიმებს შორის საერთო ისაა, რომ ორივე ემსახურება პირველად ჯანდაცვას. **"თუ ჩვენ მივდიოდით პოლიკლინიკაში და გვხვდებოდა ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი და ვენეროლოგი, საოჯახო მედიცინის სისტემად გარდაქმნის შემთხვევაში, ჩვენ მივდივართ პიროვნებასთან, რომელთანაც უბნობრივი პრინციპით მოვხვდით და ის ასრულებს ყველა ექიმის ფუნქციას რაღაც დონემდე; შემდეგ ხდება კონსულტაცია მეორად ჯანდაცვის სისტემასთან. მსოფლიოში მიიჩნევა, რომ პირველადი ჯანდაცვა, რომელიც ეყრდნობა საოჯახო მედიცინას, ყველაზე დიდი პრიორიტეტია. რეკონსტრუქციები ძალიან ძვირი ჯდება. ოჯახის ექიმის მოდელის დამკვიდრებას ინგლისის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი აფინანსებდა, ამჟამად მას მსოფლიო ბანკი აფინანსებს. ეს გრძელვადიანი პროგრამაა და მასზე მთლიანად 40 მილიონ დოლარამდეა გათვალისწინებული. შექმნილია სპეციალური საკოორდინაციო კომიტეტი, რომელიც საქართველოში, პირველად ჯანდაცვაში წამოსულ ინვესტიციებს რეგულირებას გაუწევს."**

# „ყველა საკადრისად დაისჯება," - იმუქრება პოლიციის შეფი

*ნაპოვნი და პატრონებისთვის დაბრუნებული რამდენიმე ძვირადღირებული უცხოური მარკის ავტომანქანა; ავტოტრანსპორტის ყაჩაღური გზით გამტაცებელთა თბილისში მოქმედი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფებების დაკავებული წევრები, გახსნილი წვრილმანი და მსხვილმანი ყაჩაღობის ფაქტები და დაპატიმრებული სერიოზული დამნაშავეები - ეს გახლავთ სამართალდამცველების მიერ ბოლო დღეებში გატარებული ღონისძიებების შედეგი. გუშინ პოლიციის შეფი ლევან მაისურაძე საკუთარ მოადგილესთან, კრიმინალური პოლიციის უფროსთან დავით კეკუასთან ერთად ამ შედეგებით ამაყობდა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

დავით ახვლედიანი და დავით გუჯეჯიანი – უკვე წინასწარი დაკავების საკანში მყოფი ეს ორი პიროვნება გახლდათ პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის გუშინდელი ძირითადი სიამაყის მიზეზი.

**„შინაგან საქმეთა მინისტრის მითითებით, ვატარებთ კომპლექსურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, როგორც უკვე ჩადენილი დანაშაულების გასახსნელად, ასევე პროფილაქტიკის მიზნით. ჩვენი მუშაობა არა მხოლოდ მკვლელობების და ადამიანის გატაცების საქმის გახსნისკენ არის მიმართული, არამედ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ნებისმიერი სახის დამნაშავემ ჩაფიქრებული და დაგეგმილ-ორგანიზებული დანაშაული ვერ ჩაიდინოს. დაწესებულია პოლიციელთა მუდმივი პატრულირება როგორც ავტომანქანებით, ასევე ფეხით. ასე რომ, არც გაიფიქროს ვინმემ რამე ცუდის გაკეთება",** - ასეთი შინაარსის განცხადებით აკეთებდა გუშინ თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმის გახსნილი და მძევლის გათავისუფლების ოპერაციის ჩამტარებელი უწყების ხელმძღვანელი.

როგორც ირკვევა, დავით ახვლედიანის დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები, რომლებიც მხოლოდ ძვირადღირებული ავტომანქანების გატაცებით იყვნენ დაკავებულნი და რომლებიც არაერთხელ არიან გასამართლებულნი, თბილისის გარდა, რეგიონებშიც უპრობლემოდ "მუშაობდნენ".

"მერსედეს-124", "მერსედეს-ბენცი-300", "ვაზ-2107", "მერსედეს-ბენცი" და კიდევ რამდენიმე სხვა მარკის ავტომანქანა, რომლებიც პატრონებს ახვლედიანის დაჯგუფების წევრებმა ძალადობით, იარაღის მუქარით სულ ცოტა ხნის წინ გასტაცეს, პოლიციის შეფის განმარტებით, სამართალდამცველებმა სხვადასხვა ადგილას იპოვეს და გატაცებული ავტომანქანები უკვე პატრონებს დაუბრუნეს. გარდა ავტომანქანების გატაცებისა, ახვლედიანის დაჯგუფება შეიარაღებულ თავდასხმებს აწყობდა სხვადასხვა დაწესებულებებზე და იქიდან საკმაოდ სოლიდური თანხით ხელდამშვენებულნი ტოვებდნენ.

"გუდრონა", "ზლინჩიკა" და სხვები, ახვლედიანთან ერთად, ორგანიზებულად მოქმედებდნენ. ახვლედიანის დაჯგუფების სახელს უკავშირდება კახეთის გზატკეცილზე, სს "ქართული შაქრის" სარეალიზაციო ბაზაზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა. ყაჩაღებმა იქიდან 70 ათასი ლარი გაიტაცეს. ახვლედიანის ჯგუფის წევრები საქართველოს რეგიონების გზატკეცილებზეც წარმატებით მუშაობდნენ. თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზაზე მომხდარი დაყაჩაღებისას მათ თავდასხმის ობიექტს 50 ათასი დოლარი გასტაცეს. ერთ-ერთი ავტოფარეხის დარაჯები კი "სკოტჩით" გაკოჭეს, მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და ძვირად ღირებული ავტომანქანიანად გაუჩინარდნენ.

"ამ დაჯგუფების წევრებმა, რომლებიც არაერთხელ არიან ნასამართლევი, მართლმსაჯულებას თავი დააღწიეს ჩვენთვის გაუგებარი საშუალებებით", - აცხადებს ლევან მაისურაძე და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით გამოდის.

რაც შეეხება დავით გუჯეჯიანის დანაშაულებრივი დაჯგუფების "შემოქმედებას", პოლიციის შეფმა ამ დაჯგუფების წევრთა "ნამოღვაწარიც" ფართოდ და დეტალურად მიმოიხილა და გუჯეჯიანთან ერთად "საქმეში მყოფი" ყველა კრიმინალის უახლოეს პერიოდში დაკავების პირობა დადო.

ავტომანქანის გამტაცებელთა დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი, მრავალჯერ ნასამართლევი 30 წლის დავით გუჯეჯიანი პოლიციელებმა გუშინწინ დააკავეს. "ვერსაჩეს" ოქროს ბეჭედი და საყურე, "სამსუნგის" ფირმის წითელი ფერის მობილური ტელეფონი, ზამშეს ქურთუკი ბეწვის საყელოთი, სუნამო "ნინა-რიჩი", 220 დოლარი, "გუჩის" საფულე, "ჯივისის" მარკის მაგნიტოფონი თავისი პულტით, - ეს იმ ნივთების ჩამონათვალი გახლავთ, რომლებიც გუჯეჯიანის დაჯგუფების წევრებმა ერთ-ერთი დაყაჩაღებისას "მერსედესთან" ერთად წაართვეს პატრონს. სხვათა შორის, გუჯეჯიანის დაჯგუფება მდედრობითი სქესის მძღოლებსა და მათ ავტომანქანებზე "ნადირობს" იარაღის მუქარით.

ერთი სიტყვით, პოლიციის მათავარი სამმართველოს უფროსი ბოლო დღეებში გაწეული მუშაობითა და წარმატებებით უზომოდ კმაყოფილია.

**"ყველა საკადრისად დაისჯება. ამ ორი დანაშაულებრივი დაჯგუფების არც ერთი წევრი არ დარჩება ჩვენი ყურადღების მიღმა",** - ასეთია მაისურაძის მუქარა.



დაკავებული დავით ახვლედიანი.



ლევან მაისურაძე და დავით კეკუა კრიმინალებს ემუქრებიან.

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# პარლამენტარის დაჭრის მიზეზი კვლავ უცნობია

პირველი გვერდიდან

მკურნალი ექიმის სულიკო ხოლუაშვილის განცხადებით, გიუაშვილის მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია, მაგრამ რისკის ფაქტორი ისევ რჩება. მიუხედავად ამისა, ექიმის თქმით, პარლამენტარის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

კახა გიუაშვილის დაჭრის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველები შემთხვევის ადგილზე ინციდენტის მოხდენისთანავე გავიდნენ, ერთდღიანი გამოძიება საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ დადგენილიყო თავდამსხმელის ვინაობა, მეტიც - ამ დროისათვის უცნობია თავდასხმის ზუსტი მიზეზი და გარემოება. ამის გამო პოლიციამ პროკურატურისგან საყვედურიც დაიმსახურა.

**"შეკრებილმა პოლიციელებმა შემთხვევის ადგილის დაცვა ვერ უზრუნველყვეს და, ფაქტობრივად, დანაშაულის კვალი სრულად გაანადგურეს. დაჭრილის სისხლი დარჩენილია ავტოფარეხის ოთხივე კედელზე და მანქანის სახურავზეც კი; ამასთან, ჩვენი ვარაუდით, შეიმჩნევა ჭიდაობის კავლი, რაც ძალადობის ფაქტზე მიანიშნებს, მაგრამ გიუაშვილის დაკითხვამდე დასკვნების გაკეთებას ველარ ვახერხებთ, რადგან შემთხვევის ადგილი ფეხით არის გადაქელილი. წაშლილია დამნაშავის ფეხის და ხელის ანაბეჭდები. არადა, ასეთი შემთხვევის დროს პოლიციის მოვალეობა სწორედ შემთხვევის ადგილის დაცვაა. ეს მტკიცებულებები საქმის გახსნისთვის უპირველესია. მოგეხსენებათ, დანაშაულების 70 პროცენტი სწორედ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგად ამოღებული მტკიცებულებებით იხსნება. ჩვენმა პოლიციამ კი ეს ჯერაც ვერ გაიგო",** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა და დასძინა: **"ამგვარი შემთხვევა პირველი არ არის, ამიტომ იძულებულნი ვართ, გავაფრთხილოთ: ის პოლიციის უფროსი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს შემთხვევის ადგილის დაცვას, სამსახურებრივი დაუდევრობის გამო პასუხისგებაში მიეცემა. როგორც ჩანს, ეს გზაა საჭირო, ჭკუა რომ ისწავლონ",** – ამბობს გრიგალაშვილი.

პროკურორის "ბრალდების" გაბათილება თბილისის პოლიციის უფროსმა ლევან მაისურაძემ სცადა:

**"შემთხვევის ადგილზე ვიყავით მე და შინაგან საქმეთა მინისტრი. იქ ყველაფერი კანონმდებლობის დაცვით ჩატარდა."**

მიუხედავად შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას წარმოშობილი პრობლემებისა, გამოძიება გრძელდება...

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის მირზა დოლიძის განცხადებით, გამოძიება თავდასხმის რამდენიმე შესაძლო ვერსიაზე მუშაობს.

**"როგორც მოგეხსენებათ, გიუაშვილს საკმაოდ ძვირადღირებული მანქანა ჰყავს. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, რომ თავდასხმა სწორედ ავტომანქანის გატაცების მიზნით მოხდა. თუმცა, ჩვენ არც სამსახურებრივ, ფინანსურ და პირად მოტივებს გამოვრიცხავთ. გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს ანგარებისა და შურისძიების კუთხითაც",** – განაცხადა მირზა დოლიძემ.

პროკურორის თქმით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია შვიდივე ტყვიის გულა და მასრა. სავარაუდოდ, გასროლა "პჟმ"-ის სისტემის პისტოლეტიდან უნდა მომხდარიყო. მოპოვებულ ნივთმტკიცებებზე უკვე დანიშნულია ბალისტიკური და სხვა სახის ექსპერტიზა, რის შემდეგაც ცნობილი გახდება იარაღის ზუსტი სახეობა.

ჰქონდა თუ არა ინციდენტის დროს გიუაშვილს იარაღი და მოასწრო თუ არა მან გასროლა, ჯერჯერობით, უცნობია, რადგან ამ ეტაპზე დაზარალებულის დაკითხვა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება. როგორც მირზა დოლიძე ვარაუდობს, გიუაშვილის დაკითხვის შემდეგ ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი, თუმცა ექიმები როდის მისცემენ გამომძიებლებს პარლამენტარის დაკითხვის უფლებას, ჯერჯერობით, უცნობია.

ამ ეტაპზე დაკითხულნი არიან დაჭრილის მეგობრები და ოჯახის წევრები. მათი თქმით, დავდასხმამდე გიუაშვილის მიმართ მუქარას ან რამე სახის ზეწოლას ადგილი არ ჰქონია.

**"კახას მტერი არ ჰყავდა, ამიტომ მასზე პირადი მოტივით თავდასხმა გამორიცხულია",** - განუცხადეს გიუაშვილის ახლობლებმა გამოძიებას.

მათი განცხადებით, პარლამენტარს კონფლიქტი არავისთან ჰქონდა და საშიშროებას არავისგან ელოდა, ამიტომ იგი დაცვის გარეშე დადიოდა.

კახა გიუაშვილის მამა შვილზე მომხდარ თავდასხმას ქვეყანაში არსებული მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობით ხსნის.

**"ქვეყანაში მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობაა. კახა სწორედ ამ მდგომარეობის მსხვერპლი გახდა",** - ამბობს დაჭრილის მამა.

გუშინვე "მრეწველთა კავშირის" წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა მინისტრს - გიორგი ბარამიძეს განცხადებით მიმართეს და მოითხოვეს, რომ უმოკლეს ვადებში, ობიექტურად გამოიძიონ მათ თანაპარტიელ კახა გიუაშვილზე განხორციელებული თავდასხმა; ამასთან, განცხადებაში "მრეწველებმა" თავდასხმის ახალ მოტივზეც მიანიშნეს.

მართალია, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე გიუაშვილის თავდასხმის მოტივაციის კომენტირებისგან თავს იკავებს, მაგრამ არ გამორიცხავს, რომ პარლამენტარის ლიკვიდაციის მცდელობას საფუძვლად პოლიტიკური მოტივი ედოს.

ერთი სიტყვით, გამოძიებას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. იმ შემთხვევაში, თუ თავდამსხმელის დაჭერა მოხერხდება (რისი იმედიც პროკურატურას აქვს), მას ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# გურჯაანის პოლიციის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა

*ბოლო ორი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონში კრიმინალური ვითარება საგრძნობლად გამწვავდა. ბოლო დღეებში რაიონში ზედიზედ ორი შემზარავი მკვლელობა მოხდა. გუშინ სოფელ კარდენახში მომხდარი კრიმინალური შემთხვევაც მსხვერპლით დასრულდა. გურჯაანის პოლიციის თანამშრომლების მიერ შემთხვევით განხორციელებული გუშინდელი ღონისძიება ბოლო წლების განმავლობაში ჩატარებულ ერთ-ერთ წარმატებულ "სპეცოპერაციად" შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა, სამწუხაროდ, იგი მკვლელობით დასრულდა.*

ზვიად რუაძე
გურჯაანი

სოფელ კარდენახში მცხოვრებ გივი ქიტიაშვილს ორი შეიარაღებული, ნიღბიანი პირი ჯართის ჩამბარებელ პუნქტში თავს დაესხა. კრიმინალები ქიტიაშვილს ფულს სძალავდნენ. **"ტელეფონზე ვსაუბრობდი. ამ დროს ეზოში ნაცნობი ხმა შემომესმა, კარი რომ გავაღე, ორი შეიარაღებული, ნიღბიანი პირი შემოვარდა. ისინი ფულს მთხოვდნენ,"** – ამბობს ქიტიაშვილი, რომელმაც თავდამსხმელებს წინააღმდეგობა გაუწია, რის გამოც, ბოროტმოქმედები მას ფიზიკურად გაუსწორდნენ, შემდეგ კი გაკოჭეს. **"მათ სანადირო თოფის კონდახი ჩამარტყეს კისრის არეში და იძულებული გავხდი ფულის სამალავი, სადაც 170 ლარი იდო, მიმესწავლებინა, მაგრამ ისინი მეტს თხოულობდნენ და ამის გამო დამსაჯეს - გამკოჭეს. ვაგონი კი, რომელშიც მე ვცხოვრობ, გადაატრიალეს - ფულს ეძებდნენ,"** – გვითხრა დაზარალებულმა.

გურჯაანელთა გასაკვირად შემთხვევის ადგილზე პოლიცია ამჯერად დროულად მივიდა. როგორც საგამოძიებო გამყოფილების უფროსი ავთანდილ ბიწკინაშვილი აცხადებს, თავდასხმის შესახებ ინფორმაცია პირველად უბნის რწმუნებულმა გაიგო. **"ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ყაჩაღობის შესახებ ჩემს თანამშრომელს გივი ქიტიაშვილის შვილმა აცნობა, იგი თავდასხმის დროს მამას ტელეფონით ესაუბრებოდა,"** – ამბობს ბიწკინაშვილი. წინასწარი გამოძიების შედეგად ირკვევა, რომ პოლიციას ცეცხლი პირველად თავდამსხმელებმა გაუხსნეს. ძალოვანთა თხოვნას, იარაღი დაეყარათ და ჩაბარებოდნენ, კრიმინალებმა სროლით უპასუხეს. პოლიციის მხრიდან განხორციელებული საპასუხო სროლა მსხვერპლით დასრულდა. 30 წლის თავდამსხმელი ოთარ გველუკაშვილი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მისი მეგობარი, 29 წლის, კობა მჭედლიშვილი, რომელიც ადრე სასჯელს ქურდობისთვის იხდიდა და ნარკოტიკების მოხმარებაში იყო ეჭვმიტანილი, მძიმედ არის დაჭრილი. იგი ამჟამად გურჯაანის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია "აკმ"-ის სისტემის ავტომატი და ერთლულიანი სანადირო თოფი. მომხდარ ფაქტს იძიებს გურჯაანის პროკურატურა.

# პროტესტი ციხის საავადმყოფოდან

კორუფციული ბრალდებებით დაპატიმრებული აკაკი ჩხაიძე, დავით მირცხულავა და მერაბ ჟორდანია ჯანმრთელობის გაუარესების გამო ამჟამად არასაპატიმრო ვითარებაში – ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფებიან და სამართალდამცველთა მიერ მათთვის გამოტანილ გადაწყვეტილებებს ციხის საავადმყოფოს პალატებიდან აპროტესტებენ.

აკაკი ჩხაიძის ადვოკატებმა მის მიმართ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრეს. აკაკი ჩხაიძის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, ადვოკატები პატიმრობის გაუქმებას მოითხოვენ. მისივე თქმით, არავითარი იურიდიული საფუძველი არ არსებობს იმისთვის, რომ აკაკი ჩხაიძე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდეს. იგი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან ადგილი აქვს სასამართლოზე ზეწოლას.

"საქართველოს რკინიგზის" ყოფილ გენერალურ დირექტორს აკაკი ჩხაიძეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა 18 იანვარს შეუფარდა. მას გადასახადებისგან თავის არიდებაში ედება ბრალი, რაც 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ადვოკატთა განცხადებით, აკაკი ჩხაიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა "არასახარბიელოა, მაგრამ კრიტიკული არ არის".

რაც შეეხება სემეკ-ის თავმჯდომარის დავით მირცხულავას ჯანმრთელობის მდგომარეობას, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ადვოკატები მირცხულავასთან მისი მკურნალი ექიმის შეყვანას მოითხოვენ.

მირცხულავას ადვოკატმა ეკა ბესელიამაც მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალდებულ სემეკ-ის თავმჯდომარეს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

სარჩელს ამზადებს კორუფციული ბრალდებით დაკავებული საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას ადვოკატიც. იმ შემთხვევაში, თუ ჟორდანიას მიმართ აღძრული საქმის შეწყვეტის შესახებ შსს-ს მიერ გამოტანილ დადგენილებას პროკურატურა არ დაადასტურებს, იგი სამართლის პოვნას გენპროკურორთან და ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებში აპირებს. მერაბ ჟორდანიას ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, ადვილი შესაძლებელი იყო, შს სამინისტროს მიერ მიღებული დადგენილება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 24 საათში დამტკიცებულიყო, მაგრამ მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო დოკუმენტს ხელი არ მოეწერა.

საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების დასამტკიცებლად გენერალურ პროკურატურას ათდღიანი ვადა გააჩნია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი დადგენილების დამტკიცების ვადა 26 იანვარს იწურება. **24 საათი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ბიზნესმენ ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებისათვის განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მსჯავრდებულ ალექსანდრე მაისურაძის საქმის საკასაციო განხილვა კასატორების გამოუცხადებლობის გამო ერთი კვირით გადაიდო. როგორც ცნობილია, მაისურაძეს 14 წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით მიესაჯა. მაისურაძე არ ცნობს თავს დამნაშავედ და გამართლებას მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**წალკა.** ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში წალკის რაიონის გამგებლის ელდარ ხვისტანის ცემის ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე 239-ე მუხლის მეორე ნაწილით - ხულიგნობის მუხლით, რომელიც 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებას ჩვენება უკვე მისცა წალკის რაიონის გამგებელმა ელდარ ხვისტანმა. ხვისტანი აცხადებს, რომ 150-მდე სომეხი ეროვნების მოქალაქე მის კაბინეტში მოულოდნელად შეიჭრა, შეკრებილები ხვისტანის თანამდებობიდან გადადგომას და მის ადგილას ახალი გამგებლის დანიშვნას ითხოვდნენ. წალკაში არსებულ მდგომარეობას ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის ხუთკაციანი ჯგუფი სწავლობს. მხარის პროკურორი მამუკა ცაავა გამოძიების დასრულებას უმოკლეს დროში ვარაუდობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის წარდგინებით იუსტიციის მინისტრმა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშნა ამავე დაწესებულების მთავარი ექიმი ბესო სურგულაძე. დაწესებულების დირექტორი ნავოლის ქობულია სარეჟიმო დარღვევების გამო თანამდებობიდან 12 იანვარს გაათავისუფლეს. საავადმყოფოს დირექტორის მოადგილედ დაიშნა რუსთავის №1 კოლონიაში ამავე თანამდებობაზე მომუშავე გოჩა კვაჭანტირაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ახალციხე.** უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე სახელდება ახალციხის მკვიდრის, არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატ მესხთა კავშირის" თავმჯდომარის ამირან მესხელის კანდიდატურა, რომლის ოფიციალური წარდგენა პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციის - 25 იანვრის შემდეგ მოხდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში გასული კვირის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით აღირიცხა სახანძრო შეტყობინების 55 შემთხვევა. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ცნობით, დაიწვა სამი სახელმწიფო ნაგებობა, თხუთმეტი საცხოვრებელი სახლი, სამი ავტოტრანსპორტი და 31 სხვადასხვა სახის ობიექტი. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ცნობით, სულ ამ პერიოდში სამი ფიქტიური გამოძახება დაფიქსირდა. ხანძრის დროს დაიღუპა ერთი ადამიანი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა სასაზღვრო გამშვებ პუნქტ „წითელ ხიდზე" დააკავეს 28 წლის მამაკაცი, რომლისგანაც ამოიღეს პოლიციელის პირადობის მოწმობა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 3,7 გრამი ჰეროინი, რომელიც მან უკანონოდ შემოიტანა საქართველოში. დადგინდა, რომ არუთინოვი 2003 წლის 29 დეკემბერს მეტროპოლიტენის დაცვის შს სამმართველოს უფროსის მიერ დათხოვნილი იქნა შს ორგანოებიდან. გამოძიებას აწარმოებს გენერალური პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების რაზმის ბაზაზე გაიხსნა ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები, სადაც ასწავლიან საბრძოლო მომზადებასა და პროფესიულ ორიენტაციას. იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, მსურველებს კურსების გავლის შემდეგ შესაძლებლობა ექნებათ, მუშაობა დაიწყონ პენიტენციალურ სისტემაში. როგორც იუსტიციის სამინისტროში აღნიშნეს, ამ კურსების ორგანიზება გამოწვეულია იმით, რომ პენიტენციალურ სისტემაში კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. **პრაიმ-ნიუსი**



# "თქვენი აფხაზეთი"

კოორდინატორი თორნიკე ბარიშვილი

ცხოვრებისეული ისტორიები

## იქ, ჩვენი აფხაზეთის მიწაში

მე, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარადან ვარ. იქ დავიბადე და გავიზარდე – ძირძველი კოჩარელი ვარ, მამაც და ბაბუაც იქ დაიბადნენ. ბაბუაჩემს ოთხი ვაჟი ჰყავდა. სამი - მეორე მსოფლიო ომმა შეიწირა, მხოლოდ მამაჩემი დაბრუნდა ომიდან ცოცხალი, მოიყვანა ცოლი და იქვე დასახლდა.

ერთი შვილი ვყავდი მშობლებს. ძალიან მიყვარდა სოფლის მეურნეობა, სოფელში ყოფნა და მიწაზე მუშაობა, მაგრამ, როგორც ქართველობაშია მიღებული, ჩემს მშობლებს ერთი სურვილი ჰქონდათ - მათ ერთადერთ შვილს აუცილებლად უმაღლესში ესწავლა. მეც სხვა გზა არ მქონდა, დავყევი მათ ნებას და ასე მოვხვდი "მიწისმოყვარული" კაცი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში...

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დავბრუნდი მშობლიურ რაიონში და ორი წელი ვიმუშავე აფხაზურ სოფელ ღვადაში, სკოლის დირექტორად. არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა აფხაზებთან. როცა წამოვედი, მთელი სოფელი მაცილებდა.

დავბრუნდი კოჩარის საშუალო სკოლაში, სადაც ოცდაორი წელიწადი ვიმუშავე. ურთიერთობა მშვენიერი გვქონდა ჩვენ და აფხაზებს – ჭირში, ლხინში ერთად ვიყავით... 1989 წლიდან დაიწყო რთული პროცესები, რამაც დღევანდლამდე მოგვიყვანა... 1992 წლის 29 ნოემბერს აღებულ იქნა ჩემი სოფელი, ქართველობამ დავტოვეთ იქაურობა. ჩემი ოჯახიც იძულებული იყო, დაეტოვებინა მშობლიური სახლ-კარი.

მეუღლესა და ორ შვილთან ერთად ჩამოვედი თბილისში. რაკი პედაგოგი ვარ, მივაკითხე განათლების სამინისტროს. ბინა მომცეს განაწილებით, ვაშლიჯვარში, ტექნიკუმის საერთო საცხოვრებელში. როცა იქ მივედით, არაფერი არ გაგვაჩნდა: არც საწოლი, არც ლოგინი, არც ჭურჭელი. მაგრამ კომენდანტი დაგვხვდა და კარგი პიროვნება და რითაც შეეძლო, ყველაფრით დაგვეხმარა...

უკვე ათი წელია ვაშლიჯვარში ვცხოვრობთ. აქ, მთის კალთებზე გავაშენე ხეხილის არაჩვეულებრივი ბაღი, მაქვს საკუთარი ვენახი – ყოველ წელს 300 კილოგრამამდე ყურძენს ვკრეფ, ვწურავ ღვინოს. აქვე პატარა მეურნეობაც მოვიწყვე – მყავს ღორები, ქათმები. ჰოდა, ასე თუ ისე, პურს ვჭამთ. რა თქმა უნდა, ძალიან მწყდება გული, რომ რაც ბაბუაჩემმა და მამაჩემმა შექმნეს, ყველაფერი დაიკარგა... მამაჩემი, რომელმაც არ მიატოვა თავისი კარ-მიდამო, კოჩარაში დარჩა. იქ დაიღუპა. დედა ორი წლის მერე აფხაზებმა გადმომიყვანეს ენგურამდე, თბილისში ჩამოვიყვანეთ. აქ გარდაიცვალა და აქვე დავმარხეთ.

ჩემი დიდი სურვილია, სანამ ცოცხალი ვარ, შევძლო დედაჩემის დასაფლავება იქ, ჩვენი აფხაზეთის მიწაში, მამის გვერდით...

მე მჯერა, რომ დავბრუნდებით აფხაზეთში. ჩვენ, რა თქმა უნდა, სამტრო არაფერი გვქონდა. ეს ვიღაცის მიზეზით მოხდა. დრო ყველაფრის მკურნალია. მე მყავს მეზობელი, რომელსაც ორი შვილი დაეღუპა და მაინც, იგი იმ იმედით ცოცხლობს, რომ მშვიდობით დაუბრუნდება თავის კერას. რა თქმა უნდა, საუკეთესო გზა ჩვენი ერთად ცხოვრებისა არის მშვიდობიანი დაბრუნება. ომით მოპოვებული მშვიდობისა მე არ მჯერა, ძალით დამორჩილებული კაცი ყოველთვის გვერდზე იყურება.

ღმერთმა ინებოს, რომ მალე ჩვენი ცხოვრება აფხაზეთში ნორმალურ პირობებში გაგრძელებულიყოს...

*რუბრიკას უძღვება*
*ლელა მარგიანი*

რადიოპროექტი –"ცხოვრებისეული ისტორიები" ხორციელდება ინგლისური საერთაშორისო ორგანიზაციის "შერიგების რესურსების" მიერ. ჩანაწერები მოგვაწოდა რადიოპროგრამა "პოსტფაქტუმმა".

# აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების პერსპექტივა

ზაზა ფარჯაშვილი

*საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ექსპერტი გიორგი კაჭარავა აცხადებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბოლო ხანებში განვითარებული მოვლენების შემდეგ გაჩნდა აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების რეალური პერსპექტივა. ჩვენს დიალოგში შეეტყობათ, თუ რამ მიიყვანა იგი ამ დასკვნამდე.*



*გიორგი კაჭარავა*

ზაზა ფარჯაშვილის ფოტო

გიორგი კაჭარავა სოხუმში დაიბადა და მშობლიური ქალაქიდან 1993 წლის 27 სექტემბერს გამოვიდა. 1996 წელს მან მუშაობა დაიწყო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში მთავარ სახელმწიფო მრჩეველად. 1998 წლიდან 2003 წლამდე კი ხელმძღვანელობდა საგარეო ურთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირების განყოფილებას.

**- ბატონო გიორგი, როგორი ურთიერთობა იყო ქართველებსა და აფხაზებს შორის ომამდე?**

- ქართველებსა და აფხაზებს შორის ყოველთვის ნორმალური, მეგობრული დამოკიდებულება იყო. ჩვენს ნათესაურ და ისტორიულ კავშირზე მხოლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ 40 პროცენტზე მეტი შერეული ოჯახები გვაქვს.

რაც შეეხება პერიოდულ კატაკლიზმებს, არა მგონია, ვინმემ ეს აფხაზი ერის ნებას მიაწეროს. გავიხსენოთ ცნობილი წერილები, რომელსაც მოსკოვში აფხაზური ელიტა აგზავნიდა, იმის მოთხოვნით, რომ აფხაზეთს უნდა ჰქონდეს ცალკე რესპუბლიკის სტატუსი სსრკ-ს შემადგენლობაში. ასეთი განწყობილების სავალალო შედეგებს ჩვენ ორივე ერი დღესაც ვიმკით.

სხვათა შორის, მოსკოვში ელცინის დროს, 1992 წლის 3 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებაზე ხელს აწერს არძინბაც, რომელიც ფაქტობრივად თავისი ხელმოწერით ადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, თუმცა ხელშეკრულება არძინბამ ცალმხრივად დაარღვია. ცხადია, ძალიან ცუდი როლი შეასრულა რუსეთის ფაქტორმაც, რაც საბედისწერო აღმოჩნდა ჩვენთვისაც და აფხაზებისთვისაც. მე მგონი, რომ დღეს აფხაზური ელიტა ამას თავადაც ხვდება.

**- რა გაკეთდა ამ ხნის განმავლობაში აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად?**

- მსოფლიომ იცის სიმართლე აფხაზეთის შესახებ. აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის ჩამოყალიბება (თუმცა, საკითხის დარეგულირებას ძალიან უშლის ხელს რუსეთის ფაქტორი. სწორედ მის ინტერესებში შედის ამ პროცესის გაწელვა).

უაღრესად მნიშვნელოვანია ორი მხარის არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობაც, რაც ხელს უწყობს ნდობის ფაქტორის აღდგენას.

ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო იყო ათენის, სტამბულის, იალტის შეხვედრები. ამ პროცესს რეალურად აქვს მომავალი.

ასევე მნიშვნელოვანია ბოდენის დოკუმენტი სოხუმსა და თბილისს შორის კონსტიტუციური უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ. აქ შეიძლება სადავო საკითხები იყოს, მაგრამ იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რაც დოკუმენტშია ჩადებული, უკვე შეიძლება სერიოზული დიალოგი კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე.

**- აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლების სტრუქტურებში აცხადებენ, რომ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით შემუშავებულია პროგრამა, რომელიც უშიშროების საბჭოში დევს, მაგრამ ამისთვის დღემდე ვერავინ მოიცალაო.**

- საერთოდ, მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ შეიძლება ნებისმიერი დოკუმენტი ძალიან მოკლე ხანში არაეფექტური გახდეს. ეს იყო კომპლექსური ღონისძიებების გეგმა, მაგრამ არა ის დოკუმენტი, რომელიც აფხაზეთის საკითხში სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა.

აფხაზეთის საკითხზე საქართველოში რამდენიმე უწყება მუშაობს – განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, დსთ-ს საქმეთა სახელმწიფო ბიურო, ძალოვანი სტრუქტურები (თავისი კომპეტენციის ფარგლებში), აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო და ა.შ. ამიტომ საჭიროა ყველა ამ უწყების ჯეროვანი კოორდინაცია, რაც დღემდე ვერ მოხერხდა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ეს ხარვეზი მალე გამოსწორდება და ჩვენ გვექნება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების ერთიანი სახელმწიფო პროგრამა. იმთავითვე უნდა განისაზღვროს ორი ძირითადი საკითხი – რა გვინდა ჩვენ და რას ვთავაზობთ აფხაზებს; რა მაქსიმუმზე და მინიმუმზე შეგვიძლია საუბარი; როგორ უნდა გავხადოთ ჩვენი ქვეყანა აფხაზებისთვის მიმზიდველი.

**- თქვენი პროგნოზით, როდის შეიძლება ასეთი პროგრამის შექმნა?**

- იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ეს პროგრამა სრულყოფილ სახეს მიიღებს. გარკვეული საბაზისო დოკუმენტები ამისთვის არსებობს. ჩემი აზრით, ეს დამოკიდებულია დღევანდელი ხელისუფლების ნებაზე, რომელსაც დღეს უკვე კონფლიქტის დარეგულირების რეალური შანსი გაუჩნდა.

**- რას ნიშნავს რეალური შანსი?**

- აფხაზურ მხარესთან ბოლო კონსულტაციები დეკემბერში გვქონდა, რომელიც ავსტრიაში გაიმართა. იმ შეხვედრების შთაბეჭდილებით შემიძლია ვთქვა, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს უნიკალური შანსი, დაარეგულიროს აფხაზეთის საკითხი. სხვათა შორის, ამ იმედით არიან გამსჭვალული თავად აფხაზებიც. დამიჯერეთ, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე.

ახალ ხელისუფლებას წინასთან შედარებით გარკვეული უპირატესობა აქვს, რასაც აფხაზებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია. "ახალი ხელისუფლების სახელი არ არის დაკავშირებული სისხლთან," - ეს არის აფხაზების განცხადება (შევარდნაძის ფიგურა კი, პირიქით, სისხლთან და ომთან იყო დაკავშირებული) და უშუალო პირობა იმისა, რომ ჩვენსა და აფხაზებს შორის გაიმართოს აბსოლუტურად ღია და პირდაპირი დიალოგი. რაც მთავარია, ამისთვის მზად არიან აფხაზები. ისინი მზად არიან, განიხილონ აფხაზეთის პრობლემა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. აქამდე აფხაზეთში ამ საკითხზე საუბარი კი არა, ფიქრიც აკრძალული იყო.

**- გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზებს ძალიან ეშინოდათ საქართველოში ოპოზიციის გამარჯვების, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ოპოზიციის ლიდერები კონფლიქტის მოგვარების ძალისმიერი მეთოდის მომხრენი იყვნენ.**

- მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთში ინფორმაცია რუსეთიდან შედის, ისინი კითხულობენ და უსმენენ რუსულ საინფორმაციო საშუალებებს, რომლებიც საქართველოს საკითხში ტენდენციურები არიან. ამიტომ აფხაზები გველაპარაკებოდნენ იმ პოზიციებიდან, რომლებსაც რუსული მასმედია აჟღერებდა. ჩვენ ვთქვით სიმართლე და შევეცადეთ, ამ სიმართლეში აფხაზებიც დაგვერწმუნებინა, რაც, ჩემი აზრით, მოვახერხეთ კიდეც. ჩვენი გულახდილობის შემდეგ აფხაზების დამოკიდებულება გამარჯვებული ოპოზიციის ლიდერებისადმი რადიკალურად შეიცვალა და მეორე დღეს გაიმართა წარმოუდგენლად კონსტრუქციული საუბარი. ეს იყო დიდი იმედის მომცემი შეხვედრა.

ჩვენ, ფაქტობრივად, დავიწყეთ საუბარი აფხაზეთის მომავალზე, მის სტატუსზე ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. რა თქმა უნდა, მზა ფორმულა არავის გააჩნია და უფრო კონკრეტულად, ჯერჯერობით, ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ერთი რამ ცხადია – აფხაზების მხრიდან არის აბსოლუტური (ამას ხაზს ვუსვამ, ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲣᲠᲘ) მზადყოფნა ამ საკითხების განხილვისათვის.

აფხაზებს მიაჩნიათ, რომ დღეს ბურთი ქართველების მოედანზეა და ახლა ელოდებიან იმას, თუ რა კომბინაციას გავათამაშებთ ჩვენ.

**- რამდენად არის ჩვენზე დამოკიდებული ყველაფერი, როცა არსებობს რუსეთის ფაქტორი და ამერიკის ინტერესები?**

- ზოგი ამბობს, რომ აფხაზეთის კონფლიქტის გასაღები აშშ-ში დევს, ზოგი ამ გასაღებს რუსეთში ეძებს. თუ ეს ასეა, მაშინ დამერწმუნეთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების მესამე გასაღები საქართველოშია.

**- გეთანხმებით, ერთი გასაღები ჩვენთანაა, მაგრამ საკითხავია, რომელ გზას უნდა მოვარგოთ?**

- ჩემი აზრით, ომი გამორიცხულია, ვინაიდან ომს სჭირდება ძალიან კარგად მომზადებული სამხედრო ძალა, რომელიც დღეს ჩვენ არ გვყავს. სჭირდება სერიოზული ეკონომიკური ბაზისი, რომელიც, ჯერჯერობით, ასევე არ გაგვაჩნია.

ამიტომ ჩვენ აქცენტი უნდა გავაკეთოთ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან, პოლიტიკურ გზებზე. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აფხაზებთან ერთად შევიმუშაოთ ერთიანი სახელმწიფოს ისეთი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს აფხაზი ეთნოსის გადარჩენასა და განვითარებას და, ამავდროულად, დევნილების დაბრუნების გარანტიც იქნება. ამას ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, თუ ამ პრობლემის გარშემო კონცენტრირებული იქნება მთელი სახელმწიფო.

# სამი გარემოება აფხაზეთში დაბრუნებისთვის

*ეს წერილი ერთმა ახალგაზრდა კაცმა მოიტანა. იგი არც დევნილია, არც – პოლიტიკოსი და არც – რომელიმე კომპეტენტური ორგანიზაციის წევრი. საქართველოს რიგითი მოქალაქეა, რომელსაც პროექტი "თქვენი აფხაზეთი" აზრის გამოთქმის საშუალება აძლევს. წერილი იბეჭდება შემოკლებით.*

გიორგი ბარბაქაძე

### ხელსაყრელი რეგიონული პოლიტიკური გარემოს შექმნა

რუსეთს დიდი ნეგატიური გავლენა გააჩნია აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე. ამდენად, საკითხის მოგვარებაში უდიდესი და გარდაუვალი როლი ენიჭება კონფლიქტის პოლიტიკურ ხედვას რეგიონალური მასშტაბით. საქართველომ უნდა განსაზღვროს რეგიონალური თანამშრომლობის მომავლის კონტურები და დაიწყოს მისი ხორცშესხმა თუნდაც იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც, რუსეთისგან განსხვავებით, ამ პროცესს ხელოვნურ ბარიერებს არ შეუქმნიან.

უნდა შეიქმნას ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნიადაგი, რომელიც ერთის მხრივ, კუთხეში მოამწყვდევს სეპარატისტულ რეჟიმს და, მეორეს მხრივ, გარდაუვალი აუცილებლობის შემთხვევაში, მაღალი ხარისხის ლეგიტიმაციას შესძენს კონფლიქტის სამართლებრივ-ძალისმიერი გზით მოგვარებასაც.

ეკონომიკური თანამშრომლობის მხრივ უდიდესი როლი ენიჭება უკრაინას, რომელიც დიდ ეკონომიკურ რესურსს წარმოადგენს რეგიონისთვის. უკრაინასთან წარმატებული ეკონომიკური თანამშრომლობა რეგიონალური თანამშრომლობის ისეთ პრეცედენტს შექმნის, რომლის ფონზეც რუსეთის მიერ რეგიონში წარმოებული არაკონსტრუქციული პოლიტიკა სრულად წარმოჩინდება. მიღწეული იქნება ის მორალური გამარჯვება, რომელიც მოამზადებს პოლიტიკურ ნიადაგს აფხაზეთის დასაბრუნებლად.

საქართველო დღეს რეგიონში მზარდი და ყველაზე მაღალი ხარისხის დემოკრატიის მქონე სახელმწიფოს წარმოადგენს. მას გააჩნია ყველა წინაპირობა იმისათვის, რომ მშვიდობიანი რეგიონალური თანამშრომლობის ინიციატივა აიღოს ხელში და ამით აფხაზეთის საკითხის პოლიტიკური მხარე თავის სასარგებლოდ გადაწონოს, მაგრამ აუცილებელია აღინიშნოს, რომ არ უნდა გაკეთდეს აქცენტი უკრაინასთან სამხედრო თანამშრომლობაზე. ეს ყოვლად უპერსპექტივოა თუნდაც იმიტომ, რომ უკრაინელები და რუსები ეთნიკურად სლავურ ოჯახს მიეკუთვნებიან და, თუნდაც პასიური სახის სამხედრო ალიანსი უკრაინასთან რუსეთის წინააღმდეგ, რეალობისგან შორს დგას. სამხედრო პარტნიორები საქართველოს უკვე განსაზღვრული ჰყავს და ესენი არიან აშშ და ნატო.

### ხელსაყრელი საერთაშორისო პოლიტიკური გარემოს შექმნა

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული რეჟიმის მიერ ადამიანის უფლებების სისტემატური უხეში დარღვევა შეუძლებელია, არ აშფოთებდეს საერთაშორისო თანამეგობრობას, თუმცა მისი რეაქცია არსებული ვითარების ირგვლივ არ არის საკმარისად მკაცრი. აქ აშკარაა, რომ აფხაზეთის პრობლემა სათანადოდ არ არის მიტანილი და დაყენებული საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე.

გაერო-ს ყოველი ფაქტი უნდა წარედგინოს და მასზე რეაგირება მოეთხოვოს. ასეთი პრინციპული დამოკიდებულება, ერთი მხრივ, გააძლიერებს არგუმენტებს გაერო-ს მიერ სამშვიდობო ოპერაციის განსახორციელებლად, მეორე მხრივ, სეპარატისტულ რეჟიმს მოუსპობს საქართველოს პოლიტიკური შანტაჟირების ბერკეტებს.

### დიპლომატიური რესურსი

ზემოთ მოყვანილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მექანიზმები სეპარატისტული რეჟიმის პოლიტიკურ ჩიხში მომწყვდევას ისახავს მიზნად. მხოლოდ ასეთ ფონზე იქნება შესაძლებელი დიპლომატიური შედეგის მიღწევა. კონფლიქტის მოგვარების ყოველ ეტაპზე საქართველომ უნდა მოსინჯოს მისასვლელი გზები რუსეთის და ასევე აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებასთან, რათა ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე გაერო-ს ეგიდით საერთაშორისო სამშვიდობო კონტინგენტის განლაგებაზე დაითანხმოს.

პარალელურად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საქართველოს ძლიერი არმიის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, დიპლომატიური ძალისხმევის ეფექტურობას გაამყარებს. უკიდურეს შემთხვევაში კი პრობლემის სამართლებრივად, ძალისმიერი გზით მოგვარებას უზრუნველყოფს.

აღნიშნული პოლიტიკურ-ეკონომიკური და დიპლომატიური ბერკეტების სრულად ამოქმედება შესაძლებელს გახდის, რომ საქართველომ უმტკივნეულოდ, ან თუნდაც ძალისმიერი გზით, მინიმალური დანაკარგებით, კონსტიტუციის ფარგლებში აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა. ამაში საქართველოს პოლიტიკურ და, შესაძლოა, სამხედრო მხარდაჭერასაც სტრატეგიულად პარტნიორი სახელმწიფოები გაუწევენ.

**რადიო "მწვანე ტალღა"**

**ამიერიდან ყოველ ორშაბათს 11.00-დან 12.00 საათამდე პროექტი "თქვენი აფხაზეთი" რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში წარმოგიდგენთ დიალოგს, პირდაპირ ჩართვებს, კითხვა-პასუხს.**

***FM 107,4***

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# ძმაო, ერმინე, ნუ გაცვლი, ბიჭო, აფხაზეთს სამ ლარზე, ოთხ ცალ პურსა და ჭუა ქალზე!!!

ომარ შარია
*დევნილი აფხაზეთიდან*

*"ომის ყველაზე დიდი დანაშაული ის არის, რომ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის პიროვნებას სპობს და ადამიანის მსგავს მხეცებს ამრავლებს, რომელთა ხელახლა გაადამიანებას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე კიდევ ერთი ომის მომზადებას".*

ომს მედალივით ორი მხარე აქვს. ომი მარტო სიკვდილი, ნგრევა, ცრემლები, დევნილობა არ გახლავთ. არანაკლებ ტრაგიკულია მისი შედეგი ათეულობით წლების შემდეგაც...

სამი წლის წინ, თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ერთ ჩემს თანამემამულეს, მეურნე კაცს, ომის დამთავრების შემდეგ პირველად შევხვდი. ბუნებრივია, ჩვენს შეხვედრას მოჭარბებული ემოციები და მამაკაცური ცრემლებიც ახლდა. ორივე მათგანს თავისუფალი დრო საკმაოდ გვქონდა, ამიტომაც იქვე კუთხეში ჩამოვსხედით და გასულ წლებზე, მიტოვებულ სახლ-კარზე, მშობლიური კუთხის სიყვარულზე, ყრუ ტკივილსა და ნოსტალგიაზე საუბრით გული ვიჯერეთ. ჩემს წინ იჯდა პროფესიონალი მიწათმოქმედი, რომელიც თავისი დღე და მოსწრება ეფერებოდა მიწას, ხნავდა, თესავდა, იღებდა მოსავალს, რგავდა ხეებს, უვლიდა ბაღ-ბოსტანს, შინაურ ფრინველს, მსხვილფეხა საქონელს, ხალიჩასავით ჰქონდა მოქარგული შემოგარენი და კარ-მიდამო, სახლი და ეზო. ყველაფერი ეს ომმა წაართვა და მას თბილისში, ოჯახთან ერთად, დევნილობის მწარე ხვედრი არგუნა. იგი დათრგუნული, დაჩაჩანაკებული, უმწეო, უხალისო ჩანდა, მძიმე ავადმყოფის შთაბეჭდილებას ტოვებდა. როცა საღამოჟამს ერთმანეთს დავშორდით, გულში გავიფიქრე: მე ამ კაცს, ალბათ, ცოცხალს ველარ ვნახავ, იგი დიდი ხანი ვერ გაუძლებს ამ მდგომარეობას, უმიწობას, უმუშევრობას, გაუსაძლის ყოფას, აუტანელ ნოსტალგიას, ერთი სიტყვით, ცოცხლად გამოვიტირე ჩემი თანამემამულე და ამ შეხვედრით გულდამძიმებული დავუბრუნდი ჩემს დროებით თავშესაფარს - 39-ე საბავშვო ბაგა-ბაღს...

გავიდა დრო და ხანი. მას შემდეგ ბევრი დევნილის გაწამებული ნეშტი მიიბარა თბილის-ქალაქმა, ბევრ დევნილს გაუსკდა გული, ბევრ მათგანს ვერ აუხდა, ვერ აუსრულდა ოცნება - ცოცხალი თუ ვერა, მკვდარი მაინც დაბრუნებულიყო მშობლიურ აფხაზეთში და მიჰბარებოდა საკუთარ მიწას!!!

ერთი თვის წინ, საკმაოდ შორიდან, ისევ რუსთაველის პროსპექტზე, ღონიერი და მხნე ნაბიჯებით, წელში გამართული, თეთრი პირისახით, დინჯად მომავალი, "გარდაუცვლელი" ჩემი თანამემამულე, დევნილი ერმინე შევნიშნე. თავიდან ვერ დავიჯერე, სხვაში ხომ არ შემეშალა-მეთქი, მაგრამ არა. მას ორი პარკი მოჰქონდა, ერთში ოთხი პური ედო, მეორე კი ხილ-ბოსტნეულით ჰქონდა სავსე. მივესალმეთ და გადავეხვიეთ ერთმანეთს, მაგრამ ეს არ ჰგავდა მონატრებულ ადამიანთა შეხვედრას...

გავიხსენეთ და ვისაუბრეთ აფხაზეთზე, მაგრამ იგი არ ჰგავდა წინანდელს...

საუბარი წამოვიწყე უკან დაბრუნებაზე, მშვიდ ცხოვრებაზე, სიმყუდროვეზე, მაგრამ იგი ამ თემისადმი ინტერესს არ იჩენდა...

გულში წყენა არ შევიმჩნიე და ვთხოვე, მოკლედ მოეთხრო ჩემთვის მის ამჟამინდელ საქმიანობაზე, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა:

"მეორე წელია, რაც პურსაცხობში მუშად მოვეწყვე, ვმუშაობ დილის 8 საათიდან საღამოს 6 საათამდე, დღის ბოლოს მეპატრონისაგან ვიღებ სამ ლარს, ოთხ ცალ პურსა და ცხელ შხაპს. ბოდიში შენთან და, როცა მომინდება, ყველაფერ ამას ზედ "ვაყოლებ" ბოთლ ღვინოსა და ჯუა ქალს (ჯუა ნიშნავს მეძავს). ასე ვარჩენ, ჩემო ძმაო, ოჯახსა და საკუთარ თავს..."

როცა შევეკითხე, აფხაზეთი, შენი ეზო-კარი, ძველებურად თუ გენატრება-მეთქი, არც კი დაფიქრებულა და უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა: "რა აფხაზეთი, რისი აფხაზეთი, რომელი მიწა და მშობლიური კუთხე, სულელი ვყოფილვარ, მიწას რომ ვაკლავდი თავს, ცხოვრება ერთის და მეორის გარეშეც შეიძლება თურმე, როცა გაქვს სამუშაო და პირში ლუკმა. ჩემდათავად, იქ დამბრუნებლის დედაც ვატირე" (სტილი დაცულია). ამ სიტყვების შემდეგ, მან მარჯვენა მხარზე ხელი დამადო, ლოყებზე მომითათუნა, თავისი "გენიალური დასკვნებით" უზომოდ კმაყოფილმა, შუა ქუჩაში დამტოვა და ნელი ნაბიჯებით მეტროსკენ გზას გაუყვა. გაოგნებული დავრჩი, კისერზე ბოლმა, გულში ტკივილი მომაწვა და ეს სიტყვები აღმომხდა:

- ბიჭო, ერმინე, როგორ დავიჯერო, რომ საკუთარ ეზოში, ცვრით დანამულ მინდორში ფეხშიშველას გავლა, საკუთარი ჭიდან ცივი წყლის დალევა, საღამო ჟამის რბილი ნიავი, უჩვეულო, "ჩვენებური" თოვლი და წვიმა, იებითა და ყვავილებით მოქარგული შენი შუკა არ გენატრება?! არაფერს ვამბობ სხვა დანარჩენზე, და თუ არ გენატრება, თუ წარსულის ექო და მშობლიური მიწის ყივილი არ გესმის, იცოდე, რომ მძორი ხარ, უსულო სხეული, ეშმაკისა და სატანის ლუკმა, მსხვერპლი და მსახური ხარ!

როგორ გგონია, განა ჩვენ, დევნილთა უმეტესობას, არსებობისათვის ბრძოლა არ გვიხდება, განა ჩვენ არ ვაცხობთ და არ ვყიდით ქუჩაში პურს, განა ჩვენ არ ვემსახურებით ძლიერთ ამა ქვეყნისა, მაგრამ რაც უფრო გვიჭირს და გადარჩენისთვის ვიბრძვით, მით უფრო ღრმავდება ჩვენში მშობლიური კუთხისადმი სიყვარული, მოწიწება, ნოსტალგია, მით უფრო მტკიცდება ჩვენში რწმენა იმისა, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ დავუბრუნდებით საკუთარ კერას, ისევ დავფუძნდებით, მოვშენდებით, მოვღონიერდებით და ჩვეულ ცხოვრებას ისევ გავაგრძელებთ. ეს სიყვარული და რწმენა ჩვენში იმიტომ ღრმავდება, რომ სხეულის გადარჩენას სულის გადარჩენა ვარჩიეთ, აფხაზეთის მიწა, მისდამი სიყვარული და ერთგულება სამ ლარს, ცხელ შხაპს, ოთხ ცალ პურსა და ჯუა ქალს არ ვანაცვალეთ!!!

დაფიქრდი, სანამ დროა, ჩემო დაბრმავებულო ძმაო, ჩემო გზააბნეულო ერმინე, უმკურნალე შენს გადაგვარებულ სულს. ღვთის ნაბოძები მიწის უარყოფას, მის უპატრონოდ მიტოვებასა და მიგდებას, იცოდე, თვით უსაზღვროდ სულგრძელი და მიმტევებელი უფალიც ვერ გაპატიებს!!!

თანამემამულენო, ფხიზლად იყავით, ერმინეს "მეტასტაზები" არ გადაგედოთ!!!

www.24hours.ge
24 B

მერიდიანი

# „ნიუ იორკ თაიმსს" ძველი ცოდვები აწუხებს

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

გაზეთმა "ნიუ იორკ თაიმსმა" კოლუმბიის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორს, XX საუკუნის პირველი ნახევრის ექსპერტს, მარკ ფონ ჰეგენს თხოვნით მიმართა: "დამოუკიდებელი აზრი გამოეთქვა" საბჭოთა კავშირში მისი საკუთარი კორესპონდენტის, უოლტერ დიურანტეს მუშაობის შესახებ... გასული საუკუნის 30-იან წლებში. წარსულში მოგზაურობა იმისთვის გახდა საჭირო, რომ მოსკოვში მუშაობისთვის დიურანტემ აშშ-ში ყველაზე პრესტიჟული ჟურნალისტური ჯილდო – პულიტცერის პრემია მიიღო, რომელსაც მას ამჟამად, როგორც დაუმსახურებელს, ედავებიან.

ექსპერტის აზრი ასეთია: პრემია ანულირებულ უნდა იქნეს, ვინაიდან თავის კორესპონდენციებში დიურანტე "სტალინის მთავრობის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებისას, ბალანსს არ იცავდა". გაზეთმა ფონ ჰაგენს მას შემდეგ მიმართა, რაც პულიტცერის პრემიის მიმნიჭებელი ჟიურისგან წერილი მიიღო, რომელშიც ის დიურანტესთან დაკავშირებით "სიტუაციის კომენტირებას" სთხოვდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ "დაიწყო მოთხოვნების ახალი რაუნდი იმის თაობაზე, რომ დიურანტეს გარდაცვალების შემდეგ, 1932 წელს მინიჭებული პრემია ჩამოერთვას" (დიურანტე 1957 წელს გარდაიცვალა). ყველაზე ხმამაღლა უკრაინული წარმოშობის ამერიკელები გასძახიან. ისინი დიურანტეს იმაში ადანაშაულებენ, რომ მან საბჭოთა კავშირიდან გამოგზავნილ რეპორტაჟებში უკრაინაში არსებული შიმშილი არ ახსენა, რომლის მსხვერპლიც 1932-33 წლებში მილიონობით ადამიანი გახდა.

თავის საექსპერტო დასკვნაში ფონ ჰეგენი წერს, რომ დიურანტეს კორესპონდენცია საბჭოთა წყაროების მოსაწყენი და არაკრიტიკული გადამღერება იყო. ბალანსის არქონამ და სტალინური რეჟიმის სისასტიკისა და მფლანგველობის საბჭოთა გამართლებების არაკრიტიკულმა მიღებამ "ნიუ იორკ თაიმსის" მკითხველებსა და მათ მიერ აღიარებულ ლიბერალურ ფასეულობებს დათვური სამსახური გაუწია, ისევე, როგორც რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის ხალხების ისტორიულ გამოცდილებას, მათ ბრძოლას უკეთესი ცხოვრებისთვის. გაზეთის ხელმძღვანელობასთან საუბარში, და ასევე "ნიუ იორკ სანში" გამოქვეყნებულ სტატიაში ფონ ჰეგენი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ პულიტცერის ჟიურიმ დიურანტესთვის მინიჭებული პრემია უნდა გააუქმოს, რომ ეს თავად "ნიუ იორკ თაიმსის", "მისი პატივისა და დიდების" საკითხია, და გაზეთმა "ისტორიული სირცხვილი უნდა ჩამოირეცხოს".




"ნიუ იორკ თაიმსის" რედაქციის ახალი შენობა ამავე გაზეთის 1922 წლის დეკემბრის ნომერში.

"ნიუ იორკ თაიმსი" "სირცხვილის ჩამორეცხვას" ჯერ კიდევ 1986 წელს ცდილობდა, როცა რობერტ კონკვისტის წიგნის რეცენზია გამოაქვეყნა. წიგნის სათაურია "მწუხარების მოსავალი: საბჭოთა კოლექტივიზაცია და შიმშილის ტერორი". რეცენზიის ავტორი გრეგ უიტნი გახლავთ, რომელიც 1977-1980 წლებში თავადაც გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი იყო მოსკოვში. ის წერდა, რომ დიურანტე "თავის რეპორტაჟებში შიმშილის არსებობას არ აღიარებდა, სანამ ის არ დასრულდა, თუმცა შიმშილობის დამადასტურებელი ფაქტები მრავლად იყო". ოთხი წლის შემდეგ (1990 წელს), მას მერე, რაც დიურანტეს კრიტიკული ბიოგრაფია, ს. ტეილორის "სტალინის აპოლოგეტი" გამოქვეყნდა, "ნიუ იორკ თაიმსმა" გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წევრს, კარლ მეიერს, დიურანტეს მუშაობის შესახებ სარედაქციო სტატიის დაწერა დაავალა. მეიერის სტატიაში ნათქვამი იყო, რომ დიურანტეს რეპორტაჟები "ყველაზე ცუდ მასალებს შეიცავდა, რომლებიც კი ოდესმე ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულა". მაგრამ "ნიუ იორკ თაიმსს" პრემიის ანულირების საკითხი არ დაუყენებია. ეს საკითხი თავად პულიტცერის კომიტეტის წიაღში მომწიფდა.

გასული წლის ივლისში პულიტცერის კომიტეტმა ახალი გამოძიება დაიწყო, გაზეთმა კი ფონ ჰეგენს მიმართა. წერილში, რომელიც ექსპერტის ცხრაგვერდიან მოხსენებას აქვს დართული, "ნიუ იორკ თაიმსის" მფლობელი არტურ სულცბერგერი-უმცროსი წერდა: "უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში გაზეთი ხშირად აღიარებდა, რომ დიურანტეს უსულგულო ნამუშევარი რედაქტორებს და პულიტცერის ჟიურის ჯერ კიდევ სამოცდაათი წლის წინათ სათანადოდ უნდა შეეფასებინათ." სულცბერგერი იმასაც წერდა, რომ მის გაზეთს დიურანტეს მიერ მიღებული პრემია "არ აქვს" და ამიტომ მისი დაბრუნებაც არ შეუძლია. სულცბერგერის წერილი ერთობ დიპლომატიური იყო! ის აშკარად მთელ ბრალს თავის ბაბუას აკისრებდა, მის ჯგუფს და ჟიურის ძველ შემადგენლობას; მაგრამ მეორე მხრივ, ის პირდაპირ არაფერს ამბობდა: არც იმას ურჩევდა პულიტცერის კომიტეტს, რომ პრემია უკან გაეწვია, და არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, ასეთი ჟესტი მისი მხრიდან რა რეაქციას გამოიწვევდა. და ბოლოს, სულცბერგერი ორ გარემოებას უსვამდა ხაზს. მის წერილში ნათქვამია, რომ, ჯერ ერთი, პრემიის უკან გამოწვევა "პიროვნებების ოფიციალური ქრონიკებიდან და ისტორიიდან ამოშლის სტალინურ პრაქტიკას მოგვაგონებს". მეორე: ამან შეიძლება მრავალი წლის წინანდელი მოვლენების და მათი შეფასებების რევიზია გამოიწვიოს.

"ნიუ იორკ თაიმსის" მთავარი რედაქტორი, ბილ კელერი, თავის უფროსს სავსებით ეთანხმება (1986-1991 წლებში კელერი მოსკოვში ასევე გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი იყო). თავისივე გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში კელერმა თქვა: "დიურანტეს ნაწერები, ყოველ შემთხვევაში, რომლებიც მე წამიკითხავს, არასარწმუნო იყო – ეს აბსოლუტური სიმართლეა. ის, თუთიყუშივით, პროპაგანდას იმეორებდა (საბჭოთას – მ.ს.). მაგრამ მე გარკვეული დრო საბჭოთა კავშირში მაქვს გატარებული, და ისტორიის გადასხვაფერების შესაძლებლობის წარმოდგენაზე ტანში მზარავს".

ყველაფერ ამას მე დავურთავდი: "ნიუ იორკ თაიმსი" დიურანტეს უბრალოდ როდი "უძლებდა". ის ამაზე შეგნებულად მიდიოდა, რომ მოსკოვში თავისი კაცი შეენარჩუნებინა, რომელსაც თავად სტალინთან შეესვლებოდა. დიურანტეს რომ "არასწორად ეწერა", მას უმალვე გამოაძევებდნენ საბჭოთა კავშირიდან. ჩვენთან ამერიკელ კორესპონდენტებს ბრეჟნევის კრიტიკისთვის აგდებდნენ, და სტალინის კრიტიკისტვის რა დღეს დააყრიდნენ?

და კიდევ. წვერებიანი, საბჭოთა დროის ანეკდოტია: რუსი და ამერიკელი დემოკრატიაზე დავობენ. ამერიკელმა თქვა: "მე შემიძლია თეთრ სახლთან მივიდე და დავიძახო: "ძირს პრეზიდენტი!" და არაფერი არ მომივა". მერე რა," უპასუხა რუსმა, "მეც შემიძლია თეთრ სახლთან მივიდე და დავიძახო: "ძირს პრეზიდენტი!" და მეც არაფერი მომივა".

სასაცილოა, მაგრამ არასწორია. ცენზორებს, რომლებიც საბჭოთა გაზეთებში ისხდნენ, "მთავლიტის" წესდება ჰქონდათ, რომელიც ჟურნალისტებს ზემდგომი ინსტიტუტების საგანგებო ნებართვის გარეშე საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურებისა და მთავრობის კრიტიკა ეკრძალებოდათ. ჩემს ადრეულ დროში ნებართვის გარეშე მხოლოდ იუგოსლავიის პრეზიდენტის, მარშალ ტიტოსა და ესპანელი დიქტატორის, ფრანკოს კრიტიკა შეიძლებოდა. მოგვიანებით აშშ-ს პრეზიდენტ ნიქსონის კრიტიკასაც ტაბუ დაედო – უოტერგეიტთან დაკავშირებით. ამ სკანდალს ჩვენ საერთოდ არ ვაშუქებდით, ბრეჟნევი და ნიქსონი "მეგობრობდნენ", უოტერგეიტს კი კრემლი საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ძირგამომთხრელ მოვლენად განიხილავდა. მახსოვს, ირანის უკანასკნელი შაჰის შესახებ სტატიისთვის "მისი უდიდებულესობა გაიქცა" კინაღამ გაზეთიდან გამაგდეს: საგარეო საქმეთა სამინისტრო შაჰს ჯერაც აღიარებდა, თუმცა თეირანში უკვე აიათოლა ჰომეინი იყო გამაგრებული. ჩემი ვაშინგტონიდან გამოწვევა ვერ მოასწრეს, კრემლმა აიათოლა სცნო და ჩემი "მკრეხელური" სტატია უცებ "დროული" აღმოჩნდა.

ცხადია, თეთრი სახლი "ნიუ იორკ თაიმსს" თავს ვერაფერს მოახვევს, მაგრამ სულცბერგერები ამას თამამად შეძლებენ – ისინი გაზეთის მფლობელები არიან. 30-იანი წლების დასაწყისში მათ, როგორც ჩანს, დიურანტეს მოსკოვში ყოფნა აწყობდათ. და საერთოდ, რამდენი რამაა გასახსენებელი. რაღა ამ დიურანტეს ჩააცივდნენ!

## 2004 წლის პარიზული კოლექცია B8




## მშვიდობით, მომავალ ოინამდე B7






## თეატრი

**თეატრალური სარდაფი**
პატრიკ ზიუსკინდი
"კაფე როსინი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
ლევან სანიკიძე "ბაგრატიონები"
კითხულობს კოტე მახარაძე (ვიდეოჩვენება)
დას: 18:00 სთ

## კლუბები

**"ნოა-ნოა"**
ჩინური ახალი წელი
(ფარნების ანთების ცერემონია, პერფორმანსი, ცეცხლოვანი დრაკონის ცეკვა, ფეიერვერკი)
დას: 22:00 სთ

## კინო

**რუსთაველი**
"ნემოს ძიებაში" (ქართულ ენაზე)
დას: 14:00; 16:00 სთ.

"ძალიან საშიში კინო 3"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ფრედი ჯეისონის წინააღმდეგ"
დას: 13:30; 18:00; 20:00 სთ.

"რეალური სიყვარული"
დას: 15:30; 22:00 სთ.
ფასი: 5-8 ლარი

## გამოფენა

**"შარდენი"**
სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევართა გამოფენა

**"ქარვასლა"**
გეგა ქუთათელაძის ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა
III სართული

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
საახალწლო საშობაო გამოფენა
"50 ახალგაზრდა მხატვრის საახალწლო სიურპრიზი"

**ჰობი**
თენგიზ მირზაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"ფიროსმანის მოტივები"
II დარბაზი

"საშობაო გამოფენა"
I დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
"თბილისელი მხატვრები"
I დარბაზი

მაია გამჯაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
II დარბაზი

# ბარიკადები - რეგიონები - თბილისი

### ზურაბ რთველიაშვილის რევოლუციური პოეზიის საღამო

ანა კორძაია-სამადაშვილი

პოპულარული ლიტერატორების მიერ გამართული საღამოები მრავალი თვალსაზრისითაა საინტერესო და სახალისო. ერთი ისაა, რომ პოპულარობა მთლად ციდან ჩამოვარდნილი არ არის ხოლმე – ზოგიერთებისგან, ვთქვათ, თანამედროვე ქართული პოპ-მუსიკის "ვარსკვლავებისგან" განსხვავებით, პოპულარულ პოეტსა თუ მწერალს ხალხის სიყვარული, როგორც წესი, რამით მაინც დამსახურებული აქვს და, შესაბამისად, მისი მოსმენა ღირს. გარდა ამისა, ასეთ თავყრილობებზე უამრავ სასიამოვნო არსებას გადაეყრება კაცი და ათასგვარ ახალ ამბავსაც გაიგებს – დამეთანხმებით, ესეც საქმეა.

ასე, ზურაბ რთველიაშვილის პოეზიის საღამოზე მისულს კარის გაღებისთანავე პოეტი შოთა იათაშვილი შემხვდა და მახარა, რომ ლიტერატურულ-საზოგადოებრივი გაზეთი "ალტერნატივა" კვლავ გამოდის, რაც თავისთავად, ჩინებული ამბავია.

შემდეგი სასიამოვნო სიურპრიზი ტელე-ჟურნალისტის, მამუკა ბერიკას ხილვა იყო, რომელიც მსგავს თავყრილობებზე იშვიათად ცხადდება ხოლმე. მამუკამ გვიამბო, რომ მასპინძლის, ანუ ზურაბ რთველიაშვილის ლექსები თავის რადიოგადაცემაშიც წაუკითხავს და მსმენელიც კმაყოფილი დარჩენილა და თავად ბერიკაც.

მერე დეფი ვნახე, ანუ დავით გოგიბედაშვილი, რომელმაც მომახსენა, სულ მალე ჩემი ახალი რომანი გამოვაო, "დილა სასწაულების წინ", და რამდენიმე სხვა ახალი პროექტის შესახებაც მიამბო, რომლებიც, იმედია, წარმატებით განხორციელდება და მათ შესახებ მაშინ მოგახსენებთ. რომანი კი უკვე მზადაა, გამომცემლობა "საარმა" გამოაქვეყნა, და ავტორი და გამომცემელი პრეზენტაციას არ გამოგვაპარებენ.


ზურაბ რთველიაშვილი ახალ ლექსებს კითხულობს.

მრავალი ნაცნობის შეხვედრით ძალიან კმაყოფილი გახლდით, რადგან, როგორც წესი და რიგია, ქართველი ჟურნალისტები ავტორს საღამოს დაწყებამდე დაესივნენ, და იმდენი ალაპარაკეს, რომ მეგონა, ზურაბს ჩემთვის სათქმელი აღარაფერი დარჩებოდა. საბედნიეროდ, მთლად ვერ მოერივნენ, და პოეტმა მითხრა, რომ მისი საღამო ბარიკადებზე დაწყებულის და რეგიონებში გაგრძელებულის დასკვნითი ნაწილია. მისი თქმით... თუმცა, ჩემს მიერ გადმოცემულის ნაცვლად, სჯობს თავად ზურაბის ლექსებით განვსაჯოთ:

"რაც გათამაშდა, ჩემს მზერაში აღსრულდა უცებ.

თვალახვეულმა გავატარე თითი პროსპექტზე.

რა შემაჩერებს, როცა მაღალ ცაში მივიწევ,

რომ დავანახო ფრთების სიგრძე ნატიფ პოეტებს!"

უნდა მოგახსენოთ, რომ ბატონი ზურაბი მშვენიერი მთხრობელია, მაგრამ თავადაც ბრძანა, რომ "მათ – ვისაც არ ესმის ვპასუხობ ლექსებით". ამიტომ მასთან ინტერვიუს აღებას და მერე იმაზე ნერვიულობას, სწორად გავიგე თუ არა, კვლავ ლექსებისთვის ყურის დაგდება და შემდეგ წაკითხვა ვამჯობინე, მით უმეტეს, რომ ავტორი მათ ჩინებულად კითხულობს და ისინი ნაწილობრივ ახალ "ალტერნატივაშიც" დაიბეჭდა.

აი, ასეთი საღამო გავატარე "ლიტერატურულ კაფეში". ლექსებიც მოვისმინე, ერთობ რთული კონსტრუქციის ჭიქიდან მშვენიერ მწვანე ჩაისაც გეახელით, და საერთოდ, ფრიად სასიამოვნო ადგილია ეს "ლიტერატურული კაფე".

# ხმა ამერიკიდან

### თემურ ყვითელაშვილი მოგზაურობას აგრძელებს

ვერა ნეფარიძე

*თემურ ყვითელაშვილს ძალიან აღიზიანებს, როდესაც მასზე ამბობენ საქართველოდან წავიდაო. იმის მიუხედავად, რომ ცნობილი გიტარისტი სამშობლოში დროდადრო, მცირე ხნით ჩამოდის, ხოლო მისი ძირითადი საცხოვრებელი მოსკოვშია, მუსიკოსს თავი საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ მიაჩნია. მოსკოვს კი უბრალოდ, გადასაადგილებლად საუკეთესო პუნქტად მიიჩნევს. ამჯერად ქართველი მუსიკოსი მოსკოვიდან შეერთებულ შტატებში აღმოჩნდა. დღეს კი მისი კონცერტი ლოს ანჯელესის ჯაზ-კლუბ La Velee-შია დაგეგმილი.*

თემურ ყვითელაშვილი პირველი გიტარისტია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ვინც ლოს ანჯელესის კლუბების ჯაზის კვირეულში ოფიციალურად მიიწვიეს. "ლა ველე" ჯაზის მოყვარულების ერთ-ერთი პრესტიჟული ნავსაყუდელია, სადაც მაღალი დონის მუსიკოსები გამოდიან. ამჯერადაც, ქართველი გიტარისტის გარდა, კლუბის სტუმრების წინაშე თანამედროვე ჯაზის საკმაოდ ცნობილი და სახელოვანი ოსტატები წარდგებიან. მიმდინარე კვირაში ყვითელაშვილთან ერთად, "ლა ველეს" აუდიტორიის მასპინძლები იქნებიან: ელის ჰოლი (ვირტუოზული მულტიინსტრუმენტალისტი, ვოკალისტი, პროდიუსერი და კომპოზიტორი), კატია მორაესი და ჯგუფი "სამბაგურუ" (ცნობილი ბრაზილიური პროექტი), ფრენკ გემბალე ("გრემის" ლაურეატი, გიტარისტი, რომელიც ჩიკ კორეას ჯგუფში უკრავდა), ოტმარო რუიზი (ვენესუელელი პიანისტი), სკოტ კინსი (უმაღლესი კლასის ქიბორდის ოსტატი) და სხვები. თავად თემურ ყვითელაშვილი ჩვეული თავმდაბლობით აცხადებს, რომ მისთვის დიდი პატივია აღნიშნულ კლუბში ზემოთჩამოთვლილ მუსიკოსებთან ერთად გამოსვლა. რაც შეეხება, კლუბს, იმის გარდა, რომ "ლა ველე" ცნობილია როგორც ჯაზის პოპულარიზატორი, აქაურობას განსაკუთრებული სამზარეულოს წყალობითაც იცნობენ – "ლა ველე" კვირაში ხუთი დღე ხმელთაშუა ზღვის სამზარეულოთი უმასპინძლდება სტუმრებს.


თემურ ყვითელაშვილი დღეს ლოს ანჭელესში დაუკრავს.

"ლა ველეს" ჯაზის კვირეული არ არის ლოს ანჯელესის ერთადერთი ღონისძიება, სადაც თემურ ყვითელაშვილი მონაწილეობს. ქართველი გიტარისტი სხვა კულტურულ ღონისძიებებშიც გამოჩნდა. რამდენიმე დღის წინათ ქალაქის ერთ-ერთ უბანში ოთხდღიანი გამოფენა "ნემშოუ" გაიმართა, რომელზეც გიტარისტმა ორი უცხოური კომპანია - Y&L Trading და ENGL წარმოადგინა. Y&L Trading გიტარის ხელით ნაკეთი სიმის - DR-ის ოფიციალური დისტრიბუტორია, ENGL კი, გიტარის გამაძლიერებლების მწარმოებელი ცნობილი ფირმაა. მუსიკოსი ორივე კომპანიის სახეს წარმოადგენს. "ნემშოუ" ლოს ანჯელესის ყოველწლიური ღონისძიებაა, სადაც როგორც წესი, უამრავი ვარსკვლავი იკრიბება ხოლმე. გამოფენაში თემურ ყვითელაშვილმა უკვე მეორედ მიიღო მონაწილეობა. ქართველი გიტარისტის თქმით, გამოფენაზე სხვადასხვა მუსიკალური კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. შედეგად კი, შესაძლოა, თემურ ყვითელაშვილი სხვა ცნობილი ფირმების სახედაც იქცეს. ამ მხრივ კი, თემურ ყვითელაშვილი მართლაც გამორჩეული მუსიკოსია საქართველოდან. თუმცა, გიტარისტს პირველობაზე პრეტენზიის რამდენიმე სხვა საფუძველიც აქვს.

თემურ ყვითელაშვილი პირველი გიტარისტი იყო საქართველოში, რომელმაც კლასიკა გიტარაზე ააჟღერა; თუ არ ვცდები, ერთადერთი გიტარისტია, რომელიც პრეზიდენტმა შევარდნაძემ "ღირსების ორდენით" დააჯილდოვა; და ასევე პირველი და ერთადერთი გიტარისტი საქართველოდან, რომელმაც დღემდე ოთხი სოლო-ალბომი გამოუშვა და ორი სოლო-კონცერტი გამართა საქართველოში. არის უამრავი საგიტარო და ინსტრუმენტული ფესტივალის ლაურეატი. ჯერჯერობით მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად (მუსიკოსის აღიარებითაც ასეა) რჩება ათი წლის წინათ ჰოლივუდში გამართული გიტარისტების საერთაშორისო კონკურსი, სადაც "წლის საუკეთესო გიტარისტისთვის" (ფიუჟენის სტილში) განკუთვნილი ჯილდო ქართველ მუსიკოსს მისმა სათაყვანებელმა გიტარისტმა ალან ჰოდსვორთმა გადასცა. მას შემდეგ წლებიც გავიდა და თემურ ყვითელაშვილიც სულ უფრო მეტად ჩნდება საერთაშორისო მუსიკალურ სარბიელზე. იმედია, ეს გზა მას ახალ აღიარებამდე და შემოქმედებით წარმატებებამდე მიიყვანს.




## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლის "ახალი განზომილების" სტუმარი გიო ახვლედიანი ისაუბრებს ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებაზე.

**პარასკევს,** 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლით "ახალი განზომილება" შედგება ნოდარ ანდღულაძის წიგნის Homo Cantor-ს პრეზენტაცია.

***მისამართი: გამსახურდიას 31***

# ჩინური ახალი წლის შესახვედრად




ხვალ ღამით, პირველად საქართველოში, კლუბ "ნოა-ნოაში" ჩინურ ახალ წელს შეხვდებიან. ჩინური ახალი წელი 22 იანვარს საქართველოს დროით 01.10 საათზე დგება. ვინაიდან ღონისძიებაზე დასწრების სურვილი ბევრმა თბილისელმა გამოთქვა, საახალწლო პროგრამა ორი დღის განმავლობაში გაგრძელდება.

ღონისძიებისთვის "ნოა-ნოაში" მიწვეულია ჩრდილების თეატრის დასი. ჩინური დეკორაციების ფონზე წარმოდგენილი იქნება დრაკონის ცეკვა და სხვადასხვა რიტუალი. საახალწლო ღამეს კლუბი სტუმრებს ჩინური მენიუთი და სხვადასხვა ბალახებისაგან დამზადებული ჩაით გაუმასპინძლდება. ამას გარდა, მსურველებს საშუალება ექნებათ, ჩინური მაკიაჟიც გაიკეთონ.

მსგავსი ტიპის ღონისძიებებს "ნოა-ნოას" ხელმძღვანელობა უახლოეს მომავალშიც გეგმავს. კლუბში თებერვალში სამდღიანი "რიოს კარნავალი" და ვალენტინობისადმი მიძღვნილი "ლიბერ ტანგოს საღამო" გაიმართება.

**24 საათი**

# ექსტრემალური ფილმების ფესტივალი კინოს სახლში

28 იანვარს "კინოს სახლში" სამთო-სათავგადასავლო და ექსტრემალური სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი "ნიამორი" გაიხსნება. როგორც ფესტივალის ორგანიზატორმა გიორგი კალატოზიშვილმა განაცხადა, ღონისძიების მიზანი საქართველოში სამთო სპორტისა და ტურიზმის განვითარება, ასევე საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს მთიანი რეგიონებით დაინტერესებაა.

ფესტივალის ფარგლებში 1993-2003 წლებში გადაღებული 27 ფილმი იქნება წარმოდგენილი, მათ შორის სამი, ღონისძიების ორგანიზატორებს საპატრიარქომ მიაწოდა. გამარჯვებული ფილმები გამოვლინდება ხუთ ნომინაციაში: "მთა და ადამიანი", "იქსტრიმი", "მოგზაურობა", "მაშველები" და "სამთო ექსპედიცია". ჟიურის შემადგენლობაში არიან: ია თიკანაძე, გივი მელქაძე, დათო ტურაშვილი, ირაკლი ღლონტი და ირაკლი მეძმარიაშვილი. ორგანიზატორების თქმით, ფესტივალი ამიერიდან ყოველწლიურად მოეწყობა.

***ინტერ-პრესი***

# თბილისის სტუმრები

"აჭარა მიუზიკ ჰოლში" დაგეგმილი რუსი მომღერლის, ზემფირას კონცერტის ჩაშლამ, თბილისელებში გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორც გაირკვა, კონცერტი ერთი თვით გადაიდო. ასე რომ, პოპულარულ რუს მომღერალსა და მის ახლადშეკრებილ ჯგუფს ისევ უნდა ველოდოთ.

კონცერტი "აჭარა მიუზიკ ჰოლში" 14 თებერვალს გაიმართება. 28 თებერვალს კი ამავე კლუბში მეორედ გამოვა ცნობილი ლონდონელი დი-ჯეი და პროდიუსერი ფრეკ ნასტი, რომელმაც "აჭარა მიუზიკ ჰოლში" 8 ივლისს გამართული საღამოს შემდეგ, თბილისელებს განსაკუთრებით დაამახსოვრა თავი.

***24 საათი***

# ოსკარს უნდობლობას უცხადებენ

*ამერიკის კინოხელოვნების კინოაკადემიაში, რომლის პრეროგატივაცაა ყოველწლიურად სახელგანთქმულ "ოსკარების" გაცემა, ახალი სკანდალი ღვივდება. მაშინ, როდესაც მერიკა ხელჩართულ ბრძოლას უცხადებს აუდიო-ვიდეო პროდუქციის არალეგალურ მწარმოებლებს, ამერიკის კინოაკადემიის წევრებს ვიდეო-მეკობრეებთან ალიანსში ადანაშაულებენ.*



კადრი ფილმიდან "ქვიშისა და ყინულის სახლი".



ჯეკ ნიკოლსონი ფილმში Something's Gotta Give.

იმ ოთხი ფილმის ასლი, რომლებიც ცნობილმა კინოკომპანიებმა აკადემიის ჟიურის წევრებს გაუგზავნეს საჩვენებლად, ინტერნეტის ქსელში აღმოჩნდა. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ინტერნეტ-პორტალის მესვეურები საიტის სტუმრებს კომპანიების ახალი ნამუშევრების გაცნობას აბსოლუტურად თავისუფლად სთავაზობენ. მართალია, ეს ფილმები ამჟამად კინოთეატრებში გადის, მაგრამ კატეგორიულად აკრძალულია მათი ტირაჟირება ან ვიდეოგაქირავებაში გატანა.

ამ ფილმების ასლები DVD-დისკებზე, რომელთაც აკადემია ავრცელებს, მხოლოდ მათ უნდა ენახათ, ვინც "ოსკარების" მინიჭებას წყვეტს. რამდენიმე დღის წინათ ინტერნეტში აღმოჩნდა ფილმი Something's Gotta Give ჯეკ ნიკოლსონისა და დაიან კიტონის მონაწილეობით. ზუსტად მეორე დღეს ყველა მსურველს იგივე მისამართზე შეეძლო, თავისუფლად ენახა "უკანასკნელი სამურაი" (მთავარ როლში ტომ კრუზი). კინომწარმოებლებისთვის მეტად არასასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ორი დღის წინათ ერთ-ერთი ინტერნეტ-აუქციონის შეთავაზება – მომხმარებლებს თავისუფლად მიუწვდებოდათ ხელი ფილმების – "ქვიშისა და ყინულის სახლი" და ისტორიული დრამის "ცივი მთის" გადაქაჩვა.

ამჟამად კინოსტუდიების ხელმძღვანელები ცდილობენ, გაიგონ, რა გზით აღმოჩნდა მათი პროდუქცია ვიდეო-მეკობრეების ხელში. მათი აზრით, აკადემიის წევრებისა და მეკობრეების ალიანსის გარეშე, ეს შეუძლებელი იქნებოდა. გამოძიება კი არც ისე რთული იქნება. ამას ხელს შეუწყობს ერთი ნიუანსიც - ყოველ საჩვენებელ DVD-ს დართული ჰქონდა კოდირებული ინფორმაცია, რაც მიუთითებდა ადრესატს. ასე მაგალითად, ფილმი Something's Gotta Give სტუდია Sony Pictures-მა კინოაკადემიის წევრსა და მსახიობს კარმაინ კარიდის მიანდო. თავად კარიდი, რომელიც კარგა ხანს მონაწილეობდა სერიალში - "ნიუ იორკის პოლიცია", უარს ამბობს კომენტარზე და ვერანაირად ხსნის, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო მისთვის გაგზავნილი ფილმის ტირაჟირება. მსახიობმა რატომღაც უდანაშაულობის მტკიცება და ადვოკატის აყვანა გადაწყვიტა. ასევე, ცნობილი გახდა, მეორე ფილმის - House of Sand and Fog-ის მოგზაურობის მარშრუტიც: კინოსტუდია Dreamworks-მა ის, ასევე, კინოაკადემიის წევრი კომპანიის "კოჰერენტ კომიუნიკეიშენის" ხელმძღვანელს ვან კრუგლაკს გაუგზავნა (ამ ადამიანმა 1998 წელს თავად აიღო "ოსკარი" კინოტექნოლოგიების განვითარებისთვის). "ლოსანჯელეს ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში კრუგლაკი ამბობს, რომ არანაირი ინფორმაცია არ აქვს ახალაგორებულ სკანდალთან დაკავშირებით: "დარწმუნებული ვარ, კინოსტუდიაში ვინმემ თავისთვის გაიკეთა ფილმების ასლები მანამდე, ვიდრე ისინი აკადემიაში გამოიგზავნებოდა", - ამბობს იგი. რაც შეეხება ფილმს "უკანასკნელი სამურაი", კინოკომპანია Warner Bros-მა არ გაამხილა, თუ ვის გაუგზავნა მისი ასლი. კომპანია Miramax კი თავისით აწარმოებს ძიებას, თუ როგორ გაჩნდა ინტერნეტში "ცივი მთა".

აღსანიშნავია, რომ შარშან აკადემიამ მკაცრად გააფრთხილა წევრები, არავისთვის ეჩვენებინათ მათთვის საჩვენებლად განკუთვნილი ფილმები და დადგინდა, რომ, ამ წესის დარღვევის გამო, წევრი აკადემიიდან გაირიცხებოდა. ამჯერად კი, როგორც აკადემიის პრეზიდენტი ფრენკ პირსონი ამბობს, არავითარ გადაწყვეტილებას ნაუცბათევად არ მიიღებენ. იგი ამბობს: "ჩვენ მივცემთ საშუალებას ამ ადამიანებს, აგვიხსნან, მათთვის განკუთვნილი ფილმების ასლები როგორ აღმოჩნდა ინტერნეტში". აქვე აღსანიშნავია, რომ ამერიკის კინოაკადემიის წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგნი იყვნენ, გაგრძელებულიყო ფილმების ასლების ასეთი გზით გავრცელება. როგორც ჩანს, ისინი წინასწარ გრძნობდნენ მოსალოდნელ საფრთხეს, რაც უკანასკნელ წლებში აუდიო-ვიდეო მეკობრეობის სრულმა უკონტროლობამ გამოიწვია. რამდენად იმოქმედებს კინოაკადემიის გარშემო ატეხილი სკანდალი თავად ცერემონიალზე, ამას უახლოეს მომავალში გავიგებთ. შეგახსენებთ, "ოსკარების" ნომინანტების სია 27 იანვარს გამოცხადდება; თავად ცერემონიალი კი 29 თებერვალს გაიმართება.

# ახალი ამბები ბერლინიდან

"ოსკარი" ხვდება "ოქროს დათვს" – კინომოყვარულებს, რომლებიც ხშირ-ხშირად ამოწმებენ ბერლინის კინოფესტივალის ინტერნეტ-საიტს, ეს სათაური შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. ამ "დაშიფრულ" ახალ ამბავში ფესტივალის ორგანიზატორები გულისხმობენ იმას, რომ ჟიურის თავმჯდომარეა ფრენსის მაკდორმანდი "ოსკარის" მფლობელი ფილმისთვის "ფარგო". მეტიც, რადგანაც "ფარგო" არაჰოლივუდური ნაწარმოებია, მაკდორმანდი დამოუკიდებელი კინოს ერთ-ერთი მთავარი კერპიც გახლავთ. მაკდორმანდი უხელმძღვანელებს ჟიურის, რომლის წევრებს შორისაც გახლავთ ცნობილი ირანელი სახე სამირა მაკმალბაფი, იტალიელი მსახიობი ვალერია ბრუნი ტედეში, პროდიუსერი პიტერ რომელი და რეჟისორები: 1992 წელს "ოსკარით" დაჯილდოებული იტალიელი გაბრიელე სალვატორესი, ამერიკელი დენ ტალბოტი და ეთიოპიელი მაჯი-და აბდი.



ჟიურის თავმჯდომარე ფრენსის მაკდორმანდი.

54-ე ბერლინალე 5 თებერვალს დაიწყება და მას ენტონი მინგელას "ცივი მთა" (ნიკოლ კიდმანი და ჯუდ ლოუ) გახსნის, რომელიც უკვე რამდენიმე პრესტიჟულ ჯილდოზეა წარდგენილი და ამერიკული "ოსკარისა" და ბრიტანული "ბაფტას" ერთ-ერთი ფავორიტი ფილმიც გახლავთ.

რაც შეეხება ჯილდოებს, ტრადიციულად გაიცემა: "ოქროს დათვი" საუკეთესო ფილმისთვის, ჟიურის გრან-პრი, საუკეთესო რეჟისორის პრიზი, საუკეთესო ქალი და მამაკაცი მსახიობების პრიზები, ჯილდო საუკეთესო შემოქმედებითი წვლილისთვის და საუკეთესო კინომუსიკისთვის. ჟიური ასევე გამოავლენს საუკეთესო ევროპულ ფილმს და მას მარლენ დიტრიხის სახელობის პრიზით - "ლურჯი ანგელოზით" აჯილდოებს. და გაიცემა ფესტივალის დამფუძნებლის ალფრედ ბაუერის პრიზიც. ფესტივალი 15 თებერვლამდე გასტანს.

შარშან "ოქროს დათვის" მფლობელი ბრიტანელი რეჟისორის მაიკლ უინტერბოტომის "ამ სამყაროში" გახდა - ფილმი, რომელიც ორი, დასავლეთში უკეთესი ცხოვრების საძებნელად გაქცეული ავღანელის ცხოვრებას მოგვითხრობს.

# შიშველი ფაქტები ბუშის წინააღმდეგ

ცამეტმა ამერიკელმა გოგონამ გადაწყვიტა, რომ მომავალ არჩევნებში ჯორჯ ბუშს ხმა აღარავინ უნდა მისცეს. ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად მათ შესანიშნავი ვებ-გვერდი შექმნეს, რომელშიც ისინი გულწრფელად და დაუფარავად გამოთქვამენ საკუთარ აზრს ახლანდელი პრეზიდენტის შესახებ.

"ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მან ნოემბრიდან თავი დაგვანებოს," – ამ სიტყვების დასადასტურებლად გოგონებმა გაიხადეს კიდეც და ერთობ ორიგინალური კალენდარიც გააკეთეს: "რეჟიმის სეცვლის უკუთვლის კალენდარი" ყოველ დღეს ითვლის მანამ, სანამ ახლანდელი პრეზიდენტი გუდა-ნაბადს აიკრეფს და თეთრი სახლიდან გავა – ბუშის მოწინააღმდეგე გოგონებს ამის დიდი იმედი აქვთ. ყოველი თვის გვერდი გულღია და მკერდგაღეღილი ქალბატონითა და დამატებითი მოთხოვნებითაა დამშვენებული.

თუკი სურვილი და საშუალება გექნებათ, შეგიძლიათ, ამ გვერდს თავადაც გადახედოთ - www.babesagainstbush.com - და შეაფასოთ, როგორ აცილებენ მშვენიერი სქესის წარმომადგენლები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.




ქალები ბუშის წინააღმდეგ.

სვეტი

# პლეხანოვური ამბავი



ზაალ სამადაშვილი

კრეტო მაღალი ხმელი ბიჭი იყო, კოხტად აწყობილი. ტვინი ეკეტებოდა კარგად ჩაცმაზე. ხო მაგარი ზმანი ვარ, ანდა, ხო ვარ ნაღდი ამერიკელიო, აუცილებლად იკითხავდა, როცა რაიმე ახალს და ძალიან მოდურს მოირგებდა ტანზე. მოდური კი მაშინ, სამოცდაათიან წლებში იყო – ბატენის "საროჩკა", ოთარასთან, კროპოტკინის ქუჩაზე შეკერილი შლაქსები და ყველაფერი ტვიდის – კეპი, პალტო, პიჯაკი...

ერთი გოგო უყვარდა – ქერა, ჭორფლიანი, მწვანეთვალება. ჩვენ ის ლამაზი გვეჩვენებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო. ამას მერე მივხვდით, როცა თითქმის ყველა გოგომ დაიწყო სიგარეტის მოწევა, მოკლე კაბის ჩაცმა და კონიაკის სმა...

ქუჩის ბიჭი იყო კრეტო – ჯიბეში დანის ჩამდები, ტარიანის გამბოლებელი, ხელებით მოლაპარაკე. გიტარაზე უკრავდა და ოდნავ ხრინწიანი ხმით მღეროდა. ყველაზე ჯიგრიანად Белая береза გამისდიოდა. ჩვენი თაობის გოგოებს მოსწონდათ ქუჩის ბიჭები – საკოცნაოდ კინოშიც დაჰყვებოდნენ ღამის სეანსებზე და ჭიპხახუნასაც ეცეკვებოდნენ დაბადების დღეებზე, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, გულისსწორებად ვიღაც ქლიავებს ირჩევდნენ...

მწვანეთვალება გოგოც ასე მოიქცა. ჩვენზე უფროს, სელაპივით დონდლო ტიპთან დაიწყო სიარული. კრეტო თავიდან იხტიბარს არ იტეხდა, მაგრამ ზედიზედ რამდენჯერმე "სტრელკაზე" რომ უთხრეს უარი და სატელეფონო ხაზზეც არ გააგონეს ხმა, შეშფოთდა. როგორმე უნდა გადაყროდა, მაგრამ სად? იმ სელაპს ისეთ ადგილებში დაჰყავდა, სადაც ჩვენნაირ ბიჭებს ფეხი არ შეუცდებოდათ. რომ შეგვცდენოდა კიდეც, რა უნდა გვექნა კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში, ანდა სამხატვრო გამოფენაზე?!.

ბოგდანა, წიკო და მე ლენინგრადის ქუჩის კუთხეში, ფოტოატელიესთან ვიდექით კრეტო რომ მოვიდა და გვითხრა, დღეს საღამოს რესტორანში უნდა გავიჩითოთო. სელაპს "ივერიაში", მეთექვსმეტე სართულზე დაეპატიჟებინა გოგო. სასტუმრო "ივერია" ახალი აშენებული იყო და იქაურ რესტორნებში მხოლოდ ფულიანი ძიები დაიარებოდნენ. მაყუთიო? – იკითხა წიკომ. კრეტომ ჯიბიდან ხელი ამოიღო და არათითზე წამოცმული ბეჭედი გვაჩვენა, ოქროს წვრილი რგოლი. დეიდაჩემს გავუწიე, ლომბარდში ჩავაბაროთო...

მოიძრე, ვნახო რამსიმძიმეა, რამდენს მოგვცემენო, უთხრა ბოგდანამ. მოჰკიდა ცერა და საჩვენებელი თითი კრეტომ და გამოსწია. არ მოძვრა. გამოქაჩა, მიატრიალ-მოატრიალა, მაინც არ მოძვრა. ჩვენც დავეჯაჯგურეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. არ მოვეშვით. ეზოში შევედით, ონკანთან მოფუსფუსე ქალს საპონი გამოვართვით და წავუსვით. ძვრა ვერ ვუყავით. გაწითლდა და გაიბერა თითი...

ოქრომჭედელთან წავედით, მეიდანში. მაშინ მარტო მეიდანში ისხდნენ იუველირები. გავაჭრევინეთ ერთ-ერთ მათგანს, ჩია, ცუღლუტთვალებიან ბერიკაცს და მასვე მივყიდეთ. რაკი გაჭრილი იყო, ასოცის ნაცვლად ოთხმოცი მანეთი მოგვცა, ისიც ყვედრებით. არ გვინაღვლია, ოთხმოცი მანეთიც თავზე გადაგვივიდოდა ოთხ კაცს...

ჩამივიარეთ უბანი მე, წიკომ და ბოგდანამ, ვის მოხერის კაშნე გამოვართვით, ვის ირმებამოქარგული პულოვერი, ვის კიდევ ლითონის სამჯურიანი "სეიკო" და საღამოს კრეტოსთან ერთად რესტორანში გამოვცხადდით...

უნდა გენახათ, რა ბრიგადასთან ერთად იჯდა კრეტოს გოგო – სულ ჩაგალსტუკებულები, სულ სელაპები. რა თქმა უნდა, დაგვინახა, მაგრამ არ შეგვიმჩნია. შორიახლოს დავსხედით და ოფიციანტს დავუძახეთ. ოთხი ბოთლი ღვინო, ოთხი მწვადი და შემწვარი კარტოფილი მოვატანინეთ. დავიწყეთ სმა. კრეტო ხმამაღლა ამბობდა სადღეგრძელოს და ყოველი ჭიქის გამოცლის შემდეგ თვალს აპარებდა თავისი გოგოსკენ. დავლიეთ ძმობის, ჩვენ-ჩვენი ნეტას ასრულების, ოთხ კედელში გამომწყვდეული ბიჭების, უდროოდ წასულების... ისევ მოვიხმეთ ოფიციანტი და სამი ბოთლი შამპანური გავუგზავნეთ სელაპების სუფრას. წამოდგა იმათი თამადა და გადაგვიპატიჟა. წამოვდექით ჩვენც და მივედით. თავის გამოჩენა და საკუთარი უპირატესობის დამტკიცება თუ უნდოდა, ეხლა უნდა ევარგა კრეტოს... მანაც არ დააყოვნა...

ყველაფერს ვიფიქრებდით... რომ გიტარას მოითხოვდა და Белая береза-ს დაამღერებდა, რომ ბროლის ლარნაკიდან ხილს ამოყრიდა, ღვინით გაავსებდა და სულმოუთქმელად გამოცლიდა... თურმე სადა ხარ... წამოავლო ხელი შამპანურის ბოთლს, გააღო შემინული კარი, გავიდა აივანზე, მოაჯირზე შედგა და ამ სასმისით სიყვარულს გაუმარჯოსო დაიძახა...

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა...

კივილი მერე ატყდა, კრეტო მოაჯირიდან რომ ჩამოხტა...

გოგომ მომუშტული ხელები დაუშინა მკერდზე და თვალით არ დამენახო, შე საზიზღაროო, უკივლა და უკივლა ატირებულმა...

ჩვენ მაგიდასთან აღარ მივბრუნებულვართ, გადავიხადეთ დანახარჯი და წამოვედით ყურებჩამოყრილები...

წელიწადის თუ წელიწადნახევრის შემდეგ მწვანეთვალება გოგო გათხოვდა, ოღონდ იმ სელაპს არა, სხვა სელაპს გაჰყვა...

კრეტომ კი თავისი ფათერაკიანი, თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება დიდი ხნის მერე, ოთხმოცდათხუთმეტში დაასრულა. ჩემი ფედკა დოლოხოვივით ძმაკაცი ავარიაში დაიღუპა, საქართველოს სამხედრო გზის მლეთის მონაკვეთზე...

მოკლედ

## განახლებული ალტერნატივა

1999 წლის ზაფხულში დაარსებული "კავკასიური სახლის" ლიტერატურული გაზეთი "ალტერნატივა" ამ არასრული ხუთი წლის განმავლობაში უსახსრობის გამო უკვე ორჯერ გაჩერდა, თუმც მიუხედავად ამისა, 67-ჯერ გამოსვლა, თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში არაერთი ახალი სახელის შემოყვანა და თავისი სიტყვის თქმა მაინც მოასწრო. 2002 წლის ივლისში გაზეთი თავის მკითხველს სევდიანად, თუმც იმედიანად დაემშვიდობა და მოთმინებით დაუწყო ლოდინი უკეთეს დროებას. უკეთესი დროება, როგორც ჩანს, უკვე დადგა. ამიერიად კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, მათ ვისაც ლიტერატურა უყვართ, კვლავ შეეძლებათ "ალტერნატივას" შეძენა. წელს პირველი, ისე კი 67-ე ნომერი დღეიდან უკვე იყიდება. ***24 საათი***

## ხსოვნის საღამო

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში 23 იანვარს ტრიო "თბილისის" ერთ-ერთი წევრის - ნუგზარ აფხაიძის ხსოვნის საღამო გაიმართება.

ხელოვანის ხსოვნის უკვდავსაყოფად ამ დღეს მისი მემორიალური დაფის გახნა, სოლო-სიმღერების კომპაქტ-დისკისა და ალბომის პრეზენტაციაც იგეგმება. კომპოზიტორმა ნანა კალანდაძემ კი საგანგებოდ 23 იანვრისთვის შექმნა ჰიმნი, რომელიც ქართული ესტრადის ცნობილი მომღერლების მიერ შესრულდება. ახალი სიმღერა ამჟამად "სანოს" სტუდიაში იწერება. ***ინტერ-პრესი***

ჩოგბურთი

# "ჩოგბურთზე ფიქრიც კი აღარ მინდა"

### პირველი სენსაცია მელბურნში



*შუტლერი ჩოგბურთის მიტოვებაზეც კი ფიქრობს.*

ნინო პირველი

წლევანდელი ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, მართლაც, სენსაციური აღმოჩნდა. სკანდალი ჯერ კიდევ ტურნირის დაწყებამდე აგორდა, როცა ინგლისელი გრეგ რუზედსკი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა. ახლა კი ჩემპიონატის ორმა ფავორიტმა პირველსავე წრეში წაიტეხა კისერი. ავსტრალიელ გულშემატკივრებს უკვე დაემშვიდობნენ გერმანელი რაინერ შუტლერი, ესპანელი კარლოს მოია და მაროკოელი იოუნეს ელ აინაუი. სამივე მათგანმა შარშან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა მწვანე კონტინენტზე. მაროკოელი მეოთხედფინალში გავიდა და იქ სასტიკ, დაუნდობელ ბრძოლაში დამარცხდა ამერიკელ ენდი როდიკთან. რაინერ შუტლერმა კი გასულ წელს სულაც ფინალში ითამაშა და ვეტერან ანდრე აგასისთან წააგო.

მოიას და ელ აინაუის მარცხი ტრავმებით იყო გამოწვეული და კიდევ როგორღაც შეიძლება მათი გამართლება. ესპანელს კოჭი ჰქონდა დაშავებული, მაროკოელს კი ქუსლის ტრავმა აწუხებდა. რაინერ შუტლერის მოულოდნელ მარცხს 19 წლის შვედ რობინ ზიოდერლინგთან კი, მართლაც, ვერანაირ ახსნას ვერ მოუძებნის კაცი. თავის გასამართლებლად არც ის კმარა, რომ იმ დღეს მელბურნში 35 გრადუსი იყო სიცხე და კორტზე სირბილი ძალიან ჭირდა, არც ის, რომ შუტლერი გადაღლილი და დეგრადირებული იყო ახალ სეზონში განცდილი ორი მარცხის გამო. შარშანდელი ფინალისტის წარმოუდგენელმა ფიასკომ გერმანიაში ყველა სახტად დატოვა. ჩოგბურთის მოყვარულები ხომ წლეულსაც ბევრს ელოდნენ შუტლერისგან. თავად სპორტსმენი ისე გატეხა ამ მარცხმა, რომ თანამემამულე ჟურნალისტებთან ჩოგბურთიდან წასვლაზეც კი დაიწყო ლაპარაკი:

**- გასულ წელს ავსტრალიის ჩემპიონატზე ფინალში გახვედით, ახლა კი პირველ წრეშივე დამარცხდით. მაინც რამ გამოიწვია ეს წარუმატებლობა?**

- ეს საშინელებაა. იანვარი ჩემთვის კოშმარების თვედ იქცა. ჯერ დოჰაში წავაგე, მერე - სიდნეიში, ახლა კი ავსტრალიის ჩემპიონატსაც გამოვეთიშე. ამაზე უარესი, ალბათ, აღარაფერი მოხდება. ახლა ისეთ გუნებაზე ვარ, რომ ჩოგბურთზე ფიქრიც კი არ მინდა. ვერც იმას გეტყვით, როდის მომინდება კორტზე გასვლა.

**- პირველ სეტში თქვენ 2:0 უგებდით ზიოდერლინგს და სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, სეტი მოგეგოთ. რატომ დათმეთ უპირატესობა?**

- ამ სეზონში ყოველთვის ასე ხდებოდა, სეტის მოგების დიდი შანსი მქონდა, მაგრამ მაინც ყველაფერი ცუდად მთავრდებოდა. ზიოდერლინგს დასაკარგი ნამდვილად არაფერი ჰქონდა და რისკზე წავიდა, რამაც გაამართლა კიდეც. მე ძალღონე არ დავიშურე, რომ როგორმე მდგომარეობა გამომესწორებინა, მაგრამ მატჩის გადარჩენა, უბრალოდ, შეუძლებელი აღმოჩნდა. ხშირად ხდება ხოლმე, როცა თამაშის ბედს ორი ბურთი წყვეტს.

**- თქვენ საჩოგბურთო წრეებში ცნობილი ხართ, როგორც სტარტის წარმატებით ამღები მოთამაშე. წლეულს კი ყველაფერი პირიქით მოხდა, ყველგან პირველივე წრეში დამარცხდით. მაინც რა არის ამის მიზეზი?**

- გასულ წელს მასტერსის ტურნირზე ვითამაშე და ძალიან გადავიღალე. ამიტომ ახალი სეზონისთვის მზადება ორი კვირით გვიან დავიწყე და უფრო მეტი ყურადღება დავუთმე ფიზიკურ ვარჯიშს, ვიდრე თავად ჩოგბურთის თამაშს. არ ვიცი, შესაძლოა, ეს წარუმატებლობა ამის ბრალიც იყო. ფსიქოლოგიური ზეწოლა ნამდვილად არაფერ შუაშია. გასული წლის ფინალისტისგან რომ ყველა ბევრს ელოდა, შესანიშნავად ვიცოდი, მაგრამ ეს არ მაშინებდა. პირიქით: ძალიან მიხაროდა მელბურნში ჩასვლა.

**- რაკი ასე იყო, მარცხს, ალბათ, ორმაგად მძიმედ განიცდით.**

- გასახდელში ჩემი მწვრთნელი და რამდენიმე ჩოგბურთელი შემოვიდა, უნდოდათ, ვენუგეშებინე, მაგრამ ასეთ სიტუაციაში არაფერი გშველის. შეიძლება, ათასი კაცი მოვიდეს, მაგრამ ვერავინ დაგაწყნაროს.

**- ახლა რას გააკეთებთ?**

- ცოტა ხანს, ალბათ, არაფერს. ახლა ნამდვილად არ ვარ ჩოგბურთის თამაშის გუნებაზე. ჩოგანს მხოლოდ მაშინ ავიღებ, როცა ძალიან მომინდება.

**- შარშან ტურნირებს შორის პაუზა ძალიან მცირე ხომ არ იყო?**

- შეიძლება. ალბათ, ცოტა მეტი უნდა დამესვენა. ავსტრალიის ღია ჩემპიონატის შემდეგ როტერდამში ან დუბაიში ვაპირებდი თამაშს, მაგრამ ახლა კარგად დავფიქრდები, წავიდე თუ არა ამ ტურნირებზე. როცა იქნება, ეს სტრესი გაივლის და ისევ დავიწყებ ვარჯიშს, რათა სეზონის სხვა დიდი ტურნირებისთვის მოვემზადო...

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 21 იანვარი

**НТВ+ ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 "პოსტსკრიპტუმი"
13:55 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:55 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (16:45) – თავისუფალი დარტყმა
17:55 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:55 თანამეგობრობის ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (20:45) – თავისუფალი დარტყმა
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "დარტყმა გოლისთვის"
22:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალიადოლიდი" – "ვალენსია". შესვენებისას (23:00) - თავისუფალი დარტყმა
00:10 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2003-2004. "ლოკომოტივი" (რუსეთი) – "არსენალი" (ინგლისი)
02:10 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:05 03:05-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
04:30 NBA TV - NBA შიგნიდან
05:00 NBA TV. დღიური
05:30 "SAN ANTONIO SPURS" - "NEW JERSEY NETS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00 პრესცენტრი
11:15, 23:00 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჭადრაკი. სუპერ-ტურნირი ვეიკან-ზეეში
12:15 "მუზარადის გარეშე"
13:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
14:40 კეგლის დროა
15:10 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship"
16:20 "NHL – პლუს"
16:35 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი კანადაში
17:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. შესვენებისას (20:00) პრესცენტრი
22:00 ათენის გზაზე
23:05 სახვალიო ტელეპროგრამა
23:15 "NHL – პლუს"
23:30 ჭადრაკი. სუპერ-ტურნირი ვეიკან-ზეეში
00:00 "Power week – NHL-ის კვირა"
00:30 ფრენბურთი. EKB თასი. ფინალი. "დინამო" (რუსეთი) – "პიაჩენცა" (იტალია). პირველი მატჩი
02:15 02:15-დან 02:55-მდე შესვენება
02:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
16:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი
18:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
21:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
22:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი
23:15 სნუკერი. უელსის ღია ჩემპიონატი
02:30 ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიადის კულტურული პროგრამა
02:45 ახალი ამბები
03:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი

ფეხბურთი

# თანამეგობრობის თასი: "დინამო" მეოთხედფინალშია

მიხეილ აბაიშვილი

მოსკოვში მიმდინარე თანამეგობრობის თასის ტურნირზე გუშინ ქვეჯგუფებში დასკვნითი, მე-3 ტურის მატჩები გაიმართა. "დინამოს" შემდეგ ეტაპზე გასასვლელად პავლოდარის "ირტიშთან" შეხვედრაში ფრეც აძლევდა ხელს. თუმცა, ამ შედეგის მიღწევა, ერთი შეხედვით მაინც, არც ისე იოლი ჩანდა. ყაზახეთის ჩემპიონმა ჯგუფური ტურნირის პირველი ორი მატჩი არცთუ ურიგოდ ჩაატარა: რიგის "სკონტოსთან" მინიმალური ანგარიშით (1:2) დამარცხდა, ხოლო ყირგიზეთის "ჟაშტიკთან" მატჩში დიდი ანგარიშით (4:1) გაიმარჯვა და "დინამოსთან" წარმატების შემთხვევაში შემდეგი ეტაპის საგზურსაც ინაღდებდა.

თუმცა, შეხვედრის პირველივე წუთებმა ცხადყო, რომ "დინამო" "ირტიშისთვის" დაუძლეველი ბარიერი იქნებოდა. ყაზახეთის ჩემპიონის დაშამათება უკვე მე-15 წუთზე დაიწყო ვიტალი დარასელიამ, რომელმაც რატი ალექსიძის კარგი პასის შემდეგ ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. სამიოდე წუთში ანჩაბაძემ საფირმო დრიბლინგი განახორციელა, რამდენიმე პავლოდარელ ფეხბურთელს გასცდა და უძლიერესი დარტყმით მეტოქის კარის "ცხრიანში" გაახვია ბურთი. არ გასულა 10 წუთი და რატი ალექსიძემ მეტოქეს კიდევ ერთხელ განაახლებინა თამაში მოედნის ცენტრიდან. ასეთი სოლიდური უპირატესობის მოპოვების შემდეგ "დინამომ" ერთგვარი "ტაიმ-აუტი" აიღო და დაისაჯა კიდეც: უსმანოვმა ისარგებლა გვარამაძის საჯარიმოში შექმნილი არეულობით და ერთი გოლი გაქვითა. თუმცა, შეხვედრის პირველ ნახევარში ბოლო სიტყვა მაინც ქართველებს დარჩათ: ტექნიკურად ურთულესი პასის წყალობით, რომელსაც რუსული სპორტული ტელეარხის, "нтв футбол"-ის კომენტატორმა "რივალდოს სტილი" უწოდა, ანჩაბაძემ ბურდული "ირტიშის" მეკარესთან ეულად დატოვა და 3-გოლიანი სტატუს-კვოც აღდგა.

შეხვედრის მეორე ნახევარის დასაწყისშივე გვარამაძემ გამოიჩინა თავი: "დინამოს" მეკარემ წინდაუხედავად გაისეირნა თავისი კარის საჯარიმოს გარეთ და უსმანოვს კიდევ ერთხელ მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თუმცა, 61-ე წუთზე "დინამოს" კაპიტანმა, გიორგი შაშიაშვილმა, პრაქტიკულად, თეთრი დროშები გამოაფენინა ყაზახ ფეხბურთელებს: მისმა გოლმა ამ მატჩში მესამედ დააწინაურა საქართველოს ჩემპიონი 3-გოლიანი უპირატესობით და ნათელი გახადა, რომ "ირტიში" თამაშის შემოტრიალებას ვეღარ შეძლებდა. ეს ივო შუშაკმაც იგრძნო და წინდახედულად მოიქცა: გადამწყვეტი ეტაპის წინ გუნდის ძირითად შემადგენლობას დასვენების საშუალება მისცა – ერთბაშად 7 ფეხბურთელი გამოცვალა, რის საშუალებასაც ამ ტურნირის რეგლამენტი იძლევა, ამ გარემოებამ "ირტიშს" ცოტათი საქმე გაუიოლა, თუმცა, ეს მხოლოდ ერთ გატანილ გოლში გამოიხატა. "დინამომ" კი ამ შეხვედრაში ანგარიშით 5:3 გაიმარჯვა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. პარალელურ მატჩში კონკურენტმა რიგის "სკონტომ" "ჟაშტიკი" კი დაამარცხა ანგარიშით 7:0 და გატანილ-გაშვებული ბურთების სხვაობა, "დინამოს" მსგავსად, +8 დაუგროვდა, მაგრამ ქართულმა კლუბმა ლატვიურს უფრო მეტი გატანილი გოლის წყალობით გაუსწრო და ცხრილის პირველ საფეხურზე დაასრულა ჯგუფური ტურნირი.

**ივო შუშაკი:** "რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ. ჩემი გუნდის უპირატესობა განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ძირითადი შემადგენლობის გამოცვლამდე. ხვალ გაცილებით რთული მატჩი მოგველის. მართალია, ჯერ ცნობილი არ არის, თუ ვინ იქნება ჩვენი მეტოქე, მაგრამ მეოთხედფინალში სუსტი გუნდი ვერ გავა. ჩვენთვის დიდი დანაკლისი იქნება გოგობერიშვილის არყოფნა, რომელმაც დღეს მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მეოთხედფინალს გამოტოვებს. თუმცა, გვყავს რეზერვი და, ვფიქრობ, მის შემცვლელს გამოვნახავთ. ტურნირი ძალზე შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს და ხვალინდელი მატჩი "დინამოსთვის" ბოლო ხუთი დღის განმავლობაში ჩატარებული მეოთხე შეხვედრა იქნება. შესაბამისად, დაღლილობა აუცილებლად იჩენს თავს. თუმცა, ამ მხრივ ჩვენი მეტოქეც იგივე სიტუაციაშია."

"დინამომ" "ირტიშთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გვარამაძე (მამალაძე 71`), ახალაია (ხმალაძე 68`), კანდელაკი (წერეთელი 55`), შაშიაშვილი, კვირკველია (ჩიტაია, 71`), ანჩაბაძე (კარლოსი, 71`), დარასელია (სახვაძე, 75`), ბურდული, გოგობერიშვილი, ალექსიძე, მელქაძე (ბობოხიძე, 55`).

თანამეგობრობის თასის ტურნირს გამოემშვიდობა "დინამოს" ახალგაზრდა თავდამსხმელი, სანდრო იაშვილი, რომელმაც გუშინწინ რეჟიმი დაარღვია: იგი სადილზე 10 წუთის დაგვიანებით გამოცხადდა. ასეთ რამეს კი შუშაკი არავის პატიობს – იაშვილი თბილისში გამოისტუმრეს.

დღეს მეოთხედფინალურ მატჩში "დინამო" ბელორუსის "გომელს" დაუპირისპირდება.

# მასიმო მორატის ცხრაწლიანი მმართველობის მოულოდნელი დასასრული

### სრული ქაოსი და დაბნეულობა "ინტერში"

ნინო პირველი

მაინც რა შეიძლება ეწოდოს "ინტერის" პრეზიდენტის ამ მოულოდნელ გადაწყვეტილებას? მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა თუ კლუბში შექმნილი კრიზისის ლოგიკური დასასრული? ორშაბათ საღამოს მილანის "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. მორატისთან ერთად კლუბიდან წავიდა მრჩეველთა საბჭოს ოთხი წევრიც - მარკო ტრონკეტი პროვერა, პაოლო ჯულინი, ანჯელო მარიო მორატი და ანჯელო მორატი. ამ ოთხიდან ორი მორატის უახლოესი ნათესავია - ანჯელო მარიო ექს-პრეზიდენტის შვილი გახლავთ, ანჯელო მორატი კი -შვილიშვილი. მარკო ტრონკეტი პროვერა და პაოლო ჯულინი მორატების ოჯახის საუკეთესო მეგობრები არიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მორატის ოჯახი საერთოდ უარს ამბობს "ინტერთან" თანამშრომლობაზე. თავის მემკვიდრედ მასიმო მორატიმ "ინტერის" ვიცე-პრეზიდენტი ჯაჩინტო ფაკეტი დაასახელა.

ორშაბათ საღამოდან მოყოლებული, როცა მორატის გადაწყვეტილება ცნობილი გახდა, იტალიაში თავს იმტვრევენ და ვერ გაუგიათ, თუ რამ უბიძგა პრეზიდენტს ამ ნაბიჯისკენ. "ინტერის" ცუდმა თამაშმა? ტიფოზების საპროტესტო გამოსვლამ? ვიერისთან შექმნილმა კონფლიქტმა თუ ყველაფერმა ერთად? ამ ბოლო დროს "ინტერი", რბილად რომ ვთქვათ, კრიტიკულ მდგომარეობაში იყო. ჩემპიონთა ლიგის პირველი წრიდან გამოვარდნაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მილანელები არც სერია ა-ში ბრწყინავდნენ. კვირა საღამოს საკუთარ "სან-სიროზე" აუტსაიდერ "ემპოლისთან" წაგება კი ის ბოლო წვეთი გამოდგა, რომელსაც ისედაც გაბრაზებულ მილანელ ტიფოზებს მოთმინების ფიალა აუვსო - ისინი მორატის სახლისკენ გაემართნენ პროტესტის გამოსახატავად. მარცხით გამწარებული ტიფოზები იმდენად ორგანიზებულნი აღმოჩნდნენ, რომ საიდანღაც ტრანსპარანტებიც კი მოიტანეს, რომლებზეც დიდი ასოებით ეწერა: "მორატი, ბოლოს და ბოლოს, დაიკარგე აქედან!"

და მორატიც "დაიკარგა"... ერთი შეხედვით, მან ფანების მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ მორატის ამის აღიარება არ უნდა. საერთოდ არანაირ კომენტარს არ აკეთებს, არ ასახელებს გადადგომის მიზეზებს: "ტიფოზები? გუშინ რამდენიმე მათგანს მოვკარი თვალი. სულაც არ იყვნენ საშინელები. არც "ემპოლისთან" წაგების გამო მივიღე ასეთი გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, ეს არ იყო "ინტერის" საუკეთესო მატჩი, მაგრამ ერთი წაგება ტრაგედია მაინც არ არის. მიმაჩნია, რომ ფაკეტი საუკეთესო კანდიდატურაა "ინტერისთვის". მე კი ცოტა უფრო წყნარ ცხოვრებას დავიწყებ", - ასეთი ძუნწი კომენტარი გააკეთა მორატიმ "ინეტრის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კვირას ტიფოზებმა ბევრი კი



*მორატი "ინტერს" დაემშვიდობა.*

იხმაურეს მორატის სახლის წინ, მაგრამ მათ უმრავლესობას მაინც ვერ წარმოუდგენია "ინტერი" მორატის თავაზიანი ღიმილისა და უკეთესი მომავლის მუდმივი დაპირებების გარეშე. არც არის გასაკვირი. მორატი ცხრა წლის განმავლობაში იყო "ინტერის" ბოსი და მისი სახელი ავტომატურად ასოცირდებოდა მილანურ კლუბთან. ამ ცხრა წლის მანძილზე მორატიმ ერთხელ უკვე გამოხატა გადადგომის სურვილი: 1999 წლის მაისში პრეზიდენტმა წასვლა დააპირა, მაგრამ თავის აქციებზე უარი არ უთქვამს და კლუბი ფინანსურად კვლავაც მასზე იყო დამოკიდებული. ივლისში მორატიმ აზრი შეიცვალა და ისევ "ინტერის" შეფად დარჩა. რას მიაღწია "ინტერმა" მორატის მმართველობის პერიოდში? ბევრს არაფერს. მილანელებმა ერთხელ მოიგეს უეფას თასი და ერთხელაც ხელიდან გაუშვეს "სკუდეტოს" აღების შანსი. ორჯერ დიდი ანგარიშით წააგეს დერბი "მილანთან", თითქმის ცხრა მწვრთნელი გამოიცვალეს და არაერთი ვარსკვლავი იყიდეს, მაგრამ ვერავინ შეინარჩუნეს: რობერტო კარლოსი, რონალდო, ერნან კრესპო, ადრიან მუტუ... მათ, ყველას, "ინტერის" შავ-ცისფერი მაისურა ეცვა, მაგრამ არა დიდი ხნით. ვარსკვლავებს რატომღაც უჭირთ "ინტერში" გაძლება. რონალდოს და კრესპოს რომ თავი დავანებოთ, კრისტიან ვიერის მაგალითიც იკმარებს. იტალიელი ფორვარდი "ინტერში" ვეღარ ძლებს. გამუდმებით კონფლიქტი აქვს ალბერტო ძაკერონისთან და აღარც კი მალავს, რომ დიდი სიამოვნებით წავიდოდა ლონდონის "ჩელსიში". ვიერისთან უთანხმოებამ ისეთ პიკს მიაღწია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, "ბობო" ჭკუაზე მოიყვანოს და ორკვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. "ემპოლისთან" სამარცხვინოდ წაგებულ მატჩში "ინტერის" გოლეადორი ტრიბუნაზეც კი არ მჯდარა. არადა, ის რომ მოედანზე ყოფილიყო, იქნებ მილანელებს არც წაეგოთ. ასე ფიქრობს ფანების უმეტესობა.

პრეზიდენტის გადადგომა "ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ თეატრში გაიგო და დიდად გაოცებული დარჩა. "ამ ამბავმა გამაოგნა. მე არაფერი ვიცოდი მორატის გადაწყვეტილების შესახებ. დღეს დავურეკავ მასაც და ფაკეტისაც." ასეთი პასუხი გასცა ძაკერონიმ ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს. სპექტაკლზე მორატის და ბედიც იმყოფებოდა, მაგრამ მან პრესისთვის კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა.

გადადგომის მიუხედავად, მორატი, ალბათ, მაინც "ინტერის" დიდ გულშემატკივრად დარჩება, რადგან აწ უკვე ექს-პრეზიდენტს ძალიან უყვარს თავისი გუნდი, მისი შავ-ცისფერი მაისურა, მისი საფირმო სათამაშო სტილი. მორატი უფრო მეტადაა "ინტერზე" შეყვარებული, ვიდრე მისი გუნდის ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელთა უმრავლესობისთვისაც საკუთარი ფინანსური ინტერესები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად კლუბი. "ჩვენ ძლიერები ვართ, გავუძლებთ ამ კრიზისს. არც კი ვიცი, რა სჭირს "ინტერს", რატომ ვერ ვიგებთ. მე ოპტიმისტი ვარ და სიძნელეების დროსაც დადებით მხარეებს ვეძებ. ჩვენ ყველაფერს გადავიტანთ!" - ამას "ინტერის" კაპიტანი ხავიერ ძანეტი აცხადებს. ვნახოთ, თუ გაუძლებენ...

## ორი სიტყვით

**ფეხბურთი.** შოტლანდიური "სელტიკისა" და შვედეთის ნაკრების ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა განაცხადა, რომ წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ, შესაძლოა, საფეხბურთო კარიერა დაამთავროს. ფეხბურთელმა, რომლის პერსონით "ნიუკასლი" და "ბარსელონაა" დაინტერესებული, ისიც თქვა, რომ საშინლად აღიზიანებს ჭორები, თუ რომელ გუნდში გააგრძელებს თავის შემდგომ კარიერას. "იმის ალბათობა, რომ საფეხბურთო კარიერას დავემშვიდობები ან გავაგრძელებ, ამჟამად თანაბარია", - თქვა ჰენრიკ ლარსონმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** სახელოვანი იტალიელი მსაჯი პიერლუიჯი კოლინა მომავალი წლიდან პენსიაზე გასვლას აპირებს. თვითონ მსაჯი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგია, მაგრამ ამას იტალიის კანონმდებლობა ავალდებულებს. 2005 წლის ივნისში კოლინას 45 წელი შეუსრულდება. "ფეხბურთში არსებობს შესანიშნავი მაგალითები, როცა ასაკოვანი ფეხბურთელები წარმატებით იცავდნენ ამა თუ იმ გუნდის ღირსებას - დინო ძოფი, რობერტო ბაჯო. თუმცა, მე კანონს დავემორჩილები და წავალ".

■ ■ ■

**ფეხბურთი.** უელსელი სპეციალისტი ჯონ ტოშაკი ესპანეთის ჩემპიონატს "მურსიას" მწვრთნელის რანგში დაუბრუნდა. გუშინ ის ჟურნალისტებს ოფიციალურად წარუდგინეს. "მურსიას" უკვე 14 თამაშია არ მოუგია და გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა. გუნდის წინა მწვრთნელმა ხოაკინ პეირომ ორშაბათს დატოვა თანამდებობა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა რონალდომ მადრიდის "რეალის" პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს აცნობა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ლონდონის "ჩელსიში" გადადის. ბრაზილიური გაზეთი "გლობო" იუწყება, რომ რონალდოს ხელფასის ორჯერ გაზრდას დაპირდნენ. ამასთან, ვრცელდება ცნობები, რომ რონალდო ბოლო დროს მადრიდში შექმნილი პირობებით კმაყოფილი არ არის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "სარაგოსამ" მთავარი მწვრთნელი შეიცვალა. ახლა გუნდი სატურნირო ცხრილში გასავარდნ ზონაშია. "დეპორტივოსგან" - 1:4 დამარცხების შემდეგ კი თანამდებობიდან პაკო ფლორესი გაათავისუფლეს. ვარაუდობენ, რომ მას "ბარსელონას" ყოფილი მწვრთნელი ვიქტორ მუნიოსი შეცვლის. მუნიოსი საქმეს უახლოეს მომავალში შეუდგება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "ჩელსიმ" კონტრაქტი გააფორმა ჩეხეთის ნაკრების მეკარე პეტერ ჩეხთან, რომელიც ამჟამად საფრანგეთის "რენში" თამაშობს. ჩეხი აბრამოვიჩის გუნდში 2004 წლის 1 ივლისს ჩაირიცხება. ეს გადაწყვეტილება დაკავშირებულია "რენთან", რომელსაც ამ დროისთვის მეკარის შემცვლელი არ ჰყავს. "ჩელსი" ფრანგების პრობლემას გაგებით მოეკიდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი ორ კვირას გამოტოვებს. მან სევილიის "ბეტისთან" მატჩში, რომელიც ფრედ - 1:1 დამთავრდა, ტრავმა მიიღო. ზიდანს კუნთი გაუწყდა. ტრავმა არც ისე სერიოზულია, მაგრამ თამაში არ შეიძლება. ექიმების ვარაუდით, მკურნალობის შემდეგ ფეხბურთელი ჩვეული სიძლიერით ათამაშდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გაუთავებელი ჭორების მიუხედავად, რომ კრისტიან ვიერი კლუბს იცვლის, ფეხბურთელი "ინტერში" რჩება. ფორვარდის ახლო მეგობარმა ერნესტო ბრონცეტიმ განაცხადა, რომ კრისტიანს "ინტერის" დატოვება არ სურს. არც კლუბია მისი დატოვების წინააღმდეგი. პირიქით, უკვე დიდი ხანია, რაც კლუბი კრისტიან ვიერის შენარჩუნებას ცდილობს.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** როჟე ფედერერმა გშტაადში შარშან მოგებული ტურნირის ორგანიზატორებისგან უჩვეულო საჩუქარი მიიღო. ჩოგბურთელს აჩუქეს ძროხა, რომელსაც ჯულიეტა ჰქვია. გუშინ ავსტრალიელი ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ როგორ ეპყრობა ჩოგბურთელი შინაურ ცხოველს. ფედერერმა უპასუხა, რომ ყველაფერი რიგზეა. "ბოლოს და ბოლოს, ის ცოცხალია და ჯანზეა, რაც, მართლაც, კარგია" - განაცხადა როჟე ფედერერმა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით საბერძნეთის მეორე ქალაქი სალონიკი ათენის ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებს. სალონიკში სპორტის ზოგიერთ სახეობაში წინასწარი შეჯიბრებები გაიმართება. ამასთან დაკავშირებით ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე იგეგმება საავტომობილო გზების დაყოფა იმისთვის, რომ ოფიციალურ პირთა მანქანების გადაადგილებას ხელი არ შეეშალოს. შეიცვლება აგრეთვე საქალაქო მაღაზიების მუშაობის განრიგიც. ბერძნები აპირებენ, გააუქმონ შუადღის შესვენება და 12-საათიანი სამუშაო დღე დაამკვიდრონ.

რაგბი

# ეროვნული ჩემპიონატი შავ წერტილად დარჩა

### კლოდ სორელი საქართველოში რაგბის განვითარების პერსპექტივას ვერ ხედავდა

A1 გვერდიდან

- საქართველოში ჩამოსულს არაფერიც არ დამხვდა. არავითარი პროექტი, როგორ უნდა განვითრებულიყო რაგბი, არ არსებობდა. ჩემპიონატის დონე დაბალი იყო, შესაბამისად, მოთამაშეებისაც. ასეთ დროს, როცა არანაირი სტრუქტურა არ არსებობს, ყოველთვის ძნელია რაიმე საქმის დაწყება. უპირველესი მიზანი, რომელიც ჩვენ დავისახეთ, ნაკრების რომელიმე დიდ საერთაშორისო ტურნირზე გასვლა გახლდათ. ასეთი ტურნირი მსოფლიო თასი იყო. ორი მიმართულებით უნდა გვემუშავა, ანუ შედეგი ორ სახეობაში, შვიდკაცა და თხუთმეტკაცა რაგბიში უნდა მიგვეღწია.

საამისოდ საჭირო იყო მოთამაშეთა დონის ამაღლება. მათ საამისო პოტენციალი ჰქონდათ. პირველ შედეგს შვიდკაცაზე მივაღწიეთ - გუნდმა მსოფლიო თასზე ითამაშა და მეათე ადგილი დაიკავა. შესაძლებელი იყო, უკეთესი ადგილიც მოგვეპოვებინა, მაგალითად, მერვე, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ მოვახერხეთ.

2001 წელს მოვიგეთ ევროპის ერთა თასი. ამ წარმატებამ საქართველო მსოფლიოს გააცნო. ეს ჩვენი რეკლამა იყო. ყველაფრის დაგვირგვინება კი წლეულს მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე თამაში გამოდგა.

სამწუხაროდ, ასეთი შედეგების მიუხედავად, ქვეყნის მთავრობას გულთან ახლოს არ მიუტანია ჩვენი პრობლემები. არ იყო არავითარი დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან, ქართული კომპანიები კი კანონმდებლობის გამო ვერ ახერხებდნენ სპორტში ფულის ჩადებას. დიდ მადლობას ვუხდი ირაკლი მეძმარიაშვილს, რომელიც შესაძლებლობების ფარგლებში ყოველთვის გვეხმარებოდა. კიდევ იყო IRB, რომელმაც დაინახა ქართული რაგბის წარმატება და ცდილობდა, დაგვხმარებოდა. ვწუხვარ, რომ ასეთი შედეგის მიუხედავად, რაგბი საქართველოში არ გახდა სახალხო სპორტი.

არაერთხელ მითქვამს, რომ ამა თუ იმ ტურნირზე, ამა თუ იმ თამაშში წარმატების მიღწევის საწინდარი კარგი მომზადებაა. ჩვენთან კი ის მუდამ არანორმალურ პირობებში და არასწორად მიმდინარეობდა. ნორმალური მომზადებისთვის სახსრები არ იყო. სწორედ არანორმალურმა მომზადებამ გამოიწვია ის შედეგი, რაც მსოფლიო თასზე მივიღეთ.

**- მსოფლიო თასი ახსენეთ. მომზადების გარდა, რა აკლდა გუნდს, რატომ წააგეთ ყველა მატჩი?**

- ჩვენი მთავარი მიზანი იყო, 20 გუნდში ბოლო არ ვყოფილიყავით, მიგვეღწია იმ უმაღლესი შედეგისთვის, რომელიც ამ გუნდს შეეძლო.

ინგლისელებთან მატჩში ჩვენ გვაკლდა ორგანიზება და ჟინი. ბიჭებმა ამ მატჩში თითქოს ყველაფერი გაიღეს, მაგრამ მაინც აკლდათ ჟინი. ნერვიულობდნენ კიდეც. სავსებით შესაძლებელი იყო, რამდენიმე ლელოს გაშვება აგვეცილებინა და ინგლისს 20 ქულით ნაკლები მოეპოვებინა.

სამოასთან მატჩში მეტოქეს სივრცე დავუთმეთ, ბურთის ფლობის საშუალება მივეცით. ასეთ თამაშში კი, არათუ ჩვენ, ბევრი ვერ დაუდგება სამოელებს. ჩვენი სათამაშო დონე იმ დღეს გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე სხვა მატჩებისას. მათ



სორელი საქართველოში დაბრუნებას არ გამორიცხავს.

ვერ გამოამჟღავნეს თავიანთი შესაძლებლობები, მოედანზე ბოლომდე ვერ დაიხარჯნენ. ყველაფერთან ერთად, ვერ შეასრულეს მწვრთნელის დავალებები. სამოასთან მატჩმა გამაწბილა, რადგან ვიცოდი, ამ ბიჭებს გაცილებით უკეთ შეეძლოთ თამაში.

სამხრეთ აფრიკასთან მატჩი ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, უფრო რთული იყო, მაგრამ სწორედ მან მომგვარა სიამოვნება. ამ თამაშზე მეორე შემადგენლობით გავედით. ფსიქოლოგიურად ის ბიჭები უფრო თავისუფლად იყვნენ, ზეწოლას არ გრძნობდნენ და სტიმულიც მეტი ჰქონდათ. ამ მატჩშიც შეგვეძლო, ნაკლები სხვაობით დავმარცხებულიყავით, თუმცა, საერთო ჯამში მაინც ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

რაც შეეხება ურუგვაისთან მატჩს, მან ყველაზე მეტად გამაწბილა. ამ თამაშმა დაგვანახა, მომავალში რაზე უნდა გვემუშავა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ბიჭებს მოტივაცია არ ჰქონდათ. წინა მატჩებში მარცხის შემდეგ მათ ვერ შეძლეს თავის ხელში აყვანა, ფსიქოლოგიურად ვერ განეწყვნენ ამ მატჩისთვის. იმ ოთხ დღეში, რომელიც სამხრეთ აფრიკასა და ურუგვაისთან მატჩებს შორის იყო, გუნდმა ვერ მოახერხა ფეხზე დადგომა. არადა, უნდა შეგეძლოს ამ ხნის მანძილზე რეაგირების მოხდენა, მდგომარეობიდან გამოსვლა.

დასკვნის სახით ვიტყვი, რომ საქართველოს ნაკრებს მსოფლიო თასზე შეეძლო ერთი მატჩის მოგება.

**- მხოლოდ მსოფლიო თასზე წარუმატებელი გამოსვლა გახდა ნაკრებიდან თქვენი წასვლის მიზეზი?**

- საამისოდ ორი მიზეზი არსებობდა. პირველი: იმ ხნის მანძილზე, რომელიც საქართველოს ნაკრებში გავატარე, ვერ დავინახე, რომ მთავრობას სურდა ქვეყანაში რაგბის განვითარება. ყველაფერი, რასაც ნაკრებმა მიაღწია, გარე დახმარების შედეგი იყო. ეს იყო IRB-ს და ჩვენი, ჩემი და ზაზა ქასაშვილის დახმარება. ჩვენ ვცდილობდით ქართველი მორაგბეების მოწყობას ფრანგულ კლუბებში და ასე ვავსებდით რაგბის კავშირის ბიუჯეტს. ამის ყურება უკვე აუტანელი ხდებოდა. ადამიანები არაფერს აკეთებდნენ საკუთარ ქვეყანაში რაგბის წინსვლისთვის და მხოლოდ გარე დახმარების იმედად იყვნენ.

მეორე მიზეზი ისაა, რომ რაგბის კავშირის ხელმძღვანელობის მხრიდან ვერ ვხედავდი დაინტერესებას. ძალიან მინდოდა, დავხმარებოდი ქართულ რაგბის, მაგრამ ვერ ვიგრძენი, რომ სხვასაც სურდა ეს. არ შემეძლო, მუდამ წინ ვყოფილიყავი, სხვები კი მომყოლოდნენ.

რაგბი საქართველოში ქართველებმა უნდა განავითარონ. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ უნდა, მისი შვილი მორაგბე გამოვიდეს, ხელი უნდა შეუწყონ სპორტის ამ სახეობის განვითარებას. თუ არ გაქვს სკოლა, წიგნი, ვერაფერს ისწავლი. ასევეა რაგბიშიც: თუ არ გაქვს მოედანი და სხვა სავარჯიშო პირობები, კარგი მორაგბე ვერ გამოხვალ. აუცილებელია ქვეყანაში სტადიონების აშენება, უნდა შეიქმნას ბავშვთა სარაგბო სკოლები. აქცენტი ახალგაზრდებზე, ბავშვებზე უნდა გაკეთდეს. ამისთვის არაფერი კეთდებოდა, პოლიტიკა აქეთკენ არ იყო მიმართული, რაც სასწრაფოდ შესაცვლელია. თუ ვითარება არ შეიცვალა, რაგბი რეგრესს განიცდის.

**- ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ საქართველოს რაგბის კავშირთან?**

- ნორმალური, უფრო სწორად, კარგი. მე ვაკრიტიკებ კავშირის მოქმედებას, მაგრამ გულში ცუდი არაფერი მიდევს. ამას იმიტომ არ ვაკეთებ, რომ მინდა, ვინმეს რაიმე გადავაბრალო ან წარუმატებლობაში დამნაშავე ვიპოვო. არამედ იმისთვის, რომ სამომავლოდ მაინც გაითვალისწინონ ჩემი ნათქვამი. ამ რამდენიმე ხნის წინ კავშირს შევთავაზე განვითარების ახალი სტრუქტურა, რომელშიც ახალგაზრდებზე კეთდებოდა აქცენტი. სამწუხაროდ, თქვენთან არანაირი სტრუქტურა, არანაირი გეგმა არ არსებობს, თუ როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა, რა უნდა გახდეს პრიორიტეტული, რაც სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს, თუ გინდათ, რომ 2007 წლის მსოფლიო თასზე რაიმე წარმატებას მიაღწიოთ. დღესაც მზად ვარ, დავეხმარო ქართულ რაგბის, მაგრამ მხოლოდ ორი პირობით: ჯერ ერთი, თუ მომმართავენ ამ წინადადებით და მეორეც, თუ რეალურად მომეცემა ამის საშუალება და არა მხოლოდ სიტყვიერად.

**- ერთ-ორი გამონაკლისის გარდა, თქვენ ნაკრებში მხოლოდ ლეგიონერებს უხმობდით. რას ფიქრობთ საქართველოს ჩემპიონატზე და გქონდათ თუ არა ინფორმაცია იმაზე, თუ ვინ რას წარმოადგენს აქ?**

- საქართველოს ჩემპიონატი ერთი დიდი შავი წერტილია. ასე ვიტყვი, საქართველოს ჩემპიონატი რამდენიმე მწვრთნელის ხელშია, რომლებიც ხელს უშლიან მის განვითარებას. ისინი ძველებურად აზროვნებენ, სათამაშო ტაქტიკაში არაფერს ცვლიან და შედეგად ვერც მაღალი კლასის მოთამაშე იზრდება.

ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეებზე ამომწურავი ინფორმაცია მქონდა. ყველანაირ ინფორმაციას მაწვდიდნენ, ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, ყველაფერს სრულად მაწვდიდნენ, ეჭვის საფუძველი არ მქონია. ასევე სრულად ვფლობდი ინფორმაციას ლეგიონერებზე. ამით იმის თქმა მინდა, რომ მსოფლიო თასზე წავიყვანე ის მოთამაშეები, რომლებიც იმ მომენტისთვის საუკეთესო ფორმაში იყვნენ. რაღაცებს ამბობენ ცაბაძეზე და კიდევ სხვებზე. კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ლევანი ეროვნული გუნდისთვის, მაგრამ ის დამტვრეული იყო, გამოჯანმრთელებული, ვერც ფორმაში შესვლას მოასწრებდა.

**- მომავალ კვირას საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებია. როგორ წარიმართება თქვენი ურთიერთობა ძველ თუ ახალ კავშირის ხელმძღვანელთან?**

- ახალი იქნება თუ ძველი, მზად ვარ, გვერდში დავუდგე, თუ ამის სურვილი ექნება. მთავარია, რომ ახალმა თუ ხელახლა არჩეულმა პრეზიდენტმა ახლებურად იაზროვნოს და წინსვლის სურვილი ჰქონდეს. და კიდევ, საქართველომ რაღაც უნდა გაიღოს ქვეყანაში რაგბის განვითარებისთვის.

ფორმულა 1

# "შუმი" ცხვირს არ ჩამოუშვებს და კონკურენტთა ცხვირებს უყურებს

გიგა გურასაშვილი

სამეფო რბოლების ახალ სეზონამდე თვეზე მეტი რჩება, ფორმულა 1-ის სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ წლეულს "ფერარის" და მის გამწევ ძალას, მიხაელ შუმახერს, ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა ძალზე გაუჭირდებათ. ამის მიზეზი სკუდერიის ძირითადი კონკურენტების "მაკლარენ-მერსედესისა" და "BMW-უილიამსის" საჯინიბოთა მომძლავრებაა. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი კონკურენტთა მზადებას შორიდან მშვიდად აკვირდება. თავად კი მოუთმენლად ელის ახალი ბოლიდის პრეზენტაციას, რომელიც 26 იანვარს მარანელოში იგეგმება, თუმცა...

მიუხედავად იმისა, რომ სკუდერიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, სეზონი ახალი ბოლიდით დაიწყოს, გამორიცხული არაა, ფერარელებმა სტარტზე კვლავაც ძველი ბოლიდი – F2003-GA შეაგორონ. "ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო ცოტა ხნის წინ საკუთარ ქვეშევრდომებს თავად მოუწოდებდა: ტრადიციები დაივიწყეთ და ჩემპიონატისთვის ახალი ბოლიდი მოამზადეთო. ბოლო ორი სეზონია, სკუდერია ჩემპიონატის საწყის ეტაპებზე რბოლას ძველ, წინამორბედ ბოლიდებს ანიჭებდა უპირატესობას.

ასეა თუ ისე, შუმის სურვილს, 7 მარტს მელბურნში, ავსტრალიის გრან-პრიზე, ახალი ბოლიდით გავიდეს სტარტზე, ალბათ, ასრულება არ უწერია. მიზეზი ახალი ბოლიდისადმი უნდობლობაა, რასაც თავად გერმანელიც აცნობიერებს.

"ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მელბურნში ახალი მანქანით ავიღოთ სტარტი, - "auto, motor und sport"-თან ინტერვიუში აცხადებს შუმახერი. – ჯერ ზუსტად არ შეგვიძლია იმის თქმა, შეძლებს თუ არა ახალი ბოლიდი ჩემპიონატის მეორე ეტაპის, მალაიზიის გრან-პრის თანმდევი ხვატის ატანას. სწორედ ამგვარი ეჭვების გამო იყო, რომ ბოლო ორი სეზონი წინამორბედი მანქანებით გავდიოდით სტარტზე".

საერთოდ, "ფერარის" ახალი პირმშოს ირგვლივ ბევრი სხვა საინტერესო ამბავიც ხდება. ერთ-ერთი მათგანი ბოლიდის სახელს უკავშირდება. ერთ-ერთი წინადადების მიხედვით, მას "ფერარის" შემქმნელის ენცო ფერარის სახელს დაარქმევენ. უფრო სწორად, F2004-EF-ს. EF კი სწორედ ასე იშიფრება - "ენცო ფერარი".

მაგრამ ყველაზე დიდ მოულოდნელობად იქცა საჯინიბოს სპორტული დირექტორის ჟან ტოდტის გადაკრული სიტყვა: 26 იანვარს ახალი ბოლიდის პრეზენტაციაზე წითელი ბარონის გულშემატკივრებს სიურპრიზი ელით. "ჩვენც შეგვიძლია, ისეთი წინა ფრთა წარვადგინოთ, რომელიც ყველას სახტად დატოვებს", - აცხადებს ტოდტი.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "ფერარის" სპორტული დირექტორის ამგვარ განცხადებაზე ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა "უილიამსის" მიერ შემუშავებულმა, მართლაც, უჩვეულო დიზაინმა, რომლის შესახებ ჩვენც ვიუწყებოდით.

ფაქტია, "მაკლარენ-მერსედესისა" და "BMW-უილიამსის" მხრიდან შემოტევამ იტალიელები შეაფუცხუნა. ამ და სხვა ფაქტებთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა, თავად შუმახერის აზრსაც გავცნობოდით. ორიოდე დღის წინ მას ჩამოართვეს ინტერვიუ, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ.

**- 2004 წელს რას უსურვებდით საკუთარ თავს?**

- წარმატებას. ჩვენი მიზანი ჩემპიონის ტიტულის დაცვაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ, სულ ცოტა, ორი გუნდი სიცოცხლეს გაგვიმწარებს.

**- ეტყობა, ახალი სეზონი წინამორბედზე რთული იქნება...**

- მართლაც, ასეა. ახალი სეზონი ბევრად უფრო რთული იქნება.

**- "ახალგაზრდა დამშეული ლომების" კოჰორტიდან ვისი უფრო გეშინიათ? "ფერარის" ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი ძირითად მეტოქეს კიმი რაიკონენში ხედავს.**

- არა მგონია, რომელიმეს დასახელება ღირდეს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი ძირითადი კონკურენტები "მაკლარენი" და "უილიამსი" იქნებიან.

**- უფრო ზუსტად, რაიკონენი და ხუან პაბლო მონტოია?**

- არ ვიცი... დევიდ კულტჰარდიც ხომ არის...

**- და, რა თქმა უნდა, თქვენი ძმა რალფი. რალფის მენეჯერმა ვილი ვებერმა სუძუკაზე (იაპონიის გრან-პრი. მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპი) უკვე იწინასწარმეტყველა, რომ 2004 წელი რალფის წელი იქნება.**

- თუ მე ვერ შევძელი ჩემპიონობა, დე, ტიტულს ბარიკელო დაეუფლოს. მაგრამ თუ ჩვენ ამას მაინც ვერ შევძლებთ, მაშინ ჩემპიონი რალფი გახდეს.

**- ბარიკელომ საკუთარი კონტრაქტი 2006 წლის ბოლომდე გაიხანგრძლივა...**

- უნდა გითხრათ, რომ ამან ძალზე გამახარა. მასზე უკეთესი მეწყვილე არასდროს მყოლია.

**- ჟურნალისტები იმაზე მსჯელობენ, ძმები შუმახერებიდან ვის უკეთესი ცხვირი აქვს - "ფერარის" თუ "BMW-უილიამსს"?**

- "უილიამსს", მართლაც, საინტერესო ცხვირი აქვს. ახლა მთავარია, ასეთი კონსტრუქცია როგორ აისახება შედეგებზე. დაველოდოთ და ვნახოთ.

# ლუდოვიკო არიოსტო

საჰერცოგო და საგრაფო კარზე მხოლოდ ინტრიგანები და უპრინციპო მედროვენი არ იზრდებოდნენ. არისტოკრატთა განკარგულებაში უდიდესი სიმდიდრის გარდა დიდძალი თავისუფალი დროც იყო, რითაც დღევანდელი მდიდრები ნამდვილად ვერ დაიკვეხნიან. თავისუფალი დრო კი გემოვნების განვითარების შესაძლებლობას ნიშნავს: იმხანად კულტურის განვითარებას სნობიზმი კი არა, მკაცრად აღზრდილი გემოვნება აპირობებდა. ამიტომაც პოპულარობას "ჰარი პოტერი" კი არა, ლოდოვიკო არიოსტოს პოემა, "შმაგი როლანდი" იმსახურებდა, რომელშიც, სხვა თუ არაფერი, წარსულის მონაპოვართა მოხერხებული გამოყენების გარდა, მომავალი განვითარების მყარი საფუძველიც იყო ჩაყრილი.

არიოსტო ბავშვობიდანვე თხზავდა ლექსებს. საშუალოზე მაღალი ტანისა, საკმაოდ მსუქანი იყო, შავწვერა და ფერმკრთალი, ოდნავ ავადმყოფური იერისა. თუმც ელეგანტურად იმოსებოდა, მაინც მორცხვი და მორიდებული იყო. მელანქოლია და ფილტვების სისუსტე ერთნაირად სჭირდა. თუმცა, მის თხზულებებში პერსონაჟები იგავთმიუწვდენელ გმირობებს სჩადიან, თავიანთი ღონითა და სიმარჯვით ათლეტიზმის ნამდვილ ზეიმს წარმოადგენენ, თვით ავტორმა ცურვაც კი არ იცოდა, ცხენის დანახვაზე კი მუხლები უკანკალებდა. ფარიკაობაც ვერა და ვერ ისწავლა. ერთი სიტყვით, ერთობ შორს იდგა კარისკაცის აღიარებული მოდელისაგან. თან არც ამქვეყნიური სიამეებისკენ სწრაფვა ეტყობოდა დიდად: ცოტას ჭამდა, თითქმის არ სვამდა ღვინოს, არ დადიოდა დუქნებსა და საროსკიპოებში, თავს არიდებდა ხმაურიან საზოგადოებას, საღამოს ადრე წვებოდა დასაძინებლად და დილითაც გარიჟრაჟზე უბრუნდებოდა თავის დაუმთავრებელ სტრიქონებს. პოეზიას თავის შტატში არასოდეს ჰყოლია მასავით ბეჯითი "მოხელე".

1500 წელს, 26 წლისას მამა გარდაეცვალა და ცხრა და-ძმა დარჩა სარჩენი. ჰერცოგმა მას კანოსას ციხე-დარბაზის კაპიტნობა შესთავაზა. სამხედრო სამსახურის გაგონებისას ლოდოვიკოს ტანში ჟრუანტელი უვლიდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო და დათანხმდა. გულში იმედი ჰქონდა, რომ საქმეს თავს ვერ გაართმევდა და გადააყენებდნენ. მაინც გაუმართლა: ჰერცოგის ძმის საქებარი ეპიგრამა შეთხზა და სასურველი ადგილიც დაიმსახურა.

აქ 1517 წლამდე გაძლო, რადგან უნგრეთში ელჩობისგან თავის დასახსნელად ავადმყოფობა მოიმიზეზა და სამსახურიც დაკარგა. აქ მშველელად თვით ფერარას ჰერცოგი გამოუჩნდა: მან მძიმე დიპლომატიური სამსახურისგან დაიხსნა არიოსტო, პენსია დაუნიშნა და თავისი კარზე მიიღო. აქაც ხელოვნებისა და კულტურის ხელშემწყობი კოსმოპოლიტური გარემო სუფევდა და არიოსტოს მოხეტიალე ცხოვრებასაც ბოლო მოეღო. 1521 წელს შვიდწლიანი მორცხვი და გაუბედავი ურთიერთობის შემდეგ პოეტმა ცოლად შეირთო **ალესანდრა ბენუჩი**, რომლისგანაც ორი შვილი ეყოლა. ორ წელიწადში ჰერცოგმა ალფონსომ არიოსტო გარფანიანას გუბერნატორად გამოაცხადა.

ფერარას საჰერცოგოს ეს რეგიონი ურჩი სენიორებისა და ყაჩაღების თავშესაფრად ითვლებოდა. არიოსტო მეტად შეუფერებელი პიროვნება იყო იქ წესრიგის დასამყარებლად. ახალმა გუბერნატორმა მოკრძალებული სახლი აიშენა, იქ ბაღ-ბოსტანი მოიწყო, რომელსაც პირადად უვლიდა, როცა პოეზიის მუზა ამის დროს აძლევდა.

1506 წელს დაიწყო არიოსტომ თავის "შმაგ როლანდზე" მუშაობა. უფრო ადრე შუა საუკუნეების ლეგენდარულ გმირს, **კარლოს დიდის** თანამებრძოლს, როლანდს იტალიელმა პოეტმა, **მატეო ბოიარდომ** უძღვნა ვრცელი პოემა : სამოცი ათასი სტრიქონი. არიოსტოს არ ასვენებდა თავისი წინამორბედის წარმატება და ამბის გაგრძელებას მიჰყო ხელი. ახალმა პოეტმა ძველი თხზულების პერსონაჟებს ფერარას ჰერცოგის წინაპრებიც დაუმატა, რათა თავისი კეთილისმყოფელისგან მატერიალური მხარდაჭერა არ გამოლეოდა.

პოემის სიუჟეტს საფუძვლად უდევს ქრისტიანთა და სარკინოზთა შორის ბრძოლა. არაბები ემუქრებიან პარიზს. სარწმუნოებისათვის სისხლისმღვრელ ომებს ცვლის არანაკლებ დრამატული ბრძოლები მშვენიერი ქალის, ანჯელიკას სიყვარულის მოსაპოვებლად. ანჯელიკასათვის ყველა ჭკუას კარგავს, მაგრამ მიჯნურთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი თვით როლანდია, ქრისტიანი ლაშქრის პირველი და სწორუპოვარი მეომარი. მაგრამ ანჯელიკა რატომღაც ვინმე მედოროს ირჩევს, უნიჭო და მხდალ მეომარს. ამის გაგონებაზე როლანდი სიშმაგეს ეძლევა, შუაღამისას შეახტება ბედაურს და გახელებული აჭენებს ტყეში და ღრეში, ხმლით ჩეხავს ხეებს და ფშვნის კლდეებს. როლანდის მეგობარი, ასტოლფო, გმირის დაკარგული გონების საძებნელად მიემართება : ლომარწივზე შემომჯდარი თვით სამოთხემდე აღწევს, სადაც იოანე მოციქულს ხვდება. წმიდა იოანეს ასტოლფო მთვარეზე აჰყავს, რომლის ზედაპირზე ასტოლფო მეგობრის დაკარგულ ტვინს პოულობს. ასტოლფო ფრთხილად იღებს ხელში ამ ტვინს და მეგობარს უბრუნებს.

ამ ამბავში მრავალი სხვა ფანტასტიკური თუ მაგიური ეპიზოდია ჩაქსოვილი : მფრინავი რაშები, ხომალდებად გადაქცეული ხმელი ფოთლები, მცენარეებსავით ფესვგადგმული ადამიანები, ქარებით სავსე ტომრები. ავტორი ადვილად გადადის სისხლიანი სცენებიდან სასიყვარულო გრძნობების აღწერაზე, არაფრად აგდებს დროისა და სივრცის ერთიანობას, მხოლოდ მკითხველის ყურადღების დაპყრობაზე ზრუნავს. ეს თითქმის ყოველთვის გამოსდის. მხოლოდ ერთი რამ არ შეუძლია : მკითხველი არასოდეს თანაუგრძნობს მის გმირებს : არიოსტოს ვერცხლისფერ ლექსებში პოეტის ოსტატობა ჟღერს, გული კი — არა.

პოემის დასრულებას ათი წელი დასჭირდა. გზადაგზა არიოსტომ ხუთი კომედიაც შეთხზა. 1532 წელს იგი ჭლექმა იმსხვერპლა. სიცოცხლეშივე არიოსტო ჰომეროსს შეადარეს, მისი პოემა კი, რომელიც სიდიდით ერთად აღებული "ილიადასა" და "ოდისეას" ტოლი იყო, თავისი დროის ბესტ-სელერად იქცა. არიოსტოსავით არავის შეეძლო მკითხველის მოწყვეტა მოსაწყენი და ერთფეროვანი რეალობისაგან, ასე მარჯვედ ვერავინ მალავდა გამონაგონის ქვეშ შთაგონების არარსებობას. და მაინც, მისთვის არასოდეს ულალატია ეპოქის ყველაზე დიდ კერპს, გემოვნებას, რის წყალობითაც ლუდოვიკო არიოსტო შეიქნა XVI საუკუნის ყველაზე დიდი პოეტი.


ტიციანი - არიოსტოს პორტრეტი

# კარის ცხოვრება რენესანსულ იტალიაში


ურბინოს ჰერცოგის სასახლე

ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე საჰერცოგო კარი მხატვარ **რაფაელის** მშობლიურ ქალაქში, ურბინოში იყო განლაგებული. ურბინოში, XIII საუკუნიდან მოყოლებული, **მონტეფელტროთა** საგვარეულო ბატონობდა, სიმდიდრითა და შეიარაღებით განთქმული. ურბინოს ჰერცოგებს არასოდეს ჰქონდათ საკუთარი ჯარი, მაგრამ არასოდეს კარგავდნენ შემთხვევას, სათანადო გასამრჯელოს ფასად ვინმესთვის შეეთავაზებინათ თავიანთი სამსახური, ამიტომაც დიდ სარდალთა სახელიც მოიხვეჭეს.

და მაინც, XIII და XIV საუკუნეების განმავლობაში მათი ხელისუფლება მხოლოდ პატარა ქალაქზე ვრცელდებოდა. ასე იყო მანამ, სანამ 1444 წელს ურბინოს ჰერცოგის ტიტული ახალგაზრდა **ფედერიკო დე მონტეფელტრომ** არ მიიღო, რომელსაც წინაპართაგან სამხედრო ნიჭი გამოჰყვა, მაგრამ მათგან განსხვავებით განათლებისა და კულტურისკენ სწრაფვაც აღმოაჩნდა. ფედერიკო ვენეტოს, მილანის, ფლორენციისა და რომის დროშის ქვეშ იბრძოდა, არც ერთხელ არ დამარცხებულა და დიდძალი ქონებაც მოიპოვა. ამან შეავსებინა მომცრო საჰერცოგოს ბიუჯეტი და ფუფუნების საშუალებაც კი მისცა. ფედერიკოს არ სურდა, მისი ქალაქი ფერარას ან ვერონას ჩამორჩენოდა.

ბრძოლებში გამობრძმედილი ჰერცოგი საგვარეულო პრესტიჟისა და ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის არაფერს იშურებდა, პირადად არჩევდა ყველა სასამართლო საქმეს, უხვად ასაჩუქრებდა ეკლესიებს, მონასტრებს, საავადმყოფოებს, ღარიბთა თავშესაფრებს, ეხმარებოდა უმუშევრებს, მზითევს აძლევდა ობოლ ქალწულებს. უშველებელი სასახლეც აიშენა, რომელიც რენესანსის ეპოქის ერთ-ერთ შედევრად ითვლება. **ლუჩანო ლაურანას** პროექტით აგებულ მტკიცე და მიუდგომელ სასახლეს ორი მაღალი კოშკი ამშვენებს. სასახლის ინტერიერები გამოჩენილმა იტალიელმა, ჰოლანდიელმა და ესპანელმა მხატვრებმა, დეკორეტორებმა და გობელენების ოსტატებმა შეამკეს. მათ შორის ყველაზე განთქმულნი არიან იტალიელი ხელოვანები, **პაოლო უჩელო**, **პიერო დელა ფრანჩესკა** და **პერუჯინო**. ყველაზე მშვენიერ ოთახებში, ფედერიკო დე მონტეფელტრომ თავისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა განალაგა. ჰერცოგი ხარბად კითხულობდა წიგნებს, განსაკუთრებით მოსწონდა ისტორია და კლასიკური ლათინური თხზულებები.

როცა 1482 წელს ფედერიკო გარდაიცვალა, მის ირგვლივ მყოფმა მხატვრებმა, პოეტებმა და მეცნიერებმა თავიანთი სამსახური მის მემკვიდრეებს შესთავაზეს.

ფედერიკოს ვაჟი, **გვიდობალდო**, მამასავით ენერგიული ვერ გამოდგა. გამხდარსა და ანემიურ ჰერცოგს მუდამ თან სდევდა ავად გახდომის შიში. საერთო ენას უფრო ექიმებთან პოულობდა, ვიდრე სახელმწიფო მრჩევლებთან, ამიტომ საქმეები ცოლს გადააბარა. **ელიზაბეტა გონძაგა** ჭკვიანი, განათლებული და მგრძნობიარე ქალი იყო. თუმც გვიდობალდო სქესობრივადაც იმპოტენტი იყო, ცოლი მუდამ მისი ერთგული დარჩა. ჰერცოგინიას ბრწყინვალე ჰუმანისტური განათლება ჰქონდა მიღებული, მრავალი ენა იცოდა, ესმოდა ხელოვნება, ნატიფი სტილით წერდა, უყვარდა მუსიკა. დღისით ელიზაბეტა პოლიტიკით იყო დაკავებული, საღამოობით კი, როცა თავისი ერთგული მედიკოსებით გარემოცული, თავის აპარტამენტებში განმარტოებული ჰერცოგი ოყნებსა და სხვა პროცედურებს მიმართავდა, მისი მეუღლე დიდ დარბაზში თავს უყრიდა მხატვრებს, მუსიკოსებს, პოეტებს, მეცნიერებს და მათთან საუბარსა და კამათში ატარებდა ხანგრძლივ საათებს. პოეტები კითხულობდნენ თავიანთ ლექსებს, მეცნიერები ბრწყინავდნენ ერუდიციით, მუსიკოსები ახმიანებდნენ საკრავებს. ამ საღამოებში მონაწილეობას იღებდა უმაღლესი სამღვდელოება, სახელმწიფო მოხელეები, დიდგვაროვანი ქალბატონები. ასე მოხდა, რომ ურბინოს ჰერცოგის კარი ყველაზე მიმზიდველი ადგილი შეიქნა იტალიური "ინტელიგენციისათვის". სწორედ აქ აღიზარდა ცნობილი იტალიელი დიპლომატი, კარისკაცი და მწერალი **ბალდასარე კასტილიონე**.

გრაფი კასტილიონე დაიბადა 1478 წელს მანტუას მახლობლად. განათლება მილანში მიიღო. თავისი დროის ყველა არისტოკრატის დარად მანაც იცოდა ჯირითი, მოისრობა, ფარიკაობა, სამეჯლისო ცეკვები, ვიოლაზე დაკვრა, ნატიფი მადრიგალების თხზვა. კარგად იცნობდა ხელოვნებას, ელეგანტურად იცვამდა, ნადირობდა, უმიჯნურდებოდა ქალებს, თუმც კი ერთგვარად ზარმაცი იყო გრძნობებში.

18 წლის ბალდასარე მილანის ჰერცოგმა, **ლეონარდო და ვინჩის** მფარველმა, **ლოდოვიკო მორომ** აიყვანა სამსახურში. მერე ყმაწვილი **ფრანჩესკო გონძაგას** კარზე გადავიდა და ერთი წლის შემდეგ გვიდობალდო დე მონტეფელტროს კარზე დამკვიდრდა ურბინოში. აქ მოიპოვა ბალდასარემ სახელი და დიდება როგორც მწერალმა. მისმა წიგნმა "კარისკაცი" უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ევროპის ცივილიზაციის პროცესში და დღესაც მკვლევრები მას პირველ "ევროპულ" წიგნს უწოდებენ.

სამხედრო საქმე დახვეწილი ბუნების მქონე კასტილიონესათვის უცხო იყო. იგი უფრო ჰუმანისტური მოღვაწეობისკენ მიისწრაფოდა და მალე გახდა ელიზაბეტას ფავორიტი. თვით გვიდობალდო უფრო საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავდა და ცოლის გატაცებები არ ენაღვლებოდა, მაგრამ როცა ზოგმა მოშურნე კარისკაცმა მისი ყურადღება ელიზაბეტას შეცვლილ ხასიათს მიაპყრო, ჰერცოგმა ახალგაზრდა კასტილიონე ინგლისში გააგზავნა ელჩად. მაგრამ რამდენიმე თვეში უკანვე გამოიხმო და მისი დაბრუნება ბანკეტით აღნიშნა. ერთი წლის შემდეგ კი, 1508 წელს გვიდობალდო გარდაიცვალა.

რაც შეეხება კასტილიონეს, იგი 1516 წლამდე ურბინოში დარჩა. ამასობაში 38 წლის შეიქნა და გვარიანად გასუქდა კიდეც. დედის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ საცოლის ძებნა დაიწყო. 15 წლის გოგონა, **იპოლიტა ტორელი** შეირთო, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ეს ნაზი არსება მშობიარობას გადაჰყვა. კასტილიონემ მწარედ დაიტირა მეუღლე, ახალშობილი ქალიშვილი ბებიას მიანდო და მარტოხელა ცხოვრებას დაუბრუნდა ფედერიკო გონძაგას კარზე.

ახალმა ბატონმა კასტილიონე მალე რომში გააგზავნა ელჩად. აქ პაპის, **ლეონ X**-ის კარი მთელ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე იყო. აქ "ათას ერთი ღამის" ზეიმები იმართებოდა, მთელი მსოფლიოს სწავლულები იკრიბებოდნენ, ერთი სიტყვით, აღორძინების ეპოქის ტრიუმფი იდგა. კასტილიონე, რომელიც ურბინოს ინტიმურ დახვეწილობას იყო მიჩვეული, რომის სიჭრელესა და სიმდიდრეში თითქმის ჩაიკარგა. როცა ახალმა პაპმა, **კლიმენტი VII**-მ იგი ესპანეთში გააგზავნა ელჩად, კასტილიონემ დედაქალაქი დაუნანებლად დატოვა.

1527 წელს რომი გაერთიანებული ევროპის ჯარებმა გაძარცვეს. კლიმენტიმ ბრალი დასდო კასტილიონეს, რომელმაც თითქოსდა დროზე არ შეატყობინა პაპს ესპანური სამეფო კარის ზრახვები. კასტილიონემ თავის გასამართლებელი წერილი მისწერა თავის პატრონს, პაპმა უდანაშაულოდ სცნო თავისი ელჩი, მაგრამ კასტილიონეს გადატანილი უსიამოვნებისგან რამდენიმე თვის შემდეგ გული გაუსკდა. ასე გარდაიცვალა ევროპის ყველაზე დახვეწილი კარისკაცი, რომელმაც შთამომავლობას ამავე სახელწოდების თხზულება დაუტოვა.

წიგნი "კარისკაცი" ურბინოს იმ სასახლეში დაიბადა, სადაც ელიზაბეტა ყოველ საღამოს თავს უყრიდა განათლებულ ადამიანებს. თხზულება დიალოგის ფორმითაა დაწერილი. დიალოგში მონაწილეობენ **ლუდოვიკო დი კანოსა**, **ფედერიკო ფრეგოზო**, **ბერნარდო ბიბიენა** და **ჯულიანო მედიჩი**. თვით ავტორი არ ჩნდება, იგი თავს ისე იჭერს, თითქოსდა ვიღაცისგან გაიგო ამ საუბრების შესახებ. წიგნში მოყვანილი პერსონაჟები ხუთასი გვერდის განმავლობაში ერთადერთ საკითხზე მსჯელობენ: როგორი უნდა იყოს სრულყოფილი კარისკაცი?

უპირველეს ყოვლისა, მის ძარღვებში აუცილებლად "ცისფერი სისხლი" უნდა ჩქეფდეს, რომელიც სინონიმია აღზრდის, განათლების, კარგი მანერების, ელეგანტურობისა და რაინდობის. მაგრამ არისტოკრატიული წარმოშობა მაინც არაა საკმარისი: კარისკაცმა უნდა იცოდეს იარაღის ხმარება, დიდსულოვანი და მამაცი უნდა იყოს. მაგრამ ყველანაირი სამხედრო წამოწყება როდი შეეფერება კარისკაცს: იგი უეჭველად პირველია, როცა საქმე ციხესიმაგრის ალყას ან მტრისგან თავდაცვას ეხება, მაგრამ თავი უნდა აარიდოს დაპყრობილი ქალაქის ძარცვას, მოსახლეობის აოხრებას, მაროდიორობას. კარისკაცმა კარგად იცის ჯირითი და ფარიკაობა. ის ერთნაირი მოხდენილობით ატარებს აბჯარსა და სამეჯლისო სამოსს. ფრონტზეც და საზეიმო მიღებაზე ერთნაირად გრძნობს თავს. ენაწყლიანად საუბრობს და ყურადღებით ისმენს. თავს არიდებს უსწავლელ დედაკაცებს და უმიჯნურდება განათლებულ ქალბატონებს.

არ ვიცით, რამდენად მისდევდა მაღალი საზოგადოება კასტილიონეს რჩევებს. მაგრამ თხზულებას მაინც აქვს დროის უტყუარი მოწმის ღირებულება, რადგან საზოგადოების იდეალებს აღწერს. მთელ ევროპაში ახალგაზრდა არისტოკრატებს ამ წიგნის მაგალითზე ზრდიდნენ, რადგან კარგი კარი კარგ თავადს ქმნის, კარგი თავადი კი — კარგ სახელმწიფოს. კასტილიონემ არისტოკრატიულ კარს განმანათლებელი და აღმზრდელი ფუნქცია მიანიჭა, თითქოს არ იცოდა, რომ იგივე კარი იყო მანკიერების ბუდე და კორუფციის აკვანი. კასტილიონემ კარზე მხოლოდ კეთილი თვისებები შეაგროვა. მისმა თანამედროვე **პიეტრო არეტინომ** კი — მხოლოდ ბოროტება.

პიეტრო არეტინო დაიბადა არეცოში 1492 წელს. ვიღაც არისტოკრატის უკანონო შვილობას იჩემებდა, მაგრამ სინამდვილეში მამამისი ხარაზი იყო, დედა კი ერთი ბნელი და ღვთისმოსავი ქალი. პიეტროს გვარი სამუდამოდ უცნობი დარჩა — არეტინო იტალიურად არეცოს მკვიდრს ნიშნავს — გვარს გულმოდგინედ მალავდა, რათა არ გამომჟღავნებულიყო მისი ნამდვილი წარმომავლობა. ასევე უცნობია მისი სიყრმისა და პირველადი განათლების ისტორია. საყოველთაო სიმპათიის დამსახურება მან თავისი ცოცხალი ნიჭისა და ენამჭევრობის წყალობით შეძლო.

წარმოუდგენლად ხშირი და მრავალრიცხოვანია მისი მოგზაურობები: რომში მოახლედ მსახურობდა, ვენეციაში — მომღერლად, ბოლონიის დუქანში თეფშებს რეცხავდა. ერთხელ რაღაცისთვის დაიჭირეს და სამი თვით მენიჩბეობა მიუსაჯეს გემზე. მონასტრებშიც სცადა შეჩერება, მაგრამ ყველგან უზნეო ხასიათისთვის გამოაგდეს. ბოლოს სატირული ლექსების წერას მიჰყო ხელი და რადგანაც ეს ხელოვნება იმჟამინდელ იტალიაში უცნობი იყო, არეტინოს შემოქმედებამ თვით პაპის ყურადღებაც დაიმსახურა. ლეონ X ამ დუქნის საკადრის ლექსებს არ უკადრისობდა. პიეტრო პაპის კარზე მიიწვიეს და პოეტის, რეალურად კი მასხარას თანამდებობაზე დანიშნეს. სამი წლის შემდეგ პაპი ლეონი მოკვდა და პიეტროსაც მოუწია რომის დატოვება.

ადრიანე IV-ის პონტიფიკატი ძალიან მკაცრი აღმოჩნდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა. როდესაც პაპი კლიმენტი VII ავიდა ტახტზე, პიეტრო კვლავ რომს დაუბრუნდა. იქიდან მტრებისა და მოშურნეების ინტრიგებმა გააგდეს, მაგრამ საფრანგეთის მეფის, ფრანსუა I-ის რჩევით პაპის საქებარი ოდა დაწერა და შემოირიგა კლიმენტი. პაპმა არეტინოს რაინდის ტიტული უბოძა და უხვი ანაზღაურება დაუნიშნა.

ახლა კი თვით არეტინომ მოიწყო სახლი, შეიძინა სურათები, ქანდაკებები, გობელენები, ირგვლივ შემოიკრიბა მსახურებისა და მასხარების მთელი ამალა. მალე სასახლის ინტრიგებშიც გაერია. მაგალითად, მანტუის მარკიზს, ფედერიკოს, აბრეშუმის ოთხი პერანგისა და ორი ქუდის საფასურად პაპის წყალობას დაჰპირდა. ფედერიკომ რვა პერანგი და ოთხი ქუდი გაუგზავნა. ამგვარი მეთოდების გამოყენებამ იმდენი ქნა, რომ პაპის თანაშემწემ, ჯოვანი მატეო ჯიბერტიმ პიეტრო არეტინოს მოკვლა გადაწყვიტა. 1525 წლის ივლისის ცხელ საღამოს მოწყობილი თავდასხმა ნაჩქარევი გამოდგა და ხანჯლით მსუბუქად დაჭრილი არეტინო ცოტა ხანში მომჯობინდა. სიმართლის გასარკვევად პაპს მიმართა. კლიმენტიმ მრავალი პიროვნების დაპატიმრება ბრძანა, მაგრამ ჯიბერტის არ შეეხო. მაშინ გაფიცხებულმა არეტინომ თვით პაპი დაადანაშაულა უსამართლობაში. ალბათ მალევე ინანა, მაგრამ რომში უკვე აღარ დაედგომებოდა.

1527 წლის მარტიდან არეტინო ვენეციაში გამოჩნდა. ფუფუნებაში ჩაფლული ვენეციის რესპუბლიკა მართლაც მისი შესაფერი ადგილი იყო. პიეტრომ ცენტრალურ არხზე შეიძინა სახლი. სულ მალე ვენეციის დოჟმა, ანდრეა გრიტიმ არეტინო წერილობით შერაცხა "ერის მამად". ცოტა ხანში ვენეციის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება გახდა: კერამიკის ოსტატები თეფშებზეც კი გამოსახავდნენ მის მედიდურსა და წვეროსან ფიგურას.

თავის ცხოვრებაში პიეტრო არეტინომ მრავალი სატირული და ეროტიკული ხასიათის ლექსი შეთხზა. თავის კომედიებში არისტოკრატიული კარის ცხოვრებას მწარედ აქილიკებდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო მისი "წერილები", რომლებშიც ავტორის დახვეწილი და რიტორიკულად მრავალფეროვანი სტილი თანამედროვე არისტოკრატიისთვის ნამდვილ საწამებელ იარაღად იქცა. ბოლოს პიეტრო პაპსაც შეურიგდა, სისტის კაპელაში შესულმა, ეკლესიის მწყესმთავარს მიქელანჯელოს მიერ გამოსახული შიშველი ფიგურების "შემოსვა" ურჩია, უზნეობის ასარიდებლად და 1556 წელს მშვიდად მიიცვალა ვენეციაში. მის საფლავზე შემდეგი წარწერაა: "აქ განისვენებს არეტინო, ტოსკანელი პოეტი, რომელიც ყველაზე აუგს ამბობდა, ქრისტეს გარდა, რასაც იმით ამართლებდა, რომ ამ უკანასკნელს პირადად არ იცნობდა".

იტალიური არისტოკრატიული კარი იყო ის კვირტი, რომლიდანაც მოგვიანებით ევროპული აბსოლუტიზმის და შემდეგ ეროვნული სახელმწიფოს ტრადიციები აღმოცენდა. კარისკაცთა ცივილიზაცია სისხლსა და მამულზე იყო დაფუძნებული, მაგრამ საოცრად კოსმოპოლიტური იყო. როდესაც ფრანგმა კაპიტალისტებმა პირველად შეუტიეს დიდგვაროვნებს, მათი არგუმენტი ასეთი იყო: ისინი კოსმოპოლიტები არიან, ჩვენ კი ეროვნულებიო. დღეს კოსმოპოლიტიზმთან უფრო კაპიტალიზმია დაკავშირებული, არისტოკრატთა გადარჩენილ ოჯახებში კი თითქოს პატრიოტიზმის ნარჩენებია თავმოყრილი.

კოსმოპოლიტიზმი არაა ცალსახად დაკავშირებული რომელიმე სოციალურ ფენასთან ან თუნდაც იდეოლოგიასთან. კოსმოპოლიტიზმი ყოველ მოცემულ ისტორიულ მომენტში სიტუაციის ბატონ-პატრონთა ხვედრი და მისწრაფებაა, სამშობლოს სიყვარულის კარტს კი ყოველთვის ხელმოცარულები ათამაშებენ.

*ნოდარ ლადარია*
*ლეილა ბეზარაშვილი*

# მშვიდობით, მომავალ ოინამდე


პენელოპა კრუსი და ტომ კრუზი

ტომ კრუზს ჰოლივუდში იცნობენ, როგორც ფანების მოყვარულ ვარსკვლავს. ის თითოეულ თაყვანისმცემელს გულღიად ესაუბრება, არც ავტოგრაფებს აყვედრის და არც ფოტოს.

ეს კეთილშობილური რეპუტაცია მსახიობმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში ორჯერ გაიმყარა. იანვრის დასაწყისში "უკანასკნელი სამურაის" ლონდონურ პრემიერაზე მან კინოთეატრთან შეკრებილ ფანებთან ორი საათი გაატარა. იმ საღამოს პენელოპა კრუსმა ვერ გაუძლო საშინელ ყინვას და დარბაზში 15 წუთში გაუჩინარდა, ტომი კი გარეთ შეკრებილ ხალხთან დარჩა, თითოეულ მათგანს მიესალმა და მერე მათივე მობილური ტელეფონით მათ შინდარჩენილ ნათესავებსა და მეგობრებსაც გაესაუბრა. ხალხი ვარსკვლავის ამ საქციელმა ისე აღაფრთოვანა, რომ მეორე დღეს "ბი-ბი-სი"-ს ინტერნეტ-ფორუმი აჟიტირებული პუბლიკის შეტყობინებებს ვეღარ აუდიოდა. ეფექტი მართლაც დიდი იყო: წარმოიდგინეთ, ხართ სახლში, ამზადებთ სადილს და მობილურზე, ქმრის ნაცვლად ტომ კრუზი გირეკავთ...

თუმცა, არანაკლებ სახალისოა კრუზის მეორე თავგადასავალი. ის ორიოდე დღის წინ პორტუგალიის ტელეარხ RTP-ის ეთერში გამოვიდა და სპეციალური სასიყვარულო განცხადება, ქარხნის მუშა სონიას გასაგონად გააკეთა: "სონია, ჟოაუს ცოლად აუცილებლად უნდა გაჰყვე. გთხოვ, გააბედნიერე ჟოაუ. ის აგერ, კამერის უკან დგას და შენთვის ტირის", - განაცხადა ტომ კრუზმა. ცხადია, სონიამ ჰოლივუდის ვარსკვლავს უარი არ უთხრა. მათ ქორწილი რამდენიმე თვეში დაგეგმეს.

ჟოაუ კი RTP-ის ტელეოპერატორია. მან ტომ კრუზი "უკანასკნელი სამურაის" ესპანურ პრემიერაზე გაიცნო – ის თავის ჟურნალისტთან ერთად ტელევიზიისთვის სიუჟეტს ამზადებდა. გადაცემის შემდეგ ჟოაუმ გადაწყვიტა, შეყვარებულის თხოვნა შეესრულებინა და კრუზს სონიასთვის ავტოგრაფი სთხოვა. საუბარში კი დაიბადა იმ ტელე-ხუმრობის იდეა, რომელიც მსახიობმა დიდი სიამოვნებით განახორციელა. წარმატებული ტელე-ეთერის შემდეგ ტომ კრუზი ხუმრობდა კიდეც, რომ ჟოაუმ და სონიამ ბავშვებს მის პატივსაცემად ტომი უნდა დაარქვან. საინტერესოა, რას მოიმოქმედებს ჰოლივუდის ვარსკვლავი ახალი ფილმის პრემიერაზე – ახლა ხომ "შეუსრულებელი მისიის" მეორე ნაწილის გადაღებები იწყება.

# სალვადორ დალის იუბილე საფრანგეთში


სალვადორ დალი

საფრანგეთში სალვადორ დალის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, რომელსაც 11 მაისს აღნიშნავენ, მისი ერთადერთი რომანი – "დამალული სახეები" დაიბეჭდა. პარიზელი გამომცემელის თქმით, წიგნი გაყიდვაში თებერვლიდან გამოვა.

ეს ფანტასტიკური ნაწარმოები 1943 წელს ფრანგულ ენაზე, სულ რაღაც 4 თვეში დაიწერა. 600 გვერდიანი ხელნაწერი მაშინვე ინგლისურ ენაზე ითარგმნა და დიდ ბრიტანეთში გამოიცა. რომანი მოგვითხრობს 1934-1945 წლებში არისტოკრატული საზოგადოების წარმომადგენელთა ყოფაცხოვრების შესახებ. "ამ წლების ისტორია იძლევა რომანისთვის საინტერესო კომპოზიციებს, სადაც ბობოქრობს დაუოკებელი ადამიანური ვნებები და მუდმივი კონფლიქტები", - წერს ავტორი წინათქმაში.

რომანი გამოიცა პარიზში მხოლოდ ერთხელ, 1973 წელს. მისი პუბლიკაციის უფლება ლონდონელ გამომცემელს პეტერ ოსვენს ეკუთვნის. ესპანეთში, დალის სამშობლოში, მომავალ იუბილესთან დაკავშირებით, პირველად ქვეყნდება მხატვრის ლიტერატურული მემკვიდრეობა. "საუკეთესო ინტერვიუებისა" და ფოტოგრაფიის ტომეულს, იგი მერვე ტომად შეემატება.

# "ა" კლასის დაბადების დღე

ასეთი შეფასება მისცა ჟურნალმა "ვოგმა" წვეულებას, რომელიც კეიტ მოსის დაბადების დღის აღსანიშნავად გაიმართა. ბრიტანელი სუპერმოდელი პარასკევს თავადაც მშვენიერი ყოფილა აკვამარინის, ბრჭყვიალა წინწკლებით მორთულ კაბაში და ზეიმიც შესანიშნავად დაუგეგმავს (არ უნდა დაგვავიწყდეს არც ის, რომ მოსმა წვეულებამდე თავისი ახლო მეგობრები იამაიკაშიც დაპატიჟა).

იუბილარ ლამაზმანს საღამოს გალამაზებაში ნაომი კემპბელი, სტელა მაკარტნი, გვინეტ პელტროუ, კრისი ჰაინდი, გრეის ჯონსი და ზედი ფროსტი ეხმარებოდნენ. საიუბილეო მსვლელობა "მანდარინ ორიენტალის" სასტუმროში დაიწყო და მეიფეარზე, "კლერიჯში" გაგრძელდა, შემდეგ მოსმა და მისმა ამალამ Agent Provocateur-ის შეფის სერენა რისის სახლში გადაინაცვლა, სადაც მათ ღამის ორ საათამდე არ გამოლევიათ შამპანიური და საჭორაო თემა. ამის მერე კი წვეულების მონაწილენი ისევ "კლერიჯში" დაბრუნდნენ, სადაც შაბათ დილამდე, დაახლოებით რვა საათამდე მხიარულობდნენ.

მოსმა ყველა სტუმარს წინასწარვე სთხოვა, რომ 20-იანი წლების სტილის ტანსაცმელი შეერჩიათ, რადგან საღამოს თემა ასეთი იყო: სკოტ ფიცჯერალდის The Beautiful And The Damned. თუმცა, თვითონ ჟურნალისტებს გაანდო, რომ თავს უფრო Damned გრძნობდა, ვიდრე ლამაზად, მაგრამ მერე იუბილარს სიტყვა საქმრომ ჯეფერსონ ჰეკმა შეაწყვეტინა: "სისულელეა, შენ შესანიშნავად გამოიყურები".

რაც შეეხება კეიტის მოთხოვნას, მას უკლებლივ ყველა დაემორჩილა. ნაომი კემპბელი ატლასის, ატმის ყვავილის ფერის კაბაში გამოჩნდა, მხრებზე იმავე ფერის ბეწვი ჰქონდა მოხურული, თმაში კი იისფერი და თეთრი ყვავილი ჰქონდა ჩამაგრებული. დაბადების დღეზე მივიდა გვინეტ პელტროუც კრის მარტინთან ერთად და რონი ვუდიც მეუღლესთან, ჯოსთან ერთად. 20-იანი წლების საღამოს კაბაში იყო გამოწყობილი სტელა მაკარტნი, მას თავზე იმავე პერიოდის თვლებით მორთული ქუდი ეხურა. ერთი სიტყვით, წვეულება ნამდვილად იმსახურებდა "ვოგის" შეფასებას: "წლის ყველაზე გრაციოზული საღამო".

ამ შესანიშნავმა საღამომ კი ყველას გაახსენა ერთი ისტორიული მომენტი მოდიდან. ზუსტად 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც JFK-ის აეროპორტში შენიშნეს, თუ როგორ მიათრევდა კეიტ მოსი უზარმაზარ ჩემოდანს. იმ დღიდან მოყოლებული კეიტ მოსი თანდათან სუპერ-მოდელად, ბრიტანეთის საამაყო სახედ და ბევრის კერპად იქცა. მასზე ამბობენ, "კეიტი მხოლოდ მოდელი არ არის, ის ელვისთან, პრინცესა დაიანასთან, ჯეიმს დინთან და მერილინ მონროსთან ერთად თავისი ეპოქის კერპია". ამ მოსაზრებას მოდის სამყაროში ბევრი იზიარებს.

# "ოაზისი" დრამერის გარეშე დარჩა

როგორც თავიანთ ოფიციალურ საიტზე წერენ, "ოაზისის" ბიჭებმა ჯგუფიდან დაითხოვეს დრამერი ალან ვაიტი. "ვაიტს "ოაზისის" დანარჩენმა წევრებმა ჯგუფიდან წასვლა სთხოვეს. ჯერჯერობით, არ ვიცით, შევცვლით თუ არა ალანს ახალი წევრით. მისი დათხოვნა ხელს არ შეუშლის ჩანაწერებს, რომელიც უახლოესი მომავლისთვის იყო დაგეგმილი", - ნათქვამია განცხადებაში.

"ოაზისი" სტუდიაში გადაბარგებას მართლაც ძალიან მალე აპირებს. მათი ახალი ალბომის პროდიუსერები რიჩარდ ფიარლესი და ტომ ჰოლმსი იქნებიან – ცნობილი დუეტი, რომელიც ფილმზე "სიკვდილი ვეგასში" მუშაობდა. ჯერჯერობით, არც ისაა ცნობილი, თუ როდის გამოვა "ოაზისის" ახალი ჩანაწერი, რომელიც 2002 წელს გამოშვებული Heathen Chemistry-ის შემდეგ პირველი იქნება.

რაც შეეხება ალან ვაიტს, ის ჯგუფში 1995 წელს ჰიტ-ალბომის (What's the Story) Morning Glory?-ის ჩაწერამდე ცოტა ხნით ადრე მივიდა. მან ტონი მაქკეროლი შეცვალა, რომელიც, თავის მხრივ, დიდხანს უჩიოდა გალაჰერებს 1994 წლის სადებიუტო ალბომის Definitely Maybe-იდან წილის გამო. ასე რომ, ახლა "ოაზისს" აღარც ვაიტი ჰყავს და აღარც მაქკეროლი.

## სკანვორდი



## TV პროგრამა

21 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.10** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** სერიალი "სოპრანოს კლანი" **23.00** ღამის კურიერი **00.30** მხ. ფილმი "კოკაინი". მთ. რ-ში: ჯონი დეპი, პენელოპა კრუზი

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ბასკერვილების ოჯახი" **10.10** მხ. ფილმი "მუშკეტერები ოცი წლის შემდეგ" 1-ლი ს. **11.15** დოკ. ფილმი "პარიზის ცხოველები" **11.45, 21.35** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "მხატვრები" **15.15** მხ. ფილმი "ბოლო გაჩერება" **16.45** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **16.55** სერიალი "ჩემი ყველაზე მშვენიერი არდადეგები" **17.20** საქართველო, დრო, მოვლენები **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** ენერგია **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.45** "მათი შვილები" **22.25** "საუკუნის ნოსტალგია" **00.10** მხ. ფილმი "ორნი ქალაქში"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "სკუბი-დუ" მთ.რ-ში ფრედი პრინცი უმცროსი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "მუტანტი.შიში" **01.40** "ღამურა" "საკლუბო მანია" მთ.რ-ში მაკოლეი კალკინი, ხლოე სევინი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) **10.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **11.00** მხ. ფილმი **13.25** მხ. ფილმი **15.00, 17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **15.10** მხ. ფილმი **18.30** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **19.00** სერიალი "ენი მწვანე სახურავების მამულიდან" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "პანიკა ჰერში" (როდ როულანდი) **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "შავი წყვდიადი" (ვინ დიზელი)

### მეორე არხი

**19.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი **19.35** კინოსეანსი "შეყვარებული გასტროლიორი" **21.00** და არს მუსიკა **21.20** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "მეექვსე ელემენტი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი" **15.00** მხ. ფილმი "ნილოსის მარგალიტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 3" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "კლასი" **22.30** მხ. ფილმი "სულელები" **00.30** მუსიკა

### იბერია

**08.00** ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** დოკ. ფილმი **11.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **12.50, 14.50, 18.30, 23.30, 01.05** მუსიკა **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "შიშისმომგვრელი ბაღები" **17.30** მულტფილმი **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **21.00** სერიალი "გრაფინია დე მონსორო" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "შემოდგომის ზღაპარი"

### მეცხრე არხი

**08.00** პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15,** 15,40, **19.40, 20.20** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ბილიარდომანები" **13.15** ცხელი ცხრიანი **14.00** მულტსერიალი "მარკო და ჯინი" **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **16.00** სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ზღვარზე" 1-ლი ს. **17.00** მხ. სერიალი "ზებუნებრივი სამყარო" **17.50** ტელემეტრი **18.00** მულტფილმი "მარკოს და ჯინის თავგადასავალი" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.10** სერიალი "მოჯადოება" **22.10** კონცერტი **23.00** მოკლ. მხ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი "ფაკულტეტი" (რობერტ პატრიკი)

### იმედი

**07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 10.00, 11.05, 13.15, 16.50, 17.20, 00.45** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.15** მხ. ფილმი "სიყვარულის მონა" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.30** ქრონიკა **17.30** ლარის მახე **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** არტ-ბულვარი **22.50** მხ. ფილმი "გარყვნილები"

### არხი

**08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ადამიანი რკინის ნიღაბით" **11.40** მუსიკა **12.20** მხატვრული ფილმი "გააანალიზე ეს" **14.00, 18.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "გაქცეული პატარძალი" **15.45** მუსიკა **16.20** მულტფილმი "ახალი ბრემენელები" **17.15** მელოდრამა "მიწიერი სურვილები" **19.30** დოკუმენტური ფილმი **20.25** მხატვრული ფიმლი "გააანალიზე ეს" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** კომედია "ორმაგი სახე " **02.45** მუსიკა **03.40** ვესთერნი "ომი ველურ დასავლეთში"

### OPT

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.30 Сериал "Next 3" 11.30, 20.00 Сериал "Земля любви, земля надежды" 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.20 Худ.фильм "Зонтик для новобрачных" 15.00** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.30** "Смехопанорама" **21.00** "Слабое звено" **22.00, 00.30** "Время" **23.40** "Спецназ". "В оперативных сводках не значились" **00.50** "Крылья" **01.20** Док.фильм "Брачные игры животных", ч.1. **01.50** "Корея. Перекресток религий" **02.20 Детектив "Часы отчаяния" 04.20 Боевик "Честь и ярость 2"**

### PTP

**06.00** Доброе утро, Россия! **09.45, 21.55 Сериал "Русские амазонки 2" 10.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **11.45, 14.45, 17.25, 00.50** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести - Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50 Сериал "Неотложка" 15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Детектив "Маросейка, 12" 19.00 Сериал "Навеки Джулия" 19.55 Сериал "Тайны следствия. Гроб на две персоны" 21.50** Спокойной ночи, малыши! **23.00 Сериал "Неотложка" 00.00** Вести+ **00.20** "Без галстука" **01.05 Худ.фильм "Барак" 03.30** Дорожный патруль **03.45** Агентство одиноких сердец **04.10 Сериал "Ангелы Чарли"**

### НТВ

**11.00** "Сегодня утром" **11.25** "Кулинарный поединок": Л.Дэнс - С.Гаранин" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05** "Сегодня" **13.30 Детектив "Вербовщик" 15.30** "Протокол" **16.35 Ток-шоу "Принцип домино" 18.30 Сериал "Она написала убийство" 19.30** "Протокол" **20.35 Сериал "Мангуст", 3 с. 21.50 Сериал "Таксистка", 7 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** "Красная стрела" **23.45** Док.фильм "Мавзолей" **00.50 Сериал "Мангуст"**

# 2004 წლის გაზაფხულ-ზაფხულის პარიზული კოლექცია


ჟულიენ ფურნიე


ჟულიენ ფურნიე


იოჯი იამამოტა


იოჯი იამამოტა


ტორენტე

საფრანგეთის დედაქალაქში მაღალი მოდის გაზაფხულ-ზაფხულის სეზონის ტრადიციული ჩვენება იწყება. ოთხი დღის განმავლობაში, ორშაბათიდან დაწყებული, რჩეული სტუმრები, რომელთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღემატება, შეძლებენ ორ დეფილეზე დასწრებას, რაც ოფიციალური პროგრამითაა გათვალისწინებული. დაახლოვებით ამდენივე ჩვენება, არაოფიციალურ პროგრამებშიც მზადდება.

პირველად საზოგადოების წინაშე საკუთარი ქმნილებებით ტორენტე წარდგება. ამის შემდეგ ტოპ-მოდელები პოდიუმზე, მსოფლიოს ცხრა სხვადასხვა აღიარებული სამოდელო სახლების წარმომადგენელთა მოდებს წარმოადგენენ: შანელი, კრისტიან დიორი, ჟივანში, კრისტიან ლაკრუა, ემანუელ უნგარო, ჟან-პოლ გოტიე, ანა მორი, ჟან ლუი შერერი და დომინიკ სიროპი.

ოფიციალურ ჩვენებებში ამავე დროს მონაწილეობას მიიღებენ ვერსაჩესა და ვალენტინოს სახლები, ასევე მოწვეულები არიან რვა ახალგაზრდა მოდელიორი საფრანგეთიდან, იტალიიდან, ლიბანიდან, სამხრეთ კორეადან და ამერიკიდან. ტრადიციულად, კოლექციების შემადგენლობას, როგორც ყოველთვის, ასაიდუმლოებენ. რაც შეეხება სცენებს, სადაც დეფილე უნდა გაიმართოს, მათ განალაგებენ პარიზის ყველაზე პრესტიჟულ ადგილებში. მოსალოდნელია, რომ მთავარი მოვლენა გახდება შოუ, რომელსაც დიორის სახლი აწყობს. წამყვანი მოდელიორი ჯონ გალიანო საგანგებოდ ემზადება. მას ჩაფიქრებული აქვს საზოგადოება დააბრმავოს ოქროს ბრწყინვალებითა და ფარაონების ფუფუნებით – რაც ცოტა ხნის წინათ ეგვიპტეში მოგზაურობისას შთაბეჭდილებების მოტივების მიხედვით შექმნა.

ამის საპირისპიროდ, მოდელიორების სხვადასხვა სახლების წარმომადგენლები, ამჯერად კამერულობას მიმართავენ. მაგალითად, შანელი აგროვებს სტუმრებს, რათა ისინი კერძო სახლში დედაქალაქის არისტოკრატულ მეშვიდე ოლქში, სენას მარცხენა სანაპიროზე მიიპატიჟოს.

ჟივანში და უნგარო დეფილეს ორგანიზაციას საკუთარ სახლებში გეგმავენ, რომელიც ელისეს მინდვრებთან ახლოს, რესპექტაბელურ მერვე რაიონში მდებარეობს. მათი აზრით, ჩვენებების ინტიმი მაღალ მოდას ჭეშმარიტ მოწოდებასა და შინაარს დაუბრუნებს.

ამჟამად მოდელიორთა ქმნილებები, არც თუ საუკეთესო ეტაპზეა. ნახევარი ათეული წლის წინათ, იყო 24 მაღალი მოდის სახლი. მათგან მხოლოდ ათილაა შემორჩენილი, რომელთა უმრავლესობაც წამგებიანია.

# ჰოლივუდელი ქალები მამაკაცების შოვინიზმის წინააღმდეგ



ჰოლივუდის ყველაზე ცნობილი მსახიობები კინოინდუსტრიაში იმ ოლიგარქების წინააღმდეგ გამოდიან, რომლებსაც 40 წელს გადაცილებული ქალებისთვის როლის მიცემა არ სურთ. მეგ რაიანმა, ჰალი ჰანტერმა, შერონ სტოუნმა და ვუპი გოლდბერგმა, როზან არკეტის ხელმძღვანელობით, ამ თემაზე დოკუმენტური ფილმი შექმენს, რომელსაც ზაფხულში ბრიტანელ მაყურებელს წარმოუდგენენ.

ფილმს ეწოდება "დებრი უინგერის ძებნაში" და გვიყვება მსახიობის ბედზე, რომელმაც მიიღო ოსკარი, როლისათვის "ოფიცერი და ჯენტლმენი" და მის მაგალითზე ჰყვებიან ხანშიშესული მსახიობების შესახებ.

კრიტიკოსებმა ეს ფილმი შეაფასეს, როგორც კარგად მომზადებული შენიღბული შეტევა კინემატოგრაფების წინააღმდეგ, რომელთა ხელშიც არის ჰოლივუდის მსახიობების კარიერა.


United Nations Development Programme

UNDP Georgia

## განცხადება

**გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში** სამცხე-ჯავახეთის ინტეგრირებული განვითარების პროგრამისა და ქალთა რეგიონული ცენტრის ფარგლებში აცხადებს კონკურსს შემდეგ პროექტებზე:

რეგიონში ქალთა მდგომარეობის კვლევა და ანალიზი.

სატრეინინგო ცენტრის დაარსება.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართებზე:

თბილისი, ერისთავის ქ. 9, გაეროს სახლი ან ახალციხე, წმინდა დავითისა და კონსტანტინეს ქ. 32.

იხილეთ, აგრეთვე, გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდი **http://www.undp.org.ge/News/tenders.html**

პროექტების წარდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის **23 თებერვალი, 17:00 საათი.**

**The United Nations Development Programme** Country Office in Georgia, within the framework of Samtskhe-Javakheti Integrated Development Programme and the Women's Regional Centre, solicits proposals from qualified organizations to implement the following sub-projects:

1. Gender Related Research and Analysis.
2. Establishment of the Training Centre.

The respondent is welcome to submit the required documentation in a sealed envelope with a clearly marked proposal title, to the UNDP at 9 Eristavi str., Tbilisi or 32 St. David and Konstantine str., Akhsltsikhe not later than **5 p.m. on 23 February 2004.** The TOR is available at the same addresses as well as at our web-site

**http://www.undp.org.ge/News/tenders.html.**

















# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.